გაუდაბნოების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კონვენციაში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს შორის, რომლებსაც თანამედროვე გლობალური დათბობის და ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედებით გაუდაბნობა ემუქრება, სამხრეთ კავკასიაც არის აღნიშნული [1]. სამხრეთ კავკასიაში გაუდაბნოების პროცესი აშკარად შეინიშნება მტკვარ-არაქსის დაბლობზე და მასთან მიმდებარე მთათაწინეთის ზოლში. გაუდაბნობა მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს აგრეთვე საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში – ივრის ზეგანზე და ქვემო ქართლის ბარში, სადაც ეს პროცესი თანამედროვე გლობალურ დათბობამდე გაცილებით ადრე დაიწყო და, ძირითადად, განპირობებული იყო არა კლიმატის ბუნებრივი არიდიზაციის, არამედ ამ რეგიონების ბუნებრივი ლანდშაფტების შეუქცევადი ანთროპოგენური მოდიფიკაციის გავლენით. ამ ფაქტს ეჭმიუტანლად ადასტურებს ივრის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის – გარეჯა-ივრის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონის ლანდშაფტების განვითარების ისტორია, რაც ბიოგეოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების კომპლექსური ანალიზის საფუძველზეა დადგენილი [7, 8, 9].

გარეჯა-ივრის ქვერაიონის კლიმატი ცხელი და მშრალია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა  $25^{\circ}\text{C}$ -ია, აბსოლუტური მაქსიმუმი  $40^{\circ}\text{C}$ -ს აღემატება. ნალექების წლიური ჯამი დაახლოებით 400 მმ-ია, ხოლო აორთქლებადობა 1000 მმ-ს აღწევს, რაც სინოტივის საკმაოდ მკვეთრ დეფიციტს განაპირობებს. დანესტიანების კოეფიციენტის წლიური მაჩვენებელი (ჰიდროთერმული კოეფიციენტი ანუ ატმოსფერული ნალექების და აორთქლების წლიური მაჩვენებლების შეფარდება) 0,50-0,65 საზღვრებში ცვალებადობს, ზაფხულში კი – 0,20-0,30-მდე კლებულობს [2]. ავლნიშნავთ, რომ გაუდაბნოების კონვენციის მიხედვით, გაუდაბნობა იმ რეგიონებს ემუქრება, სადაც დანესტიანების წლიური კოეფიციენტი 0,65-ზე ნაკლებია [1]. გარეჯა-ივრის ქვერაიონის მშრალი და ცხელი კლიმატის გამო, ჩამონადენის საშუალო წლიური მოდული მინიმალურია და 1 კმ<sup>2</sup> ფართობიდან 1 წამში 2-4 ლიტრს არ აღემატება [5]. აღნიშნულის გამო, აქ მუდმივი მდინარეები და მტკნარი წყაროები არ არის. იშვიათია


მწარე-მლაშე წყაროები. ქვერაიონის ჩრდილო ნაწილში არის რამდენიმე მლაშე ტბა.

გარეჯა-ივრის ქვერაიონის სამხრეთ ნაწილის (დიდი უდაბნოს, უდაბნოს, იაილაჯიხის მთები და სერები, ალანდარას ტაფობი) ბუნებრივ-მცენარეული საფარი მშრალი ველების, ნახევარუდაბნოს და ნაწილობრივ უდაბნოს მეორადი უროიან-ავშნიანი, ხურხუმიოიან-ავშნიანი, ჩარანიან-ავშნიანი მცენარეული ასოციაციებით არის წარმოდგენილი. ცენტრალურ ნაწილში (უდაბნოს ტაფობი მიმდებარე გორაკ-ბორცვებთან ერთად) გავრცელებულია ფლორისტულად ძლიერ გაღარიბებული ნაწილობრივ უდაბნოსა და ნახევარუდაბნოსათვის დამახასიათებელი ბალახოვანი სახეობებით შექმნილი მეორადი სტეპის ცენოზები; ჩრდილო ნაწილში (დემურდაღის, მილდაღის, ნომარი გორის მთები და სერები, უზუნდარას, ჯიქურების და სხვა ვაკე-ტაფობები) კი – მეორადი ჯაგ-კელიან-უროიან-ვაციწვერიანი ველები და ქსეროფილური ბუნქნარები [7, 10].

პალეოგეოგრაფიული გამოკვლევები მოწმობს, რომ წარსულში გარეჯა-ივრის ქვერაიონის სამხრეთი ნაწილის ტერიტორიაზე თანამედროვესთან შედარებით უფრო ნაკლებად არიდული კლიმატის პირობებში განვითარებული იყო ნათელი ტყე (საკმლის ხე, ღვია, აკაკი და სხვა), ცენტრალურ ნაწილში – ბუნებრივი, უროიანი და უროიან-ვაციწვერიან სტეპები, ჩრდილო ნაწილში კი – მუხნარ-რცხლინარი ტყე [7, 8, 9]. ქვერაიონში ადრე არსებული ტყეების ძირითადი ედიფიკატორები – საკმლის ხე, მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი და სხვა ამჟამად დერივატების სახით ერთეულ ეგზემპლარებად არის შემორჩენილი ძნელად მისადგომ ადგილებში ძეძვისა და ფრიგანის ბუნქებს შორის [7]. წარსულში ტყის ცენოზების ფართო გავრცელებაზე მიუთითებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქვერაიონში განვითარებულ ნიადაგებსათვის (რუხი-ყავისფერი, წაბლა და შავმიწა) დამახასიათებელია ტყის ნიადაგებიდან მშრალი ველის და ნახევარუდაბნოს ნიადაგებისაკენ გარდამავალი ნიშნები. ამასთან ერთად, ამ ნიადაგებში უფრო მეტად ჭარბობს მშრალი ველის და ნახევარუდაბნოს ნიადაგწარმოქმნელი პროცესების ნიშნები, რაც აქ ნახევარუდაბნოს და ნაწილობრივ უდაბნოს მცენარეულობის საკმაოდ დიდი ხნის წინ დაწყებული გავრცელებით არის ასხნილი [6, 9].

როგორც უკვე აღინიშნა, გარეჯა-ივრის ქვერაიონში გაუდაბნოების პროცესის განვითარებას, ძირითადად, ხანგრძლივი დროის მანძილზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენამ შეუწყო ხელი. აქ აღმოჩენილია სამ ათეულზე მეტი ადრეული, შუა და გვიანიბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლი (ნამოსახლარები, სამაროვნები, ყორღანული ველები), რომელთა შესწავლით დადგენილია, რომ ამ ქვერაიონის ტერიტორია მთლიანად ჰქონდა ადამიანს ათვისებული ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან ან-

ტიკური პერიოდის დასაწყისამდე (იხ. სქემა). განსაკუთრებით საყურადღებოა ქვერაიონის ჩრდილო ნაწილში (ნაომარი გორა, ჯიქურების ტაფობი) ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებით დათარიღებული ქალაქური ტიპის დასახლების – „ნაომარი გორის“, აგრეთვე რკინის მადნის კარიერების და რკინის წარმოების დამადასტურებელი ნაშთების აღმოჩენა. „ნაომარი გორის“ ნაქალაქარზე გამოვლენილია კვით ნაგები საცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო და საფორტიფიკაციო გრანდიოზული ნაგებობები (ქალაქის დამცავი კედლების სისქე ზოგან 5 მ-ს აღემატება), რომელთა არქიტექტურა საუცხოოდ არის შემორჩენილი. არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მასალების შესწავლით დადასტურებულია, რომ გვიანი-ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (2800-3500 წლის წინ) გარეჯა-ივრის ქვერაიონის მოსახლეობას მაღალ დონეზე ჰქონდა განვითარებული მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთუნეობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეტალურგიული საქმიანობა (რკინის გამოდნობა და მისი ექსპორტი), რაც ქვერაიონის იმდროინდელი დასახლებების განვითარების ძირითადი ეკონომიკური ბერკეტი იყო [1].



ივრის ხევის დასავლეთი ნაწილის არქეოლოგიური ძეგლების განლაგების სქემა

გარეჯა-ივრის ქვერაიონის ბუნებრივ გარემოზე განუხრევლად მზარდმა ანთროპოგენურმა დატვირთვამ – პირველ რიგში ტყის განადგურებამ კლიმატის საკმაოდ ძლიერი არიდოზაცია გამოიწვია. აღნიშნულის გამო დაირღვა ნიადაგში და ჰაერის მიწისპირა ფენებში

ჰაერის ტემპერატურასა და ატმოსფერულ ნალექებს შორის ადრე არსებული თანაფარდობა, გაიზარდა აორთქლებადობა, მოიკლო ნიადაგის ტენშემცველობამ და წარმოიქმნა სინესტის მკვეთრად უარყოფითი ბალანსი [2]. სწორედ ამან გამოიწვია ბუნებრივი ტყის და სტეპური ლანდშაფტის თანდათანობითი შეცვლა ფლორისტულად ძლიერ გაღარიბებული მეორადი სტეპებით, ჯაგ-გელიანი ველებით, ქსეროფილური ბუჩქნარებით, რომლებშიც საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ნახევარუდაბნოს და ნაწილობრივ უდაბნოს მცენარეული ასოციაციები. ეჭვს არ იწვევს, რომ ქვერაიონის მოსახლეობის მოთხოვნილება მტკნარ წყალზე მთლიანად ადგილობრივი წყაროებით იყო უზრუნველყოფილი. კლიმატის მკვეთრმა არიდიზაციამ ხელი შეუწყო ნეოგენის პერიოდის ქანებიდან ადვილად ხსნადი მარილების გამოტუტვის პროცესის გაძლიერებას, რამაც მტკნარი წყაროების მწარე-ძლაშე წყაროებით შეცვლა განაპირობა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ანტიკური ხანის დასაწყისში მუდმივი მოსახლეობა საბოლოოდ ტოვებს გარეჯა-ივრის ქვერაიონს. აქ მხოლოდ ახ. წ. VI ს. დაფუძნებულ გარეჯის სამონასტრო ძეგლებზე გრძელდება უწყვეტი სამონასტრო ცხოვრება.

როგორც ჩანს, გარეჯა-ივრის ქვერაიონის ტერიტორიაზე და საერთოდ ივრის ზეგნის დიდ ნაწილზე ანთროპოგენური ფაქტორის ზეგავლენით ანტიკურ პერიოდში უკვე იყო შექმნილი მშრალი ველის და ნახევარუდაბნოსათვის დამახასიათებელი პიდროკლიმატური რეჟიმი, რამაც დასაბამი მისცა გაუდაბნოების პროცესის დაწყება-განვითარებას. გაუდაბნოების პროცესი გამოვლინდა ამ ქვერაიონში მტკვარ-არაქსის დაბლობიდან და ელდარის ვაკიდან ავშანის, ყარადანის, ხურხუმოს და ნახევარუდაბნოს სხვა მცენარეული სახეობების გავრცელებით. ამავე პერიოდში, ტყეების განეხვის შედეგად, უნდა დაწყებულიყო ნეოგენის და ანთროპოგენის პერიოდის ადვილადშლადი ქანებით აკეზული მთებისა და სერების ინტენსიური ფიზიკური გამოფიტვა, მათი ძლიერი დანაწევრება, ბედლენდური რელიეფის, მშრალი ვიწრო ხეებისა და ხრამების განვითარება, რაც ალაგ-ალაგ უდაბნოს ტიპის რელიეფის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თანამედროვე პირობებში ძლიერი ანთროპოგენური ზეწოლის (ინტენსიური ძოვება, ხვნა-თესვა, არასწორი მეღორაგვია და სხვა) უარყოფითი ზეგავლენის დონე შესანიშნავად აღემატება გარეჯა-ივრის რაიონის ბუნებრივი ლანდშაფტის თვითადგენის შესაძლებლობას, რაც ამ უკანასკნელის ძლიერ დეგრადაციას განაპირობებს. რაიონში აშკარად შეიმჩნევა გაუდაბნოების პროცესის გაძლიერება – მტკვარ-არაქსის დაბლობიდან უდაბნოს ელემენტების შემოჭრა, ნიადაგსაფარის ინტენსიური დამლაშება და სხვა, რამაც კლიმატის თანამედროვე გლობალური დათბობის ზეგავლენით შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხა-

ნებში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშუეთის ტერიტორიაზე, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ივრის ზეგანი, XX საუკუნეში შეინიშნება სუსტი დათბობა, საშუალოდ 0,3-0,4 °C/100 წლის საზღვრებში [4]. ამავე პერიოდში ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობის ცვლილება ივრის ზეგანზე (შირაქის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით) არ შეინიშნება [3].

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გარეჯი (კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII), თბილისი, 1988, გვ. 184;
2. დ. უკლება. აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, თბილისი, 1968, გვ. 350;
3. ე. ელიზბარაშვილი, ლ. პაპინაშვილი, თ. ხელაძე. საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების მრავალწლიანი ცვლილებების გამოკვლევების წინასწარი შედეგები. კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენი, №5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ჰიდრომეტეოროლოგიის ტეპარტამენტი. თბილისი, 1997, გვ. 35-44;
4. კ. თავართქილაძე. ჰავის ცვლილებების თავისებურებანი საქართველოში. ვახუშტი ბაგრატიონის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია, №2 (81), თბილისი, 2008, გვ. 322-333;
5. ლ. მარუაშვილი საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბილისი, 1970, გვ. 236-247;
6. მ. საბაშვილი საქართველოს სსრ ნიადაგები, თბილისი, 1965, გვ. 552;
7. ნ. კეცხოველი საქართველოს მცენარეული საფარი, თბილისი, 1960, გვ. 441;
8. Джанелидзе Ч. П. Палеогеография Грузии в голоцене, Тбилиси, 1965, с.113-116;
9. Накаидзе Э. К. Серо-коричневые почвы Грузии. Генетические типы почв субтропиков Закавказья, Москва, 1979, с.230-236;
10. Сохадзе М. Е. Эколого-биологические и ценоотические особенности бородачаевой степи Восточной Грузии, Тбилиси, 1977, с.177; United Nations Convent on to Combat Desertification. Paris, 1994

უაკ 551

**ივრის ზეგანის კლიმატის არიდიზაციის და გაუფასურების მიზეზების შესახებ**/ჯანელიძე ზ./ ჰმის შრომათა კრებული -2008-ტ.115-გვ. 51-56.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

პალეოგეოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ წარსულში ივრის ზეგანის ტყის, ტყე-სტეპისა და სტეპის ლანდშაფტების ანთროპოგენური მოდიფიკაცია დაიწყო ბრინჯაოს ხანის გარიჟრაჟზე (5-6



ათასი წლის წინ). ამ დროიდან ადამიანის სამეურნეო საქმიანობა გახდა ბუნებრივი ლანდშაფტების მეორადი სტრუქტურა და ჯაგეკლიანი ველებით შეცვლის, კლიმატის არიდიზაციისა და ნაწილობრივი გაუღებლობის პროცესის განვითარების ძირითადი მიზეზი.

UDC 551

**ON THE CAUSES OF DESERTIFICATION OF IORI ELEVATED PLAIN AND CLIMATE ARIDIZATION.**/Djanelidze Z./Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 51-56. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

On the basis of paleogeographical, geobotanical and archeological records it became obvious that antropogenic modification of the natural landscapes of forest, forest-steppe and steppe of the Iori upland began at an early stage of the Bronze age (5000-6000 years ago). Since then the major part of the Iori upland has been cultivated by man, whose economic activity was a principal reason for substitution of the natural landscapes of forest, forest-steppe and steppe by secondary steppes and thorny valleys, climate aridization and partial desertification of the area.

УДК 551

**О ПРИЧИНАХ АРИДИЗАЦИИ КЛИМАТА И ОПУСТЫВАНИЯ ИОРСКОГО ПЛОСКОГОРИЯ.**/Джанелидзе З.Ч./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с. 51-56. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус.

На основе анализа палеогеографических, геоботанических и археологических данных выясняется, что антропогенная модификация лесных, лесостепных и степных ландшафтов Иорского плоскогорья началась на заре бронзовой эпохи (6000-7000 лет назад). Хозяйственная деятельность человека становится мощным фактором модификации лесных и лесостепных ландшафтов аридизации климата и развитии процессов вторичного остепнения, а местами и опустынивания

*Таварткиладзе К.А.<sup>1</sup>, Амиранашвили А.Г.<sup>2</sup>*  
*Институт географии им. Вахушти Багратиони, Грузия*  
*Институт геофизики им. М. Нодиа, Грузия*

УДК 551.582

## **ОЖИДАЕМЫЕ ИЗМЕНЕНИЯ ТЕМПЕРАТУРЫ ВОЗДУХА В Г. ТБИЛИСИ**

### **Введение**

В последние годы в связи с ростом индустриального загрязнения внешней среды особую актуальность приобрели проблемы влияния этих загрязнений как на изменение глобального, регионального и локального климата в целом, так и на изменчивость отдельных климатообразующих факторов. Особое значение эта проблема приобрела в нашей стране. Для Грузии, имеющей небольшую территорию, на которой можно встретить почти все виды климатов – от влажных субтропиков с высоким температурным фоном при избыточной увлажненности до холодного климата зоны вечных снегов и ледников, весьма существенны не только региональные эффекты изменения климата, но и эффекты локального масштаба (города, окрестности крупных источников эмиссии загрязнений атмосферы и др.).

Учитывая указанное, в 1996 году были начаты и продолжаются по сей день широкомасштабные исследования современного изменения климата Грузии. В первую очередь была проведена инвентаризация парниковых газов в Грузии, изучены пространственно-временные вариации полей температуры, осадков, облачности, аэрозольного загрязнения воздуха, поверхностного покрова и других климатообразующих параметров [1,4].

В настоящей работе предпринята попытка проведения оценки ожидаемых изменений температуры воздуха в Тбилиси.

### **Методика**

Рассмотрено два метода прогнозирования. Первый метод заключается в прогнозировании кривой роста температуры воздуха и ее доверительных интервалов [2,5]. Суть второго метода описана в [4].

В работе использованы следующие статистические параметры (с соответствующими обозначениями): Mean – среднее, Max – максимум, Min – минимум, Interv – вариационный размах, Median – медиана, Mode – мода, St Dev – стандартное отклонение,  $\sigma_m$  – стандартная ошибка среднего,  $C_v$  – коэффициент вариации (%),  $A_s$  – коэффициент асимметрии, K – коэффициент эксцесса, Count – число случаев, R – коэффициент линейной корреляции,  $R_s$  – коэффициент ранговой корреляции Спирмэна,  $R_k$  – коэффициент ранговой корреляции Кендэла,  $R_a$  – коэффициент автокорреляции с лагом 1 год,  $K_{dw}$  –

критерий Дарбина-Уотсона,  $\alpha$  - уровень значимости,  $T$  – среднегодовая температура воздуха.

Доверительный интервал для среднего - CONF, а также его нижний  $CONF_L$  и верхний  $CONF_U$  уровни с заданной вероятностью определялись как без учета, так и с учетом автокорреляции в рядах наблюдений. В последнем случае для доверительного интервала вводилась поправка на значение коэффициента автокорреляции с лагом  $L = 1$  год.

## Результаты

### Первый метод.

В табл.1 представлены статистические характеристики температуры воздуха в Тбилиси в период с 1906 по 2006 гг.

Таблица 1

Параметр	Значение	Параметр	Значение	Параметр	Значение
Mean	13,0	K	0,43	99%(+/-) CONF	0,17
Min	11,1	Count	101	99% $CONF_L$	12,83
Max	14,8	R	0,35	99% $CONF_U$	13,18
Interv	3,7	$\alpha$ для R	0,01	99%(+/-) CONF с учетом $R_a$	0,22
Median	13,0	$R_k$	0,24	99% $CONF_L$ с учетом $R_a$	12,79
Mode	13,2	$\alpha$ для $R_k$	0,0005	99% $CONF_U$ с учетом $R_a$	13,22
St Dev	0,68	$R_s$	0,34	$K_{dw}$	1,8
$\sigma_m$	0,07	$\alpha$ для $R_s$	0,0006	$\alpha$ для $K_{dw}$	0,05
Cv (%)	5,2	$R_a$	0,21	a	0,00817
$A_s$	-0,10	$\alpha$ для $R_a$	0,05	b	12,6

Как следует из табл.1 температурный ряд в Тбилиси неслучайный (коэффициенты  $R$ ,  $R_k$  и  $R_s$  значимо выше предельных значений) и автокоррелирован (коэффициент  $R_a$  также значимо выше предельных значений). Тренд температуры воздуха удовлетворительно описывается линейным уравнением (критерий  $K_{dw}$  имеет соответствующее значение) с коэффициентами регрессии a и b.

Исходя из указанного в соответствие с [2,5] получена прогностическая модель линейного роста  $T$  и ее 99% доверительного интервала в период с 2007 по 2055 гг. (рис.1). В табл.2 представлены прогностические величины средней  $T$  и 99% значения ее нижнего и верхнего уровней с 2007 по 2055 гг по пятилетним интервалам. Отметим, что значения

99%  $CONF_L$  и 99%  $CONF_U$  как без учета, так и с учетом  $R_a$  (табл.1) попадают в диапазон тех же значений доверительных границ, представленных в табл.2.




Рис. 1. Тренд среднегодовой температуры воздуха в Тбилиси. 1906-2006 - реальные данные. 2007 - 2055 - экстраполяция по расчетам тренда в 1906-2006 гг.

Таблица 2

Год	99% CONF <sub>L</sub>	T	99% CONF <sub>U</sub>	Год	99% CONF <sub>L</sub>	T	99% CONF <sub>U</sub>
2010	11,8	13,4	15,1	2035	12,0	13,7	15,3
2015	11,8	13,5	15,2	2040	12,0	13,7	15,4
2020	11,9	13,5	15,2	2045	12,0	13,7	15,4
2025	11,9	13,6	15,3	2050	12,1	13,8	15,5
2030	11,9	13,6	15,3	2055	12,1	13,8	15,5

### Второй метод.

С целью долговременного (климатического) прогнозирования температуры в работе [4] была представлена схема, в основе которой было разложение случайной функции в многомерном пространстве на естественные ортогональные составляющие [3]. В качестве примера на основе данных за период 1846 – 1985 годов (с одним частным вектором) был сделан прогноз для среднегодовых температур на период 1986 – 1990 годов и затем было произведено сравнение фактических данных с прогностическими. Фактические и прогнозируемые температуры для прогностического периода представлены на рис.2 (Фактические - сплошная линия - и спрогнозированные – пунктирная - значения температуры для Тбилиси, для периода 1986 – 1990 годов).

В работе [4] прогнозирование было произведено не для среднегодовых, а для отдельных месяцев, а значения среднегодовых температур было рассчитано осреднением данных о температуре прогнозируемых месяцев. Погрешность в упомянутой статье оценена осреднением погрешностей прогнозируемых месячных температур и она колеблется в пределах от 9,4 до 14,3%. В действительности, если ограничимся прогнозированием только среднегодо-

вых температур, она значительно меньше и в течение пяти лет колеблется в пределах от 0 до 6,9%. Надо отметить, что прогностическая схема предсказала тенденцию потепления в 1989 году по сравнению с предыдущим и последующим годами.




Рис.2




Рис. 3

Применив для прогнозирования вышеуказанную схему, мы попытались установить вероятнейшую картину изменений температуры для Тбилиси на период до 2055 года. Процесс прогнозирования по вышеупомянутой схеме состоит из трёх этапов. Первый этап предусматривает представление среднегодового, дискретного температурного ряда за период, предшествующий прогнозируемому, в виде такой непрерывной функции, согласно которой сравнение определённых температурных рядов с фактическими дают минимальную дисперсию. На втором этапе из указанных функций должна быть подобрана такая, которая в течение прогнозируемого периода сохраняет тенденцию изменения предыдущего периода. На третьем этапе с помощью выбранной функции должны быть определены наивероятнейшие значения ожидаемой температуры для прогнозируемого периода.

Легко догадаться, что второй этап исключает возможность успешного прогнозирования в том случае, когда процесс формирования температурного поля претерпевает резкие изменения (например «ядерная зима», что может быть следствием термоядерной войны между государствами). Такие изменения в природе происходят редко, поэтому мы считаем, что в процессе текущего глобального потепления предложенная схема может прогнозировать температурное поле с большой точностью.

Данные температурных наблюдений для Тбилиси, которые можно использовать для прогнозирования, существуют с 1846 года. Однако тенденция потепления отмечается с девятисотых годов [4]. Поэтому, исходя из второго этапа прогнозирования, использовались фактические данные за 1906 – 1995 годы. Данные за 1996 – 2005 годы использовались для сравнения спрог-

нозированных и фактических данных и было проведено прогнозирование для десятилетних периодов для 2006 – 2055 годов.

**Первый этап.** Критерий подбора функции температурных рядов для периода, предшествующего прогнозируемому, состоит в следующем: определяется дисперсия температурных рядов относительно среднего арифметического (средняя годовая температура в Тбилиси в период 1906 – 1995 годов составляла 12,93°C, а дисперсия – 0,450); затем подбирается та или иная функция и вычисляется дисперсия ряда относительно выбранной функции; если дисперсия выбранной функции уменьшается относительно дисперсии среднего арифметического, то такая функция удовлетворяет обязательному (но не достаточному) условию для прогнозирования.

Из числа проверенных функций обязательным для первого этапа условиям удовлетворяют несколько из них. Приведём их в порядке уменьшения значения дисперсии.

1. Линейная функция

$$T = X_0 + X_1 N \quad (1)$$

Здесь и ниже везде  $N$  – последовательный пересчёт годов, а  $X_1$  – эмпирический коэффициент.

После определения входящих в уравнение (1) эмпирических коэффициентов ( $X_0 = 12,634$ ;  $X_1 = 0,0066$ ), были вычислены температурный ряд и соответствующая дисперсия.

Оказалось, что формула (1) уменьшает дисперсию, по сравнению со средней арифметической, на 3,3%.

2. Полином второй степени

$$T = \sum_{i=0}^2 X_i N^i \quad (2)$$

Значения эмпирических коэффициентов, входящих в формулу (2), следующие:  $X_0 = 12,496$ ;  $X_1 = 0,0156$ ;  $X_2 = -9,924 \cdot 10^{-5}$ . Согласно вычисленным по формуле (2) результатам, значение дисперсии по сравнению со средней арифметической, уменьшается на 3,72%.

3. Полином третьей степени

$$T = \sum_{i=0}^3 X_i N^i \quad (3)$$

Значения эмпирических коэффициентов:  $X_0 = 12,274$ ;  $X_1 = 0,0441$ ;  $X_2 = -8,786 \cdot 10^{-4}$ ;  $X_3 = 5,709 \cdot 10^{-6}$ . Данная формула уменьшает дисперсию на 4,44%.

4. Периодическая функция

$$T = A \sin(2\pi N/L + F) \quad (4)$$

где  $A$  – амплитуда,  $L$  – длина полного периода,  $F$  – начальная фаза.  $A$ ,  $L$  и  $F$  определены итерационным путём, их значения соответственно 0,28° C,

23,68 лет, 290°. Вычисленная по формуле (4) дисперсия температурного ряда меньше средней арифметической на 4,45%.

5. Полином четвёртой степени

$$T = \sum_{i=0}^4 X_i N^i \quad (5)$$

Значения эмпирических коэффициентов:  $X_0 = 12,360$ ;  $X_1 = 0,0260$ ;  $X_2 = 7,600 \cdot 10^{-6}$ ;  $X_3 = -9,383 \cdot 10^{-6}$ ;  $X_4 = 8,292 \cdot 10^{-8}$  Данная формула уменьшает дисперсию на 4,51%.

6. Полином пятой степени

$$T = \sum_{i=0}^5 X_i N^i \quad (6)$$

Полином пятой степени, эмпирические коэффициенты которого:  $X_0 = 12,213$ ;  $X_1 = 0,0711$ ;  $X_2 = 0,339 \cdot 10^{-2}$ ;  $X_3 = 8,920 \cdot 10^{-5}$ ;  $X_4 = -1,132 \cdot 10^{-6}$ ;  $X_5 = 5,342 \cdot 10^{-9}$ , уменьшает дисперсию на 4,68%.

7. Полином шестой степени, уменьшает дисперсию больше чем все остальные

$$T = \sum_{i=0}^6 X_i N^i \quad (7)$$

и значения его эмпирических коэффициентов:  $X_0 = 11,674$ ;  $X_1 = 0,295$ ;  $X_2 = -0,0272$ ;  $X_3 = 1,120 \cdot 10^{-3}$ ;  $X_4 = -2,224 \cdot 10^{-5}$ ;  $X_5 = 2,089 \cdot 10^{-7}$ ;  $X_6 = -7,458 \cdot 10^{-10}$ . Она уменьшает дисперсию на 6,33%.

Вариации среднегодовой температуры в Тбилиси в период 1906 – 1995 годов наиболее точно представляет полином шестой степени с представленными выше коэффициентами. Полиномы же более высоких степеней, по сравнению со средним арифметическим, вызывают резкий рост дисперсии. Таким образом, все рассмотренные выше функции принципиально возможно использовать для прогнозирования, если они удовлетворят условиям второго этапа.

**Второй этап.** Как было отмечено, второй период должен определить, какая из выбранных функций и насколько повторяет ту тенденцию изменения температуры, что была характерна для периода, предшествовавшему прогнозируемому. Период до прогноза, или средний годовой температурный ряд за период 1906 – 1995 гг., характерен постепенным ростом, примерно в пределах 0,007% ежегодно. Одновременно с ростом  $T$  наблюдается незначительный рост стандартного отклонения. Для установления того, насколько выбранные функции сохраняют отмеченные тенденции в прогнозируемый период, необходимо установление вида этих функций с  $N = 91$  до  $N = 150$ .

Проверка показала, что в прогнозируемый период полиномы второй и шестой степеней претерпевают значительное уменьшение, т.е. они не могут быть основой прогнозной функции. Полиномы третьей, четвёртой и пятой

степеней в прогнозируемый период сохраняют тенденцию роста. Интенсивность роста подлежит регулировке. Однако они обладают очень большим стандартным отклонением, вследствие чего их использование для прогнозирования практически невозможно. Несмотря на это мы считаем, что их практическое применение принесёт определённую пользу в определённых сферах исследования атмосферных процессов, поэтому необходимо полностью представить значения необходимых параметров, необходимых для их использования.

Что же касается линейных и периодических функций, они полностью отвечают принципам предшествующего периода, но не дают возможности прогнозирования дисперсии. Для прогнозирования дисперсии мы прибегли к следующему способу.

От фактических значений среднегодовых температур за 1906 – 1995 годы вычли значения, полученные по формулам (1) и (4). Полученные ряды, которые представлены на рис. 3 и показывают изменения стандартных отклонений температуры воздуха в Тбилиси за период 1906 – 1995 гг по десятилетним периодам (1 – фактическая дисперсия, 2 – средняя десятилетних периодов, 3 – стандартное отклонение) определяют ежегодные вариации температуры без тенденции потепления и цикличности. Именно полученный ряд даёт величину стандартного отклонения и поэтому мы попытались изучить его изменения за данный период.

Если произвести линейную аппроксимацию представленных на рис.3 вариаций, то выражение изменений стандартных отклонений за 1906 – 1995 годы примет следующий вид:

$$D = 0,491 + 0,0223 n \quad (8)$$

С использованием формулы (8) на рис.3 проведены границы диапазона средних и стандартных отклонений для десятилетних периодов. Они показывают, что изменения температурного поля сопровождаются незначительным ростом дисперсии.

Таким образом, из выбранных на первом этапе функций прогнозирования температуры, наилучший результат можно ожидать по формулам (1) и (4).

Надо отметить, что их одновременное применение возможно с применением метода суперпозиции, а для прогнозирования суперпозиции целесообразно использование формулы (8).

**Третий этап.** Формулы (1) и (4) дают изменение температуры без дисперсии. Изменения температурного поля, вычисленные за период 1906 – 2055 гг по указанным формулам без учёта дисперсии, принимает вид, представленный на рис. 4. Учёт ожидаемой величины дисперсии возможен с использованием формулы (8). Однако мы считаем более целесообразным представление климатических прогнозов по десятилетним периодам, вероятность оправдываемости которых значительно выше, чем у ежегодных.






Рис. 4




Рис. 5

Как предшествующий, так и прогнозируемый период мы разделили на десятилетние периоды, для каждого из десятилетних отрезков определили как фактические, так и вычисленные по формулам значения и соответствующие стандартные отклонения. Изменения температуры по десятилетним периодам для Тбилиси за 1906-2055 годы представлены на рис. 5 (1 – фактическая, 2 – вычисленные по линейной (1) и периодической (4) формулам, 3 – стандартные отклонения).

Как видно из рис. 4, максимальное отклонение по десятилетним периодам между фактическими и вычисленными температурами отмечалось в 1985 – 1995 гг и оно составило  $0,4^{\circ}\text{C}$ , что составляет 3% от средней температуры в указанный период.

В течение последующих 50 лет в Тбилиси ожидаются следующие значения средних по десятилетиям температуры воздуха: 2006-2015 гг. –  $13,52^{\circ}\text{C}$ , 2016-2025 гг. –  $13,23^{\circ}\text{C}$ , 2026-2035 гг. –  $13,53^{\circ}\text{C}$ , 2036-2045 гг. –  $13,54^{\circ}\text{C}$ , 2046-2055 гг. –  $13,45^{\circ}\text{C}$ . Отметим, что прогностические значений  $T$ , полученный с использованием второго метода, попадают а доверительный интервал для  $T$ , рассчитанный по первому методу.

### Заключение

Для оценки ожидаемых изменений температуры воздуха в Тбилиси было использовано два прогностических метода. 1 – классический метод прогнозирования кривой роста температуры воздуха и ее доверительных интервалов. 2 – предложенный первым автором данной работы метод, опубликованный ранее в [4].

В соответствие с первым методом нижний уровень 99%-го доверительного интервала для  $T$  с 2006 г. по 2055 г. меняется от  $11,8^{\circ}\text{C}$  до  $12,1^{\circ}\text{C}$ , а верхний уровень – от  $13,4^{\circ}\text{C}$  до  $15,5^{\circ}\text{C}$ . В соответствие со вторым методом в течение последующих 50 лет самая низкая температура ( $13,23^{\circ}\text{C}$ ) ожидается в период 2016 – 2025 гг. , а самая высокая - в 2036-2045 гг. -  $13,54^{\circ}\text{C}$ . Оба метода дополняют друг друга. По крайней мере первый можно использовать

для контроля второго. Преимуществом второго метода является то, что в тренде температуры он позволяет прогнозировать ее колебания.

### **ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Budagashvili T., Karchava J., Gunia G., Intskirveli L., Kuchava T., Gurgenzidze M., Amiranashvili A., Chikhladze T., 1999, Inventory of Greenhouse Gas Emissions and Sinks, Georgia's Initial National Communication on Under the United Nations Framework Convention on Climate Change, Project GEO/96/G31, Tbilisi, 137 p.
2. Дуброва Т.А., 2003, Статистические методы прогнозирования в экономике, М., Московский международный институт эконометрики, информатики, финансов и права, 50 с.
3. Обухов А.М., 1960, О статистических ортогональных разложениях эмпирических функций. Изв. АН СССР, сер. Геофиз., 13, с.432 – 439.
4. Таварткиладзе К., Элиزابашвили Э., Мумладзе Д., Вачнадзе Дж., 1999, Эмпирическая модель изменений приземного температурного поля Грузии, Тбилиси, Мецниереба, 128 с. (Груз.)
5. Ферстер Э., Ренц Б., 1983, Методы корреляционного и регрессионного анализа, М., Финансы и статистика, 303 с.

შპს 551.582

**ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებები ქ. თბილისში** /თავართკილაძე კ., ამირანაშვილი ა./ ჰში-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 57-65.-რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ორი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოყვანილია ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებების შეფასება თბილისში 2055 წლამდე.

UDC 551.582

**EXPECTED CHANGES OF THE AIR TEMPERATURE IN TBILISI CITY**./Tavartkiladze K, Amiranashvili A./. Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. - 2008. - т.115. – p. 57-65. - Russ.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

The estimation of the expected changes of air temperature in Tbilisi up to 2055 years with the use of two methods is carried out.

УДК 551.582

**ОЖИДАЕМЫЕ ИЗМЕНЕНИЯ ТЕМПЕРАТУРЫ ВОЗДУХА В Г. ТБИЛИСИ** /Таварткиладзе К.А., Амиранашвили А.Г./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. -2008. – т.115. – с. 57-65. – Рус.; Рез. Груз., Англ.,Рус.

С использованием двух методов проведена оценка ожидаемых изменений температуры воздуха в Тбилиси до 2055 года.

*მუმლაძე დ., ლომიძე ნ.*

*ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი*

უაკ 551.58.583

**სამართველოს თერმული ველის ცვლილება კლიმატის  
გლობალური დაბობის ფონზე**


კლიმატის თანამედროვე ცვლილების შესწავლა, როგორც გლობალური, ასევე რეგიონური მასშტაბით წარმოადგენს ფრიად აქტუალურ საკითხს. ეს აქტუალობა გამოწვეულია ბუნებრივი, კერძოდ ჰიდრომეტეოროლოგიური სახის კატასტროფების (წყალდიდობები, გვალვები და ა.შ) გახშირებით, რომლებიც დიდ ზარალს აყენებენ თითოეული ქვეყნის ეკონომიკას. ამასთან ერთად, ნეგატიურად მოქმედებენ ეკოსისტემებზე. კლიმატის თანამედროვე ცვლილება, ანუ გლობალური ათბობა, რაც ჩვენი პლანეტის კლიმატური სისტემის წონასწორობას არღვევს, წარმოადგენს ბუნების იმ ურთულეს ფენომენს, რომელიც გაერომ სრულიად სამართლიანად აღიარა კაცობრიობის წინაშე მდგომ პრობლემათა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად.

ამ პრობლემის შესწავლის მიზნით მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა (WMO) და გაეროს ეგიდით სულ უფრო ხშირად იმართება საერთაშორისო კონფერენციები, კონგრესები, სემინარები და კლიმატის შემსწავლელ ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრები. სწორედ ასეთი მუშა შეხვედრა მოეწყო 2007 წელს პარიზში, სადაც გამოქვეყნდა უახლესი მასალები გლობალურ ათბობასთან დაკავშირებით.

ბუნების კომპონენტები – რელიეფი, წყალი, ჰაერი და სხვ., სრულიად განსხვავებული სუბსტანციისა არიან, თუმცა, მათ ერთი საერთო თვისება აქვთ – ისინი იცვლებიან დროსა და სივრცეში. თითოეული იცვლება გარკვეულ საზღვრებში, რომელთაც სფეროებს უწოდებენ. ესენია: ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო და ა.შ., რომლებიც ჩვენი პლანეტის კლიმატური სისტემის, ამ ურთულესი ჰიდრო-თერმო-დინამიკური სისტემის ქვესისტემებია (სურ. 1)

კლიმატურ სისტემაში ძირითად ქვესისტემას ატმოსფერო წარმოადგენს, სადაც შეიმჩნევა სათბური გაზების (მეთანის CH<sub>4</sub>, აზოტის ოქსიდების NO<sub>x</sub> და სხვ.), განსაკუთრებით კი ნახშირორჟანგის (CO<sub>2</sub>), კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც გამოიწვია ზემოხსენებული კლიმატური სისტემის წონასწორობის დარღვევა, საბოლოო ჯამში კი შემდეგი ცვლილებები:

1. უკანასკნელი 100 წლის მანძილზე ჩვენი პლანეტის ჰაერის ტემპერატურამ მრავალწლიურ ნორმასთან შედარებით  $0.74^{\circ}\text{C}$  – ით მოიმატა;
2. 2005 წლისათვის  $\text{CO}_2$  მიაღწია 379 ppm, მაშინ, როდესაც ინდუსტრიალიზაციამდე პერიოდში იგი 280 ppm უდრიდა;
3. დაიკვირვება როგორც ზეწრული, ასევე მთის მყინვარების დნობა. 1979 წლის კოსმოსური სურათების შედარება 2003 წლის სურათებთან ცხადყოფს არქტიკის ყინულების მნიშვნელოვან შემცირებას, რომ არაფერი ითქვას ალპების, კავკასიონის და სხვა მყინვარების ინტენსიურ უკანდახევაზე;
4. შემჩნეულია ოკეანის დონის მატება;
5. სახეზეა ბუნებრივი ზონების გადანაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ასევე დაბალი ჰიფსომეტრიული ზონებიდან მაღალი ზონებისაკენ. აღსანიშნავია, რომ პლეისტოცენში კლიმატური სარტყლების გადაადგილება ხდებოდა ძლიერი სიჩქარით - 300 მ/წელ [6]. თუ გავითვალისწინებთ ანთროპოგენურ ფაქტორს, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მკვეთრ განვითარებასთან ერთად ერთობ გააქტიურდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სიჩქარე კიდევ უფრო გაიზრდება. ჯერ კიდევ, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, აკად. ვი.ვერნადსკიმ ადამიანი გეოლოგიურ ძალასაც კი შეადარა; იცვლება ბიომრავალფეროვნება. კერძოდ ის მცირდება როგორც რაოდენობრივად, ასევე სახეობების მიხედვით.



1. ატმოსფერო (**A**) – დედამიწის გარშემო არსებული ჰაეროვანი გარსი
2. ჰიდროსფერო (**H**) - მსოფლიო ოკეანე განაპირა და შიგა ზღვებით
3. კრიოსფერო (**Kr**) - ყინულოვანი ფარები, მთის მყინვარები, ზღვის ყინულები და ხმელეთის თოვლის საფარი
4. ლითოსფერო (**L**) – ხმელეთის მოქმედი ფენა და ყველაფერი ის, რაც მასზე არსებობს (მათ შორის ტბები, მდინარეები და მიწისქვეშა წყლები)
5. ბიოსფერო (**B**) – ხმელეთისა და ზღვების მცენარეულობა და სხვა ცოცხალი ორგანიზმები (ადამიანის ჩათვლით)

სურ. 1. დედამიწის კლიმატური სისტემის ზოგადი სქემა [7]

რადგან საქართველოს კლიმატი გარკვეულწილად ევრაზიის კონტინენტზე მიმდინარე მსხვილმასშტაბიანი ცირკულაციური მექანიზ-

მების ურთიერთქმედების შედეგია, ბუნებრივია მისი თანამედროვე ცვლილების შესწავლისას გასათვალისწინებელია ჩრდილო ნახევარსფეროს, კერძოდ, ატლანტიკურ-ევრაზიულ სექტორში მიმდინარე კლიმატური პროცესების მრავალწლიური თავისებურებანი:

1. ყველაზე ადრე და ყველაზე მეტად ათბობა აღნიშნულია მაღალ განედებში. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, იქ, სადაც ანთროპოგენური ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი. იგულისხმება ამ განედებზე განფენილი ტერიტორიების დაუსახლებლობა და, აქედან გამომდინარე ურბანისტული პროცესების განსაკუთრებული სიმცირე;
2. ათბობა იზრდება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. მაგალითად, ბრიტანეთის კუნძულებზე ივლისის ტემპერატურამ  $1-1.5^{\circ}\text{C}$ -ით მოიმატა, ტაიმირზე კი  $6^{\circ}\text{C}$ -ით;
3. არსებითად ათბობა აღინიშნება ზამთარში. თუ იანვრის ტემპერატურა ბრიტანეთში  $2^{\circ}\text{C}$ -ით აიწია, შესაბამისად იაკუტიაში  $12^{\circ}\text{C}$ .
4. შემცირებულია დღე-ღამური, განსაკუთრებით კი წლიური ამპლიტუდა, ეს უკანასკნელი მცირდება უცივესი თვის – იანვრის ტემპერატურის მატების გამო, ხოლო დღე-ღამური ამპლიტუდა – ღამის ტემპერატურის მომატებასთან დაკავშირებით;
5. ათბობის პერიოდში ყველა წელი მრავალწლიურ ნორმაზე თბილი არ არის, ხშირია, როდესაც მეზობელი წლების ტემპერატურებს დიდი კონტრასტები ახასიათებთ. მაგალითად, პეტერბურგში 1949 წლის იანვრის თვეში აღინიშნა  $-2.2^{\circ}\text{C}$ , ხოლო 1950 წელს  $-13.9^{\circ}\text{C}$ , ან კიდევ 1965 წელს  $(-5.3^{\circ}\text{C})$ , მის მომდევნო წელს კი  $(-14.9^{\circ}\text{C})$  [10];
6. ჩრდილო ნახევარსფეროსათვის შედგენილი ანტიციკლონების კატალოგიდან, რომელიც მოიცავს თითქმის მთელ XX საუკუნეს, ჩანს, რომ დღეთა რიცხვი ანტიციკლონებით (გარდა ბარენცის ზღვისა) ყველგან შემცირდა, განსაკუთრებით ახორის მაქსიმუმის რაიონში, ევროპის ჩრდილოეთით და დასავლეთ ციმბირის სამხრეთით. სამაგიეროდ გაიზარდა ციკლონების რიცხვი, რომლებმაც ტრაექტორიები შეიცვალეს. თუ ისინი უწინ სკანდინავიის გავლით იჭრებოდნენ ცენტრალურ ევროპაში და მის აღმოსავლეთით და, იმავედროულად, განიცდიდნენ ტრანსფორმაციას, ახლა ისინი პირდაპირ ვრცელდებიან აღნიშნულ ტერიტორიებამდე [9].
7. XX საუკუნის ბოლო ორი ათწლეული, განსაკუთრებით კი 1991-2000 წლები, გამოირჩეოდა ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურებით, რომელიც კი დაიკვირვებოდა ჩრდილო ნახევარსფეროში სულ ცოტა 20 საუკუნის მანძილზე.

კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის კავკასიაშიც, კერძოდ, კი საქართველოში, აღინიშნება კლიმატური ვარიაციები, რასაკვირველია გარკვეული

კორექტივებით, რომლებიც განპირობებულია საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებითა და, აგრეთვე, ამჟამად, აქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით.

საქართველოში არსებობს კლიმატის, როგორც თანამედროვე, ასევე ისტორიული, განსაკუთრებით კი პალეოკლიმატის შესწავლის დიდი ტრადიციები. ეს თემატიკა მუდამ იყო ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულება. მას სწავლობდნენ გამოჩენილი მეცნიერები მ.კორძახია, ლ.მარუაშვილი, დ.წერეთელი და სხვანი. რაც შეეხება გლობალური მასშტაბით კლიმატის თანამედროვე ცვლილების შესწავლას ექსპერიმენტზე დაყრდნობით, იგი, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება და ძირითადად უკავშირდება აკად. თ. დავითაიას სახელს [5].

ბოლო პერიოდში საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილებასთან დაკავშირებით არა ერთი მონოგრაფია გამოქვეყნდა, რომელთა შორის შეიძლება ითქვას საეტაპო მნიშვნელობისაა კოლექტიური ნაშრომი – „საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების ემპირიული მოდელი“ (ხელმძ: პროფ. კ. თავართქილაძე), სადაც პირველად განისაზღვრა რეგიონალური კლიმატის ცვლილების ემპირიული მოდელის აგების მეთოდი [1].


აღსანიშნავია, რომ ყველა მოდელს თავისი ნაკლი აქვს იმ დადებით მხარეებთან ერთად, რისთვისაც ჩვენ მათ ვიყენებთ. საქმე ის არის, რომ მათემატიკური მოდელირების ცდომილება, ეს არის რამოდენიმე სხვადასხვა სახის ცდომილებათა ჯამი. პირველ ყოვლისა ეს არის თავად მოდელის ცდომილება, რომელიც სქემატურად ასახავს რეალურ პირობებს, რადგან თავად ინფორმაცია არ არის ყოვლისმომცველი. მაგალითად 90-მდე მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემი, ცხადია, საკმარისი არ არის ისეთი რთული რელიეფის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. რაღა თქმა უნდა სასურველი იყო 2-ჯერ, უკეთეს შემთხვევაში 3-ჯერ მეტი მეტეო-სადგურის მონაცემების გამოყენება; მეორე არ არის გამორიცხული, ზოგიერთ შემთხვევაში, საწყისი მონაცემების არაერთგვაროვნება და დაკვირვების მოკლე რიგი; მესამე – გამოყენებული მეთოდების და გამოთვლების ნაკლები სიზუსტე. ამიტომაც, მიღებული დასკვნები შეიძლება ითქვას მხოლოდ მიახლოებულია რეალურ სურათთან.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 90-მდე მეტეოროლო-გიური სადგურის მონაცემები ჰაერის ტემპერატურაზე იყო ის პირ-ველადი ემპირიული მასალა, რომლის ობიექტურმა ანალიზმა შესა-ძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა საქართველოს თერმული ველის მრავალწლიური ცვლილება 2 კრიტერიუმით:

პირველი: 1966-1995 და 1906-1935 წლების ჰაერის ტემპერატურის ანომალიათა შორის არსებული სხვაობებით  $\Delta T^0 = \Delta T^0_{1966-1995} - \Delta T^0_{1906-1935}$

და მეორე – ტემპერატურულ ანომალიათა ვარიაციების წრფივი აპროქსიმაციით, რომელიც შუა პერიოდსაც (1936-1965) მოიცავს. აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შედგენილ იქნა ზამთრისა და ზაფხულის ცენტრალური თვეების – იანვრისა და ივლისის, ცივი (XI-III) და თბილი (IV-X) პერიოდების, ასევე საშუალო წლიური ტემპერატურის რუკები [1].

სსენებელი რუკების შედგენისას, ჩვენ მიერ მიღებულმა, შეიძლება ითქვას „მგრძობიარე“ გრადაციებმა, რუკების მოზაიკური სურათი გამოავლინა, რაც იმას გულისხმობს, რომ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის მრავალწლიურ ცვლილებას (სურ.2) განსხვავებული მიმართულება და სიჩქარე გააჩნია, ცხადია დროის გარკვეულ მონაკვეთში, კერძოდ 1906-1995 წლებში. მოზაიკურობა არ ნიშნავს უწესრიგობას. ეს, უთუოდ, არის ნაბიჯი წესრიგისაკენ, ე.ი. ბუნებრივ პროცესებში კანონზომიერებების დადგენისაკენ.



სურ.2

ზემოსხენებელი მოზაიკურობა უნდა აიხსნას საქართველოს პოლიკლიმატურობით, რაც განპირობებულია მისი მდებარეობით ზომიერი და სუბტროპიკული ზონების საზღვარზე, ჩრდილოეთით დაახლოებით 1100კმ – სივრცის კავკასიონის მძლავრი მთიანი სისტემის მეზობლობით და სხვა მნიშვნელოვანი კლიმატწარმოქმნელი ფაქტორების მთელი ანსამბლით, რომელთა შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება შავი ზღვის აკვატორიას

(440 ათასი კმ<sup>2</sup>) და, რაღა თქმა უნდა, ლიხის ქედს, რომელსაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის კლიმატური „კედელიც“ შეიძლება ეწოდოს.

ცნობილი კლიმატოლოგის – მ.კორძახიას კლასიფიკაციით საქართველოს ტერიტორიაზე 20-ზე მეტი ტიპის კლიმატია [2]. თითოეული მათგანი განსაკუთრებულ ლანდშაფტურ ნიშანს ქმნის, რომლებიც ინდივიდუალურად რეაგირებენ კლიმატის თანამედროვე ცვლილებაზე (გლობალურ ათბობაზე), მათთვის დამახასიათებელი სითბური ბალანსის მეშვეობით.

სითბური ბალანსის შემადგენელი კომპონენტების მიერ დახარჯული სითბო განისაზღვრება ფორმულით:

$$R=Lr+P+A \quad (1)$$

სადაც: R – რადიაციული ბალანსის სიდიდე მთელი წლის განმავლობაში; Lr – იმავე პერიოდში აორთქლებაზე დახარჯული სითბო; P – ტურბულენტური სითბოცვლა ქვეყნის ზედაპირსა და ატმოსფეროს შორის; A – სითბოცვლა ნიადაგში.


თუ დავუშვებთ, რომ A=0, მივიღებთ

$$R=Lr+P \quad (2)$$


გლობალური ათბობის დროს, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ბარში, ასევე მთაში, როგორც ზღვის სანაპიროზე, ასევე ხმელეთზე დამატებითი სითბოს რაოდენობა ყველგან თანაბრად მიიღება. მაშასადამე გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ტემპერატურის ცვლილებას როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში მსგავსი მიმართულება, კერძოდ ზრდა, უნდა ახასიათებდეს. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ზემოსენებული სითბური ბალანსის კომპონენტები განსაკუთრებულად რეაგირებენ ათბობაზე, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მშრალი სუბტროპიკული ჰავაა, ჰაერის გათბობაზე მეტი სითბო იხარჯება, ვიდრე აორთქლებაზე (ნაკლები ატმოსფერული ნალექების გამო). ამიტომაც, ტემპერატურას მკაფიოდ გამოხატული მატების ტენდენცია ახასიათებს, განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში (დაახლოებით 1.0°C). ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატის ცვლილება უნისონშია გლობალურ ათბობასთან.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ობსერვატორია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე რეპრეზენტატული და ამავე დროს ყველაზე გრძელი რიგისმქონე მეტეოსადგურია (შეიძლება ითქვას მთელ კავკასიაშიც), კარგად ასახავს ზამთრის (იანვარი), გაზაფხულის (აპრილი), შემოდგომის (ოქტომბერი) ასევე წლიური ტემპერატურის საუკუნეობრივ მსვლელობაში შემჩნეულ თავისებურებებს (სურ.3).







ა.



ბ.



გ.



დ.

სურ.3 ჰაერის საშუალო ტემპერატურის საუკუნობრივი მსვლელობა თბილისში. ა.იანვარი, ბ. აპრილი, გ. ოქტომბერი, დ. წლიური

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, სადაც ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა და სითბური ბალანსის შემოსავალი ნაწილის (წლიური რადიაციული ბალანსის) დაახლოებით 70% აორთქლებაზე იხარჯება [11], თერმული რეჟიმის ცვლილება მთელ საკვლევ პერიოდში (1906-1995), შეიძლება ითქვას, არ შეინიშნება (სურ.2). თუმცა მის ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად, შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ რაიონებში, ტემპერატურის უმნიშვნელო კლებაც კი აღინიშნება, რასაც აცივებას ვერ ვწოდებთ ტემპერატურის ნაზრდის (-0.1-0.3<sup>0</sup>C) სიმცირის გამო, რაც პრაქტიკულადაც უმნიშვნელოა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოფ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მეტეოსადგურების რიცხვი. არსებობს საფუძველი იმისა, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს იმ მცირერიცხოვანი მეტეოსადგურების კლიმატური მონაცემების ვარგისიანობა, რომლებიც ასე თუ ისე განაგრძობენ ფუნქციონირებას.

გეოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით მიუღებელია, რომ ერთი და იგივე ჰავის ქვეზონაში ახლომდებარე მეტსადგურებმა (მაგ. საქარამ და ქუთაისმა) ტემპერატურის ცვლილების განსხვავებული მიმართულება უჩვენონ, რაც შეეხება ტემპერატურის ცვლილების სიჩქარეს, იგი უთუოდ, უმეტეს შემთხვევაში განსხვავებული შეიძლება იყოს ორ მეზობელ მეტეოსადგურს შორის, სხვადასხვა მიკროკლიმატურ-ლანდშაფტური პირობების გამო.

აღსანიშნავია, რომ კლიმატოლოგია როგორც მეტეოროლოგიის, ასევე გეოგრაფიულ მეცნიერებათა ერთ-ერთი დისციპლინაა. აქედან გამომდინარე, იგი სტატისტიკური (ე.ი. პირველადი ემპირიული) მასალის გარდა იყენებს გეოგრაფიული კვლევის სხვადასხვა მეთოდებს – კომპლექსურს, ლოგიკურს, სივრცობრივს, ისტორიულს ასევე ანალოგების და ა.შ. საკვლევი საკითხის შესწავლისას სწორედ ყველა ამ მეთოდის გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების: დასავლეთ საქართველოს კლიმატის (თერმული ველის) რეზისტენცია გლობალური ათბობის მიმართ საკმაოდ დიდია. შეიძლება ითქვას იგი კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე არ რეაგირებს. აქ მართებულია დიდი გეოგრაფის ლ.მარუაშვილის [8] მოსაზრების გაზიარება: „კოლხეთი წარმოადგენს უძველეს და საოცრად თავისებურ რეფუგიუმს წარსული ეპოქების ფლორისათვის. ძირითადი ფაქტორი კოლხეთში უძველესი ფლორისა და ფაუნის რელიქტების გადარჩენაში გახლავთ ჭარბი ატმოსფერული ნალექები და სეზონების მიხედვით თანაბარი დანესტიანება, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ ტემპერატურულ რყევებს“. მკვლევართა [3-4,8] აზრით ეს რყევები რამოდენიმე გრადუსს აღწევდნენ.

გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ სწორედ ზემოხსენებულმა კლიმატურმა პირობებმა, რომლებიც დღესაც (შეიძლება ითქვას) იგი-

ვეა, განაპირობა საკვლევ პერიოდში (1906-1995) დასავლეთ საქართველოს თერმული რეჟიმის მდგრადი წონასწორობა, მითუმეტეს რომ უკანასკნელი 100 წლის მანძილზე გლობალური ტემპერატურის რყევა, კერძოდ მატება, მხოლოდ 0,74<sup>0</sup>C-ია.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. თავართქილაძე კ., ელიზბარაშვილი ე., მუშლაძე დ., ვაჩხაძე ჯ. 1999. საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების ემპირიული მოდელი. თბილისი, ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი. გვ. 126
2. კორძახია მ. 1964. ჰავის ტიპები. საქართველოს სსრ. ატლასი. თბილისი-მოსკოვი. 97-98 გვ.
3. Будько М.И. 1974. Изменения климата. – Л. Гидрометеиздат, 159-188 с.
4. Будько М.И. 1971. Климат и жизнь. Л. Гидрометеиздат, с. 472
5. Давитая Ф.Ф. 1965. О возможном влиянии запыленности атмосферы на уменьшение ледников и потепление климата.. // Изв. АН СССР, сер. географ, №2, 3-29 с.
6. Зденек Кукал 1987. Скорость геологических процессов. М., изд. „Мир“, 192 с.
7. Каган Б.А. и др. 1990. Реакция системы Океан-Атмосфера на внешние воздействия Л. Гидрометеиздат с.4
8. Маруашвили Л.И. 1991. Грузия в антропогене Изд. „Сакартველო“, Тბ. с.607
9. Мещерская А.В. и др. 2001. Снижение антициклоничности (рост циклоничности) на севере Евразии в связи с глобальным потеплением климата. Изв.Российской академии наук, сер. Географ. №6 15-24 с.
10. Рубинштейн Е.С., Полозова Л.Г. 1966. Современные изменения климата. Л. Гидрометеиздат, с.268
11. Цуцкиридзе Я.И. 1975. Возможность использования индекса турбулентного теплообмена для оценки климатических условий. Сб. докладов Симпозиума Географического общества Союза ССР. Тб. Изд. „Мецნიერება“ 32-38 с.

შპს 551.58.583

**საქართველოს თერმული ველის ცვლილება კლიმატის გლობალური ფაქტორების ზონაზე**. / მუშლაძე დ., ლომიძე ნ/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008-ტ.115-გვ. 66-75.- ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

რთული რელიეფისა და სხვა კლიმატწარმოქმნელი ფაქტორების გამო, საკვლევ პერიოდში (1906-1995) საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის მრავალწლიური ცვლილება განსხვავებულია. თუ აღმოსავლეთ საქართველოს თერმული ველის ცვლილება უნისონშია კლიმატის თანამედროვე ცვლილებასთან (რომელსაც გლობალური აბობა ეწოდება და შეფასებულია 0.74<sup>0</sup>C-ით) დასავლეთ საქართველოს თერმული რეჟიმი

ინარჩუნებს მდგრად წონასწორობას, ანუ უცვლელობას, რასაც საქართველოს 90-მდე მეტეოსადგურის ჰაერის ტემპერატურის მონაცემები ადასტურებს.

UDC 551.58.583

**CHANGING OF THERMAL FIELD OF GEORGIA AGAINST THE BACKGROUND OF GLOBAL WARMING./**Mumladze D., Lomidze N./Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 66-75. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

Due to the complexity of Georgia's relief and other climatic factors, changes of air temperature during the period (1906-1995) are different in west and east part of Georgia. If in eastern part of Georgia change of thermal field is in unison with modern changes of climate (known as global warming and is estimated by 0.74°C for 100 years), in western Georgia thermal regime remained steady equilibrium e.g. unchanged for the humid climate, which is proved by temperature data according to 90 meteorological stations of Georgia.

УДК 551.58.583

**ИЗМЕНЕНИЕ ТЕРМИЧЕСКОГО ПОЛЯ ГРУЗИИ НА ФОНЕ ГЛОБАЛЬНОГО ПОТЕПЛЕНИЯ./**Мумладзе Д.Г., Ломидзе Н.Н./ Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2008. – т.115. – с. 66-75. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус.

Из-за сложного рельефа и других климатообразующих факторов, в исследуемом периоде (1906-1995) многолетние изменения температуры воздуха на территории Грузии различны для ее западной и восточной частей. Так, если в Восточной Грузии изменение термического поля находится в унисоне со современным изменением климата (именуемом глобальным потеплением и оцененным в 0.74°C за 100 лет), то в Западной Грузии из-за исключительно влажного климата, термический режим сохраняет устойчивое равновесие, т.е. неизменен, что подтверждается данными по температуре воздуха 90 метеостанций Грузии.

*Швангирадзе М.Я.<sup>1</sup> Берिताшвили Б.Ш.<sup>2</sup> Куталадзе Н.Б.<sup>3</sup>*

*<sup>1</sup>Второе Национальное Сообщение Грузии по РКИК ООН*

*<sup>2</sup>Институт гидрометеорологии Грузии*

*<sup>3</sup>Департамент гидрометеорологии НЦОС Грузии*

УДК 551.58.583

## **ВЫЯВЛЕННОЕ И ПРОГНОЗИРУЕМОЕ ИЗМЕНЕНИЕ КЛИМАТА В ГРУЗИИ И ЕГО ВЛИЯНИЕ НА ЭКОНОМИКУ И ПРИРОДНЫЕ ЭКОСИСТЕМЫ**

ჩვენს მიერ შემუშავებული სცენარებით, ჰაერის ტემპერატურის 1<sup>o</sup>-ით მატებისას, ტემპერატურის 10<sup>o</sup>-ს ზევით და მის ქვემოთ გადასვლების თარიღების განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ გაზაფხულზე იგი იწყება საშუალოდ 6 დღით ადრე, ხოლო შემოდგომაზე 10<sup>o</sup>-ს ქვემოთ წყდება 6 დღით გვიან, არსებული მრავალწლიური ტემპერატურის 10<sup>o</sup>-ს ზევით გადასვლის თარიღებთან შედარებით. სცენარით, ტემპერატურის 2<sup>o</sup>-ით მატებისას, 10<sup>o</sup>-ს ზევით თარიღის გადასვლა გაზაფხულზე 11 დღით ადრე იწყება და შემოდგომაზე იგივე რაოდენობის დღეებით გვიან წყდება. სცენარების მიხედვით, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა იზრდება, რაც ხელს შეუწყობს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებას და მოსავლის სრულ ფორმირებას კერძოდ, იმ ადგილებში სადაც ტემპერატურის ჯამი ნაკლებია. ჩვენს მიერ დადგენილ მონაცემებს ადასტურებს კოსმოსური გადაღებები, რომლის მიხედვით ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხული ერთი კვირით ადრე დგება, ამიტომ მცენარეთა ზრდის და ფოტოსინთეზის პერიოდები გაზრდილია. საინტერესოა, აგრეთვე ევროპის ბოტანიკურ ბაღებში ჩატარებული

გამოკვლევები, რომლებმაც გამოავლინა ვეგეტაციური პერიოდის ხანგრძლივობის 10 დღით გაზრდა.

ზემოგანხილული ასპექტებიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია აგროკლიმატურ ზონებზე კლიმატის გლობალური დათბობის გავლენის გათვალისწინება, სადაც მიუთითებთ შემუშავებული სცენარებით ტემპერატურის 1 და 2°-ით მატებისას როგორი იქნება ტემპერატურათა ჯამები და ამის საფუძველზე მცენარეთა გავრცელების შესაბამისი ზონები. ამისათვის გამოვიყენეთ ზემოსხენებული განტოლებები და განვსაზღვრეთ ფაქტიური აქტიურ ტემპერატურათა ჯამები, ასევე სცენარით 1 და 2°-ით მატებისას და გამოვყავით სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების 5 აგროკლიმატური ზონა. ზონები ერთმანეთისაგან გამოყოფილია დაახლოებით 1000°-ს გრადაციით (ცხრილი 2).

ცხრილი 2. აქტიურ ტემპერატურათა ჯამები (>10°) აგროკლიმატური ზონების მიხედვით

აგროკლიმატური ზონა, სიმაღლე ზღ. დონიდან (მ)	ჰაერის ტემპერატურის ჯამი >10°		
	სრულიად საქართველოში	სცენარი, დას. საქართველოში ტემპერატურის 1°-ით მატებისას	სცენარი, აღმოს. საქართველოში ტემპერატურის 2°-ით მატებისას
I 300	4000°	4170°	4540°
II 900	3000°	3210°	3500°
III 1500	2000°	2270°	2450°
IV 2100	1000°	1310°	1420°
V 2300	700°	1000°	1090°

მოცემულ ზონებში სასურველია ვიცოდეთ სცენარის მიხედვით ტემპერატურის 1 და 2°-ით მატებისას აქტიურ ტემპერატურათა ჯამების ცვლილება და მცენარისათვის საჭირო ტემპერატურის ჯამის განმეორების უზრუნველყოფა ყოველ 10 და მეტ წელიწადში. ამისათვის ვისარგებლეთ ნაშრომში [7] მოცემული აქტიურ ტემპერატურათა ჯამის განსაზღვრის ნომოგრამით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების I აგროკლიმატურ ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 4400-4000°. იგი ვრცელდება ზღვის დონიდან 300 მეტრამდე. ამ ზონაში წარმატებით მიმდინარეობს ციტრუსების, ჩაის, ვაზის, ხეხილოვანი და სხვა კულტურების ზრდა-განვითარება. თუმცა ზიგიერთ წლებში ციტრუსების ნაყოფები სრულ სიმწიფეს ვერ აღწევს, განსაკუთრებით აჭარისა და გურიის რეგიონებში. მოცემულ ზონაში მანდარინის საადრეო ჯიშების სრული მომწიფება ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლემდე უზრუნველყოფილია ყოველ წელს, საგვიანოსი 8-9-ჯერ ყოველ 10 და მეტ წელში, ხოლო ფორთოხლის და გრეიფრუტის ნაყოფების სიმწიფე 1-2-ჯერ, ისიც საადრეო ჯიშების. 300 მ სიმაღლემდე (აჭარა-გურია) მანდარინის საადრეო ჯიშების ნაყოფების მომწიფება უზრუნველყოფილია 4-5-ჯერ, საგვიანოსი 2-3-ჯერ ყოველ 10 და მეტ წელში. რაც შეეხება ლიმონის კულტურის ნაყოფების სიმწიფეს, იგი იერიფება ტექნიკურ სიმწიფეში (ღია მწვანე, ოდნავ მოყვითალო შეფერილობის), რაც მიგვანიშნებს ვიტამინი "C"-ს მაღალ შემცველობაზე. ამიტომ მისთვის სრულიად საკმარისია 10°-ს ზევით 3800-4000 ტემპერატურის ჯამი, რომელიც ზონაში ნაყოფების სიმწიფეს უზრუნველყოფს ყოველ წელს, მაგრამ აუცილებელია ზამთრის ყინვებისაგან მისი საიმედოდ დაცვა.

მოცემულ ზონაში ციტრუსოვანთა ნაყოფების სრული სიმწიფე აფხაზეთის და სამეგრელოს რეგიონებში აჭარისა და გურიის რეგიონებთან შედარებით უკეთესადაა უზრუნველყოფილი საჭირო ტემპერატურის ჯამებით. სცენარის მიხედვით ტემპერატურის 1°-ით მატებისას, აღნიშნულ ზონაში ზღვის დონიდან 200-300 მეტრამდე ციტრუსოვანთა ნაყოფების სრული სიმწიფე ყოველ წელს უზრუნველყოფილია საჭირო ტემპერატურათა ჯამებით, განსხვავებით მოცემულ სიმაღლეებზე ფაქტიურად არსებული ტემპერატურათა ჯამებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ სცენარით ტემპერატურის 1°-ით მატებისას 10°-ს ზევით ტემპერატურის ჯამის მატება სავეგეტაციო პერიოდში საშუალოდ არის 240-260°. ამის გამო ციტრუსოვანი კულტურების გავრცელების ზონა მადლა იწევს 100-150 მ-ით. ამიტომ საადრეო მანდარინის ნაყოფების სრული მომწიფება უზრუნველყოფილია 400 მ-ზე 8-9-ჯერ, საგვიანოსი 6-7-ჯერ, ფორთოხლის 1-2-ჯერ ყოველ 10 წელში.

II – ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4000-დან 3000°-მდეა და ვრცელდება 900 მეტრამდე. აქ გავრცელებულია – ჩაი 550 მეტრამდე ზღვის დონიდან, ვაზი – საგვიანო 800 მეტრამდე, ხეხილოვანები 1300-1350 მეტრამდე, სამარცვლე სიმინდი 900-950 მეტრამდე და აგრეთვე სხვა კულტურები. სცენარებით, ტემპერატურის 1°-ით მატებისას ჩაის კულტურა გავრცელდება 600-700 მეტრამდე ზღვის დონიდან,

საგვიანო ვაზის ჯიშები 900-950 მეტრამდე, სადაც მტევნების სიმწიფე იქნება ყოველ წელს (დასავლეთ საქართველოში). ტემპერატურის 2<sup>o</sup>-ით მატებისას იგი ვრცელდება 1000-1100 მეტრამდე და მტევნების სიმწიფე იქნება ყოველ წელს (აღმოსავლეთ საქართველოში). ხეხილოვანები (ვაშლი, მსხალი და სხვა) სცენარების მიხედვით 1 და 2<sup>o</sup>-ით მატებისას შესაძლებელია გავრცელდეს ზღვის დონიდან 1400-1500, 1550-1650 მეტრამდე შესაბამისად.

III – ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამია 3000-2000<sup>o</sup>. იგი ვრცელდება ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე. აქ ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობებია ხორბლის, სამარცვლე სიმინდის, ქერის, შვრიის, კარტოფილის და სხვა კულტურების წარმოებისათვის. მოცემულ ზონაში საშემოდგომო ხორბლის კულტურა ტემპერატურის 1<sup>o</sup>-ით მატებისას ზღვის დონიდან გავრცელდება 1550-1650 მეტრამდე, ხოლო 2<sup>o</sup>-ით მატებისას 1750-1800 მეტრამდე. ხორბლის მარცვლების მომწიფება უზრუნველყოფილი იქნება ყოველ წელს საჭირო ტემპერატურის ჯამით (1900-2000<sup>o</sup>) და ფართოვდება მისი გავრცელების არეალი. სამარცვლე სიმინდის არეალი გაფართოვდება სცენარების მიხედვით ტემპერატურის 1 და 2<sup>o</sup>-ით მატებისას და გავრცელდება ზღვის დონიდან 1050-1100 და 1200-1300 მეტრამდე შესაბამისად. მარცვლების მომწიფება უზრუნველყოფილი იქნება ყოველ წელს.

IV – ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შემცირებულია 2000<sup>o</sup>-დან 1000<sup>o</sup>-მდე და ვრცელდება 2100 მეტრამდე. აქ ძირითადად გავრცელებულია ქერი, შვრია, კარტოფილი და ბოსტნეული კულტურები. ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობებია სათიბ-საძოვრებისათვის. სცენარებით ტემპერატურის 1 და 2<sup>o</sup>-ით მატებისას შესაძლებელია აღნიშნული კულტურების არიალის გაფართოება ზღვის დონიდან 2200-2300 მეტრამდე.

V – ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1000<sup>o</sup>-დან 700<sup>o</sup>-მდეა შემცირებული და ვრცელდება ზღვის დონიდან 2300 მეტრამდე. სცენარებით ტემპერატურის 1 და 2<sup>o</sup>-ით მატებისას, მატულობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და 2300 მეტრზე იქნება 1000-1100<sup>o</sup> შესაბამისად. რაც მოცემულ სიმაღლემდე იძლევა შვრიის, ქრის, საადრეო კარტოფილის, ზოგიერთი ბოსტნეული კულტურების და მეცხოველეობის საკვები ძირხვევნების (“კუუზიკუ”, “ესკო”) გავრცელებისა და სათიბ-საძოვრების გაფართოების საშუალებას.

დავასკვნით, რომ კლიმატის გლობალური დათბობის გავლენა აისახება აგროკლიმატურ ზონებზე. შემუშავებული სცენარებით ტემპერატურის 1<sup>o</sup>-ით მატებისას, გამოყოფილ აგროკლიმატურ ზონებში ტემპერატურის ჯამები 10<sup>o</sup>-ს ზევით მოიმატებს საშუალოდ 240-260<sup>o</sup>-ით (დასავლეთ საქართველო), ხოლო 2<sup>o</sup>-ით მატებისას 480-500<sup>o</sup>-ით და

ოღნავ მეტით (აღმოსავლეთ საქართველო). ციტრუსების, ჩაის, ვაზის, სიმინდის (სამარცვლე), საშემოდგომო ხორბლის და სხვა კულტურების გავრცელების ზონები პირველად აიწვეს მაღლა ტემპერატურის 1<sup>o</sup>-ით მომატებისას 100-150 მეტრით, ხოლო 2<sup>o</sup>-ით მომატებისას 200-300 მეტრით მაღლა, ამჟამად არსებული მათი გავრცელების ზონებთან შედარებით.

### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Bruce J.P. 1990. The Atmosphere of the Living planet. Earth. Geneva: WMO, № 705, pp. 42
2. Бериташвили Б.Ш., Гуния Г.С., Инцкирвели Л.Н., Кучава Г.П. 2002. О динамике эмисии парниковых газов с территории Грузии. В кн. «Проблемы физики пограничного слоя атмосферы и загрязнения воздуха». Гидрометеоиздат, М., ст. 296-302
3. Будико М.И. 1980. Климат прошлом и в будущем. Гидрометеоиздат, Л., ст. 351
4. გ.გუნია 2005. ატმოსფეროს ეკოლოგიური მონიტორინგის მეტეოროლოგიური ასპექტები. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, გვ. 265
5. კთავართქილაძე, ეკელიზბარაშვილი, დ.მუშლაძე, ჯ.ვახანაძე 1999. საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების ემპირიული მოდელი. თბილისი, გვ. 128
6. მამელაძე 2008. აგრომეტეოროლოგია. გამომც. “უნივერსალი”, თბილისი, გვ. 250
7. მამელაძე 1971. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების აგროკლიმატური პირობები და პროგნოზები. გამომც. “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, გვ. 157
8. Справочник по климату СССР. 1967. Температура воздуха и почвы. Вып. 14, Гидрометеоиздат, Л., ст. 375
9. Хэфлинг Г.И. 1990. Тревога 2000 году. Изд. «Мысль», М., ст. 271

შპს 630:551.58

**კლიმატის გლობალური დათბობის გავლენა აგროკლიმატური ზონების ცვლილებაზე**/მელაძე გ., თუთარაშვილი მ., მელაძე მ./კმი-ს შრომათა კრებულში -2008.-ტ.115-გვ. 97-104.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების ანალიზისა და დამუშავების შედეგად დამყარებულია მაღალი კორელაციური კავშირი ჰაერის ტემპერატურის 10<sup>o</sup>-ს ზევით გადასვლის თარიღს, აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა და ზღვის დონიდან სიმაღლეს შორის. დადგენილი კავშირების საფუძველზე შედგენილია რეგრესიის განტოლებები, რომელთა მიხედვით განსაზღვრულია აქტიურ ტემპერატურათა ჯამები აგროკლიმატური ზონების სასთვის. გამოყოფილია 5 აგროკლიმატური ზონა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებისათვის.



სკენარის მიხედვით ტემპერატურის 1°-ით მატებისას ციტრუსების, ვაზის, ჩაის, სამარცვლე სიმინდის, საშემოდგომო ხორბლის და სხვა კულტურების გავრცელების ზონამ 100-150 მეტრით აიწია მაღლა, ამჟამად არსებული მათი გავრცელების ზონებთან შედარებით, ხოლო 2°-ით მატებისას 200-300 მეტრით.

UDC 630:551.58

**INFLUENCE OF GLOBAL WARMING ON CHANGES OF AGROCLIMATIC ZONES./Meladze G., Tutarashvili M., Meladze M./**Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - ტ.115. – პ. 97-104. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

As a result of the analysis and data processing of meteorological observations are established close correlation connections - between date of air temperature rise above 10°, the sum of active temperatures and altitude above sea level. On the basis of the established connections the equations of regress are made, according to which sums of active temperatures for agroclimatic zones are defined. 5 agroclimatic zones for distribution of various agricultural crops are allocated.

According to the scenario, upon temperature rise of 1° for citrus, vineyards, tea, corn on grain, a winter wheat and other cultures the zone of distribution will go up to 100-150 m. above sea level, than nowadays exists, and at increase in temperature on 2° zones will go up to 200-300 m. a.s.l.

УДК 630:551.58

**ВЛИЯНИЕ ГЛОБАЛЬНОГО ПОТЕПЛЕНИЯ КЛИМАТА НА ИЗМЕНЕНИЯ АГРОКЛИМАТИЧЕСКИХ ЗОН./**Меладзе Г.Г., Тутарашвили М.У., Меладзе М.Г./Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с. 97-104. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус.

В результате анализа и обработки данных метеорологических наблюдений установлены высокие связи – с датой перехода температуры воздуха выше 10° с суммой активных температур и высотой над уровнем моря. На основе установленных связей составлены уравнения регрессии в соответствии с которыми определены суммы активных температур для агроклиматических зон. Выделены 5 агроклиматических зон для распространения сельскохозяйственных культур.

Согласно сценария при увеличении температуры на 1° для цитрусовых, виноградников, чая, кукурузы на зерно, озимой пшеницы и других культур зона распространения повысится на 100-150 метров чем ныне существует, а при увеличении температуры на 2° зоны повысятся на 200-300 метров.

გრიგოლია გ.<sup>1</sup>, ალავერდაშვილი მ.<sup>2</sup>, ტრაპაიძე ვ.<sup>1,2</sup>,  
ბრეგვაძე გ.<sup>1</sup>, კიკნაძე დ.<sup>2</sup>, ხუფენია ნ.<sup>1</sup>, კოკია ნ.<sup>1</sup>.

<sup>1</sup>ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
<sup>2</sup>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

## კლიმატის ცვლილების ფონზე მდინარის ჩამონადენის და ნალექების ერთობლივი სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ბუნებრივი სიმდიდრე წყლის რესურსებია. ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია, არსებული წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს სრულ წარმოდგენას (ინფორმაციას) წყლის არსებულ რაოდენობაზე და მის მოსალოდნელ ცვლილებებზე კლიმატის ცვლილების ფონზე.

კლიმატის გლობალურმა დათბობამ გამოიწვია წალგაცვლის პროცესის ინტენსიფიკაცია. კლიმატის ცვლილების სამთავრობათა-შორისო საბჭოს (IPCC, 2007) შეფასების მეოთხე მოხსენება ადასტურებს გლობალური დათბობის ციკლის არსებობას. 1905-2005 წწ. ას-წლიანი წრფივი ტრენდი (0.74°C) აღემატება 1901-2000 წწ. შესაბამისი ტრენდის მნიშვნელობას (0.6°C), რომელიც წინა (IPCC, 2001) შეფასების მოხსენებაშია მოცემული. 1990-2100 წწ. პერიოდში მოსალოდნელია ტემპერატურა გაიზარდოს 1.4-5.8°C-ით. ამასთან მოსალოდნელია, რომ XXI საუკუნეში გაიზრდება ნალექების რაოდენობა, შემცირდება თოვლის საფარის გავრცელება, ხოლო მყინვარები გააგრძელებენ უკან დახევას. დათბობა უარყოფით გავლენას ახდენს მიწისქვეშა წყლების მარაგის ცვალებადობაზე. მიწისქვეშა წყლის დონეები ზოგიერთ წყალშემცველ ფენებში მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც შეამცირა ბევრი მდინარის წყალმცირობის ჩამონადენი.

ყველა ეს ფაქტორი უშუალოდ ზემოქმედებს წყლის რესურსების უზრუნველყოფაზე, მდინარის ჩამონადენის რეჟიმზე და შიგა-წლიურ განაწილებაზე. სავარაუდოდ გლობალური დათბობის ზემოქმედება ჩამონადენის შიგაწლიურ განაწილებაზე უფრო ინტენსიური გახდება. შემცირდება წყალმცირობის პერიოდის ჩამონადენი და გაიზრდება უხვწყლიანის. ამასთან დაკავშირებით ჩამონადენის დარეგულირება მომავალში უფრო გართულდება.

აქედან გამომდინარე მეტად აქტუალურია მდინარის ჩამონადენისა და მისი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორის – ნალექების რაოდენობრივი ცვლილების დინამიკის გამოვლენა, რაც გულისხმობს

ტრენდის შეფასებას. ტრენდის გამოვლენის თვალსაჩინო ხერხს წარმოადგენს ხოლო ტრენდის ნიშანდობა შეიძლება შეფასდეს შემთხვევით სიდიდეს ( $x$ ) და მის რიგით ნომერს ( $i$ ) შორის კორელაციის კოეფიციენტის ( $r_{xi}$ ) სიდიდით. ყველა ამ საკითხის შესწავლისათვის აუცილებელია გვექონდეს ისტორიულად დაკვირვებული მონაცემები. სამწუხაროდ 1990 წლიან მკვეთრად შემცირდა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების რიცხვი. 2007 წელს ფუნქციონირებდა მხოლოდ 13 მეტეოროლოგიური სადგური და 20 საგუშაგო.

საანგარიშოდ შეირჩა თსუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის მდ. ვერეხე წყლის ხარჯისა და ნალექების დაკვირვებული მონაცემები, რომელიც ტარდება 1963 წლიდან დღემდე.

მდ. ვერეხე სათავეს იღებს დიდგორის ქედის სამხრეთ კალთაზე სოფ. მოხისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ზღვის დონიდან 1682 მ სიმაღლეზე და ერთვის მდ. მტკვარს თბილისის მიდამოებში ზღვის დონიდან 390 მ სიმაღლეზე. მდინარის სიგრძე 42.5 კმ-ია, საშუალო დახრილობა 32.2%, წყალშემკრები აუზის ფართობი 190 კმ<sup>2</sup>-ია. საშუალო მრავალწლიური ხარჯი 1.0 მ<sup>3</sup>/წმ-მდეა. აუზში რამოდენიმე პატარა ტბაა, რომელთა სიღრმე 4 მეტრს არ აღემატება.

მდ. ვერეხე აუზი ასიმეტრიულია, იგი მთლიანად აგებულია ზედა ეოცენური ქანებით – ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. იგი მოქცეულია მშრალი კონტინენტური ჰავის არეში. მის აუზში ზაფხული ცხელი და მშრალია, ზამთარი უნალექო და ცივი. ნალექების უმეტესი რაოდენობა გაზაფხულზე მოდის, ზაფხულში კი საკმაოდ ხანგრძლივი უნალექო პერიოდის შემდეგ იცის ხანმოკლე ძლიერი თავსხმა წვიმები, რომელიც ზოგჯერ კატასტროფულ ხასიათს იძენს.

მდ. ვერეხე წლიური ჩამონადენის განაწილება საზრდოობის წყაროების მიხედვით გაკეტებულია მოცემულ დაკვირვების პერიოდში (1963-2007წწ.) შერჩეული საშუალო წელიწადის წლისათვის (1967წ.), რომლის მიხედვითაც ჩამონადენის წლიური რაოდენობიდან შეადგენს: თოვლი – 17.0%, წვიმა – 43.7% და მიწისქვეშა – 39.3%.

საანგარიშოდ ინტერვალად შეირჩა ცალკეული თვეების და სეზონების (III-V, VI-VIII, IX-XI, XII-II) წყლის ხარჯების ( $Q$  მ<sup>3</sup>/წმ) საშუალო მნიშვნელობები და ნალექების ( $X$  მმ) ჯამური სიდიდეები. ერთობლივი გაანგარიშებისათვის გამოყენებულია  $Q$ -სა და  $X$ -ის

მოდულური კოეფიციენტები:  $K_i^Q = \frac{Q_i}{Q}$ ;  $K_i^X = \frac{X_i}{X}$ .

ცალკეული თვეებისა და სეზონების ინტერვალის შერჩევა საშუალებას იძლევა ზოგადად დახასიათდეს ამ პერიოდების ჩამონადენისა და ნალექების ცვალებადობის დინამიკა (ტრენდი).

ამავე დროს ასეთი მონაცემები საშუალებას იძლევა გაანალიზდეს შიგაწლიური ჩამონადენის ცვალებადობა. თუმცა უფრო მისაღებია შიგაწლიური განაწილება ცალკეული თვეებისათვის, გამოისახოს თითოეული წლის პროცენტები წლიურიდან. პროცენტული მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შევისწავლოთ თითოეული თვის წლიურიდან წვლილის (%) ცვალებადობის დინამიკა დაკვირვებული პერიოდის განმავლობაში 1963-2007 წწ.

გამოვთვალეთ კორელაციური კავშირები ჩამონადენსა და ნალექებს შორის აღნიშნულ პერიოდში თვეებისა და სეზონების მიხედვით, რომელიც მოცემულია ცხრილებში 1 და 2:

ცხრილი 1.

თვე	I	II	III	IV	V	VI	VI I	VI II	IX	X	XI	XI I
$r_{XQ}$	0.37	0.50	0.33	0.59	0.48	0.70	0.34	0.32	0.42	0.37	0.14	0.18

ცხრილი 2.

სეზონი	III-V	VI-VIII	IX-XI	XII-II
$r_{XQ}$	0.63	0.52	0.44	0.65

მოცემული ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩამონადენსა და ნალექებს შორის საკმარისად მჭიდრო კავშირებია, გარდა XI და XII თვეებისა.

აგებულ იქნა ჩამონადენისა და ნალექების ერთობლივი ცვალებადობის გრაფიკები, მოდულურ კოეფიციენტებში (ნახ.1).

ტრენდის ნიშანდობა შეიძლება შეფასდეს შემთხვევით სიდიდესა და მის რიგით ნომერს შორის კორელაციის კოეფიციენტით  $r$  თუ გათვლების შედეგად აღმოჩნდება რომ კორელაციის კოეფიციენტი და რანგობრივი კრიტერიუმები მეტია  $2\sigma_r$ -ზე, სადაც  $\sigma_r = 1/\sqrt{n-1}$  ან  $\sigma_r = \sqrt{n/(n-1)}$ , მაშინ ტრენდი ჩათვლება სარწმუნოდ. [1]

ტრენდის შეფასებისათვის გამოთვლილ იქნა კორელაციის კოეფიციენტის თითოეული თვისა და სეზონისათვის, რომელიც მოცემული ცხრილებში 3 და 4:

ცხრილი 3.


თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
$X$	-0.07	0.11	0.11	0.19	-0.17	-0.07	-0.17	-0.16	-0.23	0.15	0.12	0.04
$Q$	0.15	0.06	0.08	0.21	0.36	0.15	0.19	-0.21	-0.09	0.11	0.20	0.13

ცხრილი 4.

სეზონი	III-V	VI-VIII	IX-XI	XII-II
--------	-------	---------	-------	--------

$X$	-0.08	-0.21	0.01	0.09
$Q$	0.20	0.01	0.09	0.23

ეს ცხრილი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ, როგორი ტენდენცია აქვს თითოეულ თვეში და სეზონში ჩამონადენსა და ნალექს, არის თუ არა ამ ტენდენციაში განსხვავება. გათვლებმა აჩვენა, რომ ნიშნავდა მხოლოდ V თვის ჩამონადენის ტრენდი, სადაც კორელაციის კოეფიციენტი  $r=0.36 > 2\sigma_r=0.31$ .



ნახ. 1.

ერთნაირი ტენდენცია (დადებითი) არის II, III, IV, XI და XII თვეებში, უარყოფითი – VIII, IX თვეებში. მიღებული კორელაციის მნიშვნელობები კლებადი რიგის სახით, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი, მოცემულია ცხრილებში 5 და 6, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავახარისხოთ ცვალებადობის ტენდენცია კორელაციის სიდიდის მიხედვით.

ცხრილი 5.

№	Q		X	
	r	თვე	r	თვე
1.	0.36	V	0.19	IV
2.	0.21	IV	0.15	X
3.	0.20	X	0.12	XI
4.	0.19	VII	0.11	II
5.	0.15	I	0.11	III
6.	0.15	VI	0.04	XII
7.	0.13	XII	-0.23	IX
8.	0.11	X	-0.17	V
9.	0.08	III	-0.17	VII
10.	0.06	II	-0.16	VIII
11.	-0.21	VIII	-0.07	VI
12.	-0.09	IX	-0.07	I

ცხრილი 6.

№	Q		X	
	r	სეზონი	r	სეზონი
1.	0.23	XII-II	0.09	XII-II
2.	0.20	III-V	0.01	IX-XI
3.	0.09	IX-XI	-0.21	VI-VIII
4.	0.01	VI-VIII	-0.08	III-V


როგორც ადრე აღვნიშნეთ შიგაწლიური განაწილების ცვალებადობის ტენდენციის შესწავლისათვის ყოველწლიური მონაცემებისათვის გამოვთვალეთ ჩამონადენის თითოეული თვის წვლილი პროცენტებში წლიური მნიშვნელობიდან [2]. ნახაზ 2-ში მოყვანილია ჩამონადენის ცალკეული თვეების წლიურიდან წვლილი %-ში დაკვირვებული პერიოდის განმავლობაში. ტრენდის შეფასებისათვის პროცენტებსა და რიგით ნომრებს შორის კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ 7-ში.

ცხრილი 7.

თვე											
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
r											
-0.02	-0.04	-0.04	0.11	0.13	0.02	0.07	-0.11	-0.23	-0.03	0.02	-0.03

როგორც ამ ნახაზიდან ჩანს არ შეიმჩნევა ჩამონადენის შიგაწლიური განაწილების ტენდენცია, კორელაციის კოეფიციენტის ყველა თვისათვის ნულთან ახლოსაა, მხოლოდ V თვეში  $r=0.23$ .

ჩამონადენისა და ნალექების ცვალებადობის ერთობლივმა ანალიზმა, გვაჩვენა რომ ზრდადობის და კლებადობის ტენდენციები განსხვავებულია ცალკეული თვეებისთვის და სეზონისთვის და ნიშნადი ტრენდი მხოლოდ მესამე თვეში შეინიშნება. ცალკეული თვეებით ჩატარებული ანგარიში უფრო მეტ ინფორმაციას გვაძლევს და უფრო საიმედოა, ვიდრე წლიური ჩამონადენის.



ნახ. 2

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. О.Р. Шелутко 1991. Численные методы в гидрологии, Ленинград, Гидрометеиздат, с. 157.
2. Г. Григолия, Д. Кереселидзе, Г. Брегвадзе 2003. Влияние глобального потепления климата на режим стока некоторых рек Грузии, Ереван, Наука, с. 74-79.

შპს 551

კლიმატის ცვლილების ფონზე მდინარის ჩამონადენის და ნალექების ერთობლივი სტატისტიკური ანალიზი/გრიგოლია გ., ალავერდაშვილი მ., ტრაპაიძე ვ., ბრეგვაძე გ., კიკნაძე დ., ხუფენია ნ., კოკია ნ./ ჰმის შრომათა კრებული -2008.-ტ.115-გვ. 105-111.- ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე მეტად აქტუალურია მდინარის ჩამონადენის და მისი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორის ნალექების ცვლილების კანონზომიერების ერთობლივი შეფასება წრფივი

რეგრესიით და ტრენდით (შემთხვევით სიდიდესა და მის რიგით ნომერს შორის კორელაციის კოეფიციენტით). შეფასებულია მდინარე ვერეს საშუალო თვიური და სეზონური (III-V, VI-VII, IX-XI, XII-II) ხარჯებისა და ნალექების ტრენდი. შიგაწლიური ცვალებადობის დადგენისათვის გამოთვლილია ცალკეული თვიური ჩამონადენის წლიურიდან პროცენტებში წვლილის ტრენდი. დადგენილია აღნიშნული პერიოდების ჩამონადენისა და ნალექების კორელაციური კავშირები.

UDC 551

**JOINT STATISTICAL ANALYSIS OF THE RIVER FLOW AND PRECIPITATIONS FALLEN IN BASIN ON THE BACKGROUND OF THE CLIMATIC CHANGE.**/Grigolia G., Alaverdashvili M., Trapaidze V., Bregvadze G., Kiknadze D., Khufenia N., Kokaia N./ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 105-111. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

On the background of global warming of the climate, the joint evaluation of the river flow and changes in precipitations, its principal stipulating factor by linear regression and trend (with the correlation coefficient between the random number and its ordinal number) is extremely urgent. The trend of average monthly and seasonal discharges of the Vere river (III-V, VI-VII, IX-XI, XII-II) and precipitations is estimated. The trend of the percentage ratio of the annual individual monthly discharges has been calculated with the aim of establishing the within-year variability. The correlations between the flows in the specified periods and precipitations have been determined.

УДК 551

**СОВМЕСТНЫЙ СТАТИСТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ РЕЧНОГО СТОКА И ОСАДКОВ НА ФОНЕ ИЗМЕНЕНИЕ КЛИМАТА.**/Григолия Г.Л., Алавердашвили М. Ш.,Трапаидзе В. Д., Брегвадзе Г.И., Кикнадзе Д.Г., Хуфения Н.Г., Кокаия Н.Г./ Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с. 105-111. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус.

На фоне глобального потепление климата весьма актуален совместная оценка закономерности изменения речного стока и основного его обуславливающего фактора осадков линейной регрессией и трендом (корреляционным коэффициентом между случайной величиной и ее порядковым номером). Оценена тренды среднемесячных и сезонных (III-V, VI-VIII, IX-XI, XII-II) расходов воды и осадков р. Вере. Для определения внутригодового изменения вычислены тренд доли (в процентах) отдельного месячного стока от годового. Оценен корреляционные стока и осадков отмеченных периодов.



*1 ბეგალიშვილი ნ.ა., 1 ცინცაძე თ., 1 ცომაია ვ., 3 ახმედრაბადხანოვი ხ.,  
1 კოჭლამაზაშვილი ნ., 1 ქიტიაშვილი ლ., 2 მამედოვი რ.*

*1 ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი*

*2 აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი*

*3 დაღესტანის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

უაკ 551.48.215.2

### **კლიმატის ცვლილების ფონზე წყლის რესურსების ბანაბარიშების ბაზმჯობისების შესაძლებლობა ტენორშნვის პარამეტრების ბამოყენების საფშპვილზე**

საქართველოს ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს წყლის რესურსები, რომლის მარაგი შეადგენს 100 კმ<sup>3</sup>, იგი თავმოყრილია მყინვარებში 30 კმ<sup>3</sup>, მდინარეებში 65 კმ<sup>3</sup>, ტბებში და წყალსაცავებში 5 კმ<sup>3</sup>, ჭაობებში 2 კმ<sup>3</sup> და სხვ. [4]. ასეთი წყლის რესურსების მარაგით უზრუნველყოფილი საქართველო მსოფლიოში მოწინავე ქვეყნების რიგებშია. მაგრამ, წყლის ეს მარაგი არ არის მდგრადი და მერყეობს დიდ ფარგლებში. მაგალითად მდ.რიონზე იგი შეადგენს 284-546(499) მ<sup>3</sup>/წმ, მდ.ტოროსში 159-409(278) მ<sup>3</sup>/წმ, მდ.მტკვარზე 133-325(204) მ<sup>3</sup>/წმ, წყალშემკრების 13300, 22000 და 21100 კმ<sup>2</sup> ფართობიდან შესაბამისად. ფრჩხილებში მოცემულია წლიური ჩამონადენის ნორმები. აღნიშნულ რყევადობას განსაზღვრავს ატმოსფერული ნალექები. საერთო ჯამში, რაც მეტია ნალექები მით მეტია მდინარეული ჩამონადენი. ეს კარგად ჩანს მდ.რიონის მაგალითზე (იხ.ცხრ.1). ცდომილება არ აღემატება 19.3% (1990 წ.). ასეა სხვა მდინარეებზედაც და რაც მეტია მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების რაოდენობა, მით მეტია გამოთვლის სიზუსტე. სამწუხაროდ ბოლო წლებში ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელი მეტად შემცირდა, კერძოდ 148 ჰიდროლოგიური საგუშაგოდან მოქმედებს 14. ამიტომ არსებული ემპირიული მეთოდების გამოყენება წყლის რესურსების მარაგისა და მისი რეჟიმის დადგენაში შეუძლებელი ხდება. ცნობილია, რომ წყალუხვობის პროგნოზის მეთოდის დამუშავების დროს ვიყენებთ არა მარტო თოვლის საფარში წყლის მარაგს მაქსიმალური თოვლდაგროვების პერიოდში (მარტის პირველი დეკადა), ასევე ზამთრის წინა პერიოდის – შემოდგომის წყლის ხარჯებს [9] ან შემოდგომის ტენიანობას [8]. მათ თანახმად რაც მეტია წყლის მარაგი თოვლის საფარში და მეტია წინა წლის შემოდგომის სინოტივე ან ნაკლებია წინა წლის შემოდგომის მდინარის ხარჯები, მით მეტია წყალდიდობა. ამრიგად წყალდიდობა განისაზღვრება ზამთრის წინა პერიოდის ატმოსფერული პროცესებით, რაც განპირობებულია შესაბამისი სინოპტიკური სიტუაციით. ამას მიაქცია ყურადღება და.


დროგაიცვება [5], რომელმაც შეაფასა ზამთრის წინა პერიოდის სიცივის და სითბოს მახასიათებლები და უწოდა მათ ზამთრის წინა პერიოდის სიცივისა და სითბოს “ინდექსები”, რომლის მიხედვითაც გამოითვალა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ევრაზიის მდინარეთა აუზებისა და ცალკეული რეგიონებისათვის მომავალი წლის პერიოდების, წლიური ატმოსფერული ნალექები და მდინარეთა ჩამონადენი.

ცხრილი 1. საშუალო წლიური წყლის ხარჯის გამოთვლის შედეგები ნალექების მონაცემებით (მდ.რიონი-სოფ.ზემო ჭალადიდი, ჩამონადენის ნორმა  $Q_0=402$  მ<sup>3</sup>/წმ).

№	მეტეოროლოგიური სადგური	ნალექების რაოდენობა $x_0$ , მმ	$\alpha=Q/x_0$	ნალექები $x$ , მმ					საშუალო
				გამოთვლილი საშუალო წლიური ხარჯი $Q$ , მ <sup>3</sup> /წმ					
				1987	1988	1989	1990	1991	
1	სენაკი	1669	0.24	1359	1944	2498	2383	1849	
				326	466	599	571	443	481
2	შოვი	1148	0.35	1108	1816	1311	1308	1074	
				386	633	457	456	374	461
3	ლებარდე	1929	0.21	1570	2645	2310	2507	1605	
				326	548	479	520	333	441
4	ამბროლაური	983	0.41	906	1143	1357	1294	1004	
				369	463	552	527	409	464
5	ონი	971	0.41	758	1135	1263	1034	725	
				312	468	520	426	299	405
6	წიფა	1018	0.39	897	1160	1325	1082	1024	
				352	456	521	425	402	431
7	ტყიბული	1890	0.21	1746	2573	2746	2809	2255	
				370	545	581	594	477	513
8	ქუთაისი	1380	0.29	1212	1718	2038	2052	1446	
				351	498	591	595	419	491
9	სამტრედია	1379	0.29	1180	1594	1907	1858	1411	
				342	462	553	539	409	461
	ლენტეხი	1193	0.34	1422	1937	1656	1507	1011	
				477	649	555	505	339	505
გამოთვლილი ჩამონადენის საშუალო				361	319	541	516	390	465
$Q$ ფაქტიური ჩამონადენი, მ <sup>3</sup> /წმ				320	608	615	621	484	530
$\Delta Q$ , მ <sup>3</sup> /წმ				41	89	74	105	94	65

$\Delta Q/Q\%$	12.8	14.6	12.1	16.9	19.3	12.2
----------------	------	------	------	------	------	------

1939-1957 წწ. მონაცემების საფუძველზე დ.ა. დროაიცივება [5] შეადგინა მთელი რიგი რაიონებისათვის დამოკიდებულება სითბოსა და სიცივის ინდექსების (N) და ატმოსფერულ ნალექებს (X) შორის. ასევე დამოკიდებულება N-სა და მდინარის ჩამონადენს (W) შორის. მათი უზრუნველყოფა დასაშვები ცდომილების ფარგლებში შეადგენს 52-60%. გამოვლინებული იქნა, რომ რაც უფრო დიდია ტერიტორიის ხაზობრივი განვითარება, მით უფრო დაბალია შედეგი, რადგან მასში ადგილი აქვს სინოპტიკურ რუკებზე დარტყვებისა და თხემების მორიგეობას. რაც უფრო მცირეა რეგიონის ხაზობრივი განვითარება, შედეგი მაღალია, რადგან ამ დროს ერთი პროცესია გაბატონებული. ამ კატეგორიას ეკუთვნის კავკასია, კერძოდ საქართველო, რომლის ხაზობრივი გავრცელება არ აღემატება 1500 კმ [7]. მაგალითად კავკასიის მეზობლად მდებარე დონის აუზში, რომლის ხაზობრივი გავრცელება აღემატება 1500 კმ, ადგილი აქვს სინოპტიკურ რუკებზე დარტყვებისა და თხემების მორიგეობას, რაც კარგად ჩანს ნახ.1-ზე. დარტყვების და თხემების შესაბამისი სინოპტიკური პროცესები სხვადასხვა სახით მოქმედებენ, რაც გავლენას ახდენს ამოთვლების სიზუსტეზე. რაკი ასეთ სხვადასხვაობას მოკლებულია პატარა რეგიონი და იგი მოქცეულია ერთ რომელიმე პროცესის გავრცელების არეში, უნდა ველოდოთ ამოთვლების მაღალ სიზუსტეს (იხ.ნახ.1 დაშტრისული არე), რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი შედეგები.



ნახ.1. სითბოს და სიცივის ინდექსების ველი (1953 წლის ზამთრის წინა პერიოდისათვის) [5].

ანალიზისათვის გამოყენებული იქნა და. დროგაიცევის 1939-1957 წწ. მონაცემები [5]. მათზე დაყრდნობით გამოთვლილია ასეთი ინდექსები 1939-2005 წწ. პერიოდისათვის, რომლებიც თავმოყრილია მეთოდურ შრომაში [2]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანალოგიური ხასიათის სამუშაო ტარდება რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც ნ.კ. კონონოვამ [6] მოგვცა ყველა თვის აეროსინოპტიკური პროცესების პირობების საფუძველზე სითბოსა და სიცივის არგუმენტები (ინდექსები) ჩრდილოეთ ნახევარსფეროსათვის 1986-2002 წწ. პერიოდისათვის. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ორივე კატეგორიის მასალები ზამთრის წინაპერიოდის სიცივისა და სითბოს ინდექსების შესახებ გამოყენებულია ვ.შ. ცომიას და რ.გობჯიშვილის [10] მიერ კავკასიონის მყინვარების ყოველწლიური აკუმულაციისა და აბლაციის გამოსათვლელად. შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და მათ თეორიული, პრაქტიკული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა პრაქტიკულად შეწყვეტილია ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური დაკვირვებები.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია ზამთრის წინაპერიოდის სითბოსა და სიცივის ინდექსები 1939-2005 წლებისათვის [2]. ანალიზისათვის 66 წლიანი პერიოდი დაიყო 3 განყოფილებად: ავტორისეული შემოწმების (1962-1980 წწ.), საწარმოო შემოწმების (1981-2000) და ოპერატიული შემოწმების (2001-2005) პერიოდებად. ავტორისეული შემოწმება ჩატარდა სამ ვარიანტად: მთლიანი, მთლიანი ფაქტიური და გამოთვლილი რიგებისათვის დისპერსიის კორექციის კოეფიციენტის გათვალისწინებით ( $K_k$ ) და მთლიანი რიგის დაჯგუფებით ინდექსების სიდიდის მიხედვით (ასოცირებული ჯგუფები), როგორცაა დადებითი და უარყოფითი ინდექსების ჯგუფები, მაღალი, დაბალი და საშუალო ინდექსების ჯგუფები.

ზემოთ აღნიშნულის თანახმად შედგენილია დამოკიდებულება თბილ და ცივი პერიოდებისა და წლების საშუალო წყლის რესურსების ( $P_{i+1}$ ) წყაროების: ატმოსფერული ნალექების ( $X_{i+1}$ ), მდინარეული ჩამონადენის ( $Q_{i+1}$ ) და მყინვარული აკუმულაცია – აბლაციის ( $A_{i+1}$ ) დამოკიდებულება ზამთრის წინა პერიოდის სითბოსა და სიცივის ინდექსებთან ( $N_i$ )

$$P_{i+1}=f(N_i), \quad (1)$$

რომელიც გამოისახება წრფივი განტოლების სახით [1]

$$P_{i+1} = \bar{P}_{i+1}(1 + 0.0033N_i), \quad (2)$$

სადაც  $\bar{P}_{i+1}$  - არის  $X_{i+1}$  ან  $Q_{i+1}$  ან კიდევ  $A_{i+1}$  ნორმები. ფორმულის გამოყენების შედეგად მიიღება გამოთვლის ახალი რიგი, რომლის

წვერების განლაგება არ ეთანხმება ფაქტობრივი რიგის წვერთა განლაგებას, ადგილი აქვს დისპერსიას, რომლის შედეგად გამოთვლილი რიგის ჯამი  $[P_{(i+1)g}]$  ან საშუალო  $[\bar{P}_{(i+1)g}]$  მეტია ან ნაკლებია ფაქტიური რიგის შესაბამის სიდიდეებზე. მათი მიყვანის მიზნით გამოყენებული იქნა ფიშერის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ფაქტიური და გამოთვლილი რიგების ჯამთა შეფარდების გამოყენებას [1,2,10,11]. ვლებულობთ რიცხვს

$$K_k = \Sigma P_{(i+1)g} / \Sigma \bar{P}_{(i+1)g} = P_{(i+1)g} / \bar{P}_{(i+1)g}, \quad (3)$$

რომელსაც ეწოდება დისპერსიის კორექციის კოეფიციენტი [1,2]. თუ ფარდობა ერთის ტოლია ეს ნიშნავს იმას, რომ მაფორმირებელი ფაქტორი ანუ ზამთრის წინა პერიოდის სიცივისა და სითბოს ინდექსი განსაზღვრავს მომავალი წლის ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებს. მაგრამ არის შემთხვევები როცა  $K_k > 1$  ან  $K_k < 1$ -ზე. ასეთ შემთხვევაში  $K_k$ -ს გათვალისწინებამ მოგვცა კარგი შედეგი. ფორმულა (2)-ის შესწორებით ვლებულობთ [2,10,11]

$$P_{i+1} = K_k \cdot \bar{P}_{(i+1)}(1 + 0.0033N_i), \quad (4)$$

რომლის მიხედვითაც იზრდება გამოთვლის ხარისხი - შედეგები 20-30%-ით უმჯობესდება. მაგრამ მაინც აქვს ადგილი გადახრებს ფაქტობრივსა და გამოთვლილს შორის. ამიტომ მიმართავენ ფაქტიური რიგის დაჯგუფებას (ასოცირებას) მაფორმირებელი ფაქტორის  $N_i$  სიდიდის გათვალისწინებით: უარყოფითი და დადებითი ინდექსის მისი დაბალი და მაღალი მნიშვნელობები ნორმალსთან სიახლოვის მიხედვით. აქაც გამოიყენება ჯგუფებისათვის მიხედვით გამოთვლილი დისპერსიის კორექციის კოეფიციენტი, რაც კიდევ უმჯობესებს შედეგებს 15-20%-ით. მიუხედავად ამისა გამოთვლის შედეგები შეიძლება მაინც დაბალი იყოს. ამას ადგილი აქვს როცა ჩამონადენის განაწილება მდინარის დინების მიმართულებით დარღვეულია. ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს მდ.ალაზნის ჩამონადენის განაწილება მდინარის დინების მიმართულებით ჰიდროლოგიური საგუშავოების ზემო ქედსა და 1,7 კმ ქვემოთ აგრიჩაის შესართავიდან. თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს ცხრ.2.

ცხრ.2-ის მონაცემების საფუძველზე შეიძლება მრავალ დეტალზე გავამახვილოთ ყურადღება, მაგრამ ერთი რამ თვალსაჩინოა, თუ გინდ 1963 წლის მაგალითი, რომლის თანახმად ზემო ქედში წყლის საშუალო წლიური ხარჯია 156 მ<sup>3</sup>/წმ მდინარის დინების მიმართულებით. 98 კმ-ის გავლის შემდეგ იგი შემცირდა 16 მ<sup>3</sup>/წმ-ით, მაშინ როდესაც სხვა წლებში ადგილი ქონდა ჩამონადენის მატებას სხვადასხვა სიდიდით.

საინტერესოა მიღებული შედეგები მყინვარულ მდინარეებისათვის. მაგალითად განვიხილოთ მდ.მესტიაჭალა. ცხრ.6-ში მოცემულია

როგორც მდინარის ჩამონადენის, ასევე ნალექების გამოთვლის შედეგები ზამთრის წინა პერიოდის ინდექსების მიღებული მნიშვნელობების საფუძველზე. მათი შედარებით ჩანს, რომ ჩამონადენის დაბალია უზრუნველყოფისა - 20%-მდე გადახრების შემთხვევისათვის იგი შეადგენს 33.3 %. მაშინ როდესაც ატმოსფერული ნალექების მიმართ გვაქვს 93.3 % უზრუნველყოფა. ასეთი დიდი განსხვავება აიხსნება ძლიერი გამყინვარების გამაცოცხლებელი პროცესების გავლენით, რომელსაც მოკლებულია ატმოსფერული ნალექები. იქ სადაც გამყინვარება სუსტია, მაგალითად მყინვარი ყორულდაშის აუზისათვის შედეგები დადებითი აღმოჩნდა.

ცხრილი 2. მდ.ალაზნის ჰიდროლოგიური კვეთების ს. ზემო ქედთან და აგრიჩაის შესართავიდან 1,7 კმ ქვემოთ და მათ შორის შენაკადების ჩამონადენის შეფასების შედეგები, 1963-1970 წლების მონაცემების მაგალითზე.

მასხასიათებელი	მდინარე - პუნქტი							კალაპოტის წყლის ბალანსი	
	ალაზანი		ბელოკანჩი - ს.ბელოკანჩი	კატქხჩაი - ს.კაპისდამა	ტალაჩაი - ს. ზაქათალა	კურმუქხჩაი - ს. ილისუ	აღრიჩაი - შესართავი	ჯამი	
	ს. ზემო ქედი	აგრიჩაის შესართავიდან 1,7 კმ ქვემოთ						შენაკადების	მთლიანი
			შენაკადების	მთლიანი					
ფართობი, კმ <sup>2</sup>	1450	1160	146	236	136	166	1810	2488	9438
საშუალო სიმაღლე, მ	900		1560	1850	1710	2270	1040		
წელი									
1963	156	140			6,39		22,6	290	(185)
1964	121	135	4,42				17,0	21,4	(142)
1965	107	124	3,00		4,08	7,29	17,4	31,8	139
1966	60,7	73,8	2,01		2,89	4,59	10,1	19,6	80,3
1967	90,9	118	3,68		3,82	5,62	12,9	26,0	117
1968	112	133	4,50		4,66	6,77		15,9	128
1969	97,7	110	3,66			3,36		7,2	(114)
1970	77,2	82,4	4,12	11,4	4,16	5,06	11,6	36,4	11,4
ჯამი	828,5	916,2					916,2		
საშ.	მთლიანი	91,4	115						
	65,66,67,70 წლების	84,0	99,6	3,20			5,64	28,4	(112)
მიყვანის მეთოდით	84,0	131,0							125

სხვაობა, %									5,6
------------	--	--	--	--	--	--	--	--	-----

ქვემოთ მოგვყავს საქართველოს დიდ მდინარეებისათვის (ენგური და რიონი) გამოთვლის შედეგები 1980-85 წწ. ზამთრის წინა პერიოდის სიცივისა და სითბოს ინდექსების გამოყენების საფუძველზე, რომელიც სისტემატიზებულია ცხრ.4-ში. გამოთვლის სიზუსტე მაღალია, უზრუნველყოფა დასაშვები ცდომილების ფარგლებში შეადგენს 90-92%-ს.

ცხრილი 3. ჩამონადენის გამოთვლის შედეგები ზამთრის წინა პერიოდის სითბოსა და სიცივის ინდექსების საფუძველზე მყინვარულ მდინარე მესტია ჭალა – ქმესტიასთან და მეტეოროლოგიური სადგური მესტიის 1975-1980 წლების მონაცემების გამოყენებით.

წელი	ინდექსი $N_i$	წყლის ხარჯი				ატმოსფერული ნალექების ჯამი			
		ფაქტიური, მ <sup>3</sup> /წმ	გამოთვლილი			ფაქტიური, მმ	გამოთვლილი		
			მ <sup>3</sup> /წმ	$\Delta Q$			მმ	$\Delta N$	
				მ <sup>3</sup> /წმ	%			მმ	%
I. ცივი პერიოდი (I-III ÷ XI-XII) $Q_{i+1}=3,41+0,011N_i$ ; $X_{i+1}=334+1,1N_i$									
1975/76	21	1,95	3,64	1,69	86,7	295	357	62	21,0
1976/77	-4	3,00	3,37	0,37	12,3	222	330	108	48,6
1977/78	23	2,91	3,66	0,75	25,7	314	359	45	14,0
1978/79	21	4,96	3,63	1,33	26,8	364	356	8	2,2
1979/80	18	2,9	3,61	0,71	24,5	308	354	46	14,9
II. თბილი პერიოდი (IV-X) $Q_{i+1}=21+0,069N_i$ ; $X_{i+1}=632+2,09N_i$									
1975/76	21	13,6	22,4	8,8	64,7	655	676	21	3,2
1976/77	-4	12,8	20,7	7,9	61,7	785	624	161	20,5
1977/78	23	16,5	25,6	9,1	49	666	680	14	2,1
1978/79	21	18,5	22,4	3,9	21,1	575	674	99	17,2
1979/80	18	20,5	22,2	1,7	8,3	711	670	41	5,8
III. წლიური (I-XII) $Q_{i+1}=13,4+0,044N_i$ ; $X_{i+1}=942+3,11N_i$									
1975/76	21	8,75	14,8	5,6	63,8	949	1007	58	6,1
1976/77	-4	8,6	13,2	4,6	53,5	1076	929	147	13,7
1977/78	23	10,9	14,9	3,5	32,1	992	1014	22	2,3
1978/79	21	12,8	14,3	1,5	11,7	993	1004	11	1,1
1979/80	18	13,8	14,2	0,4	2,9	1004	998	6	0,6
ცდომილება					უზრუნველყოფა, %				
0-5,-%-მდე					6,6				46,7
0-10,-%-მდე					13,3				53,3
0-15,-%-მდე					26,7				73,3
0-20,-%-მდე					33,3				93,3

ამრიგად ზემოთ მოყვანილი შედეგები ერთხელ კიდევ ადასტურებენ დებულებას იმის შესახებ, რომ ზამთრის წინა პერიოდის (X-XII) აეროსინოპტიკური პროცესები განსაზღვრავენ მომდევნო წლის ჰიდრომეტეოროლოგიური სიტუაციებს და გამოვლინებული დადებითი შედეგები წარმოადგენს მეცნიერულ ბაზას, რომელიც საფუძვლად დაედება მომავალი წლის წყლის რესურსების წყაროების (ატმოსფერული ნალექი, მდინარეული ჩამონადენი და მყინვარული აკუმულაცია – აბლაცია) გამოთვლებს, დაკვირვების რიგებში გამოტოვებული ელემენტების აღდგენას, არსებული რიგების მოდელირების, გამძაფრების პირობების (გვაღვა, წყალდიდობა) დროულად გამოვლინებას და საჭირო საადაპტაციის ღონისძიებათა შემუშავებას, რასაც თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ცხრილი 4. საქართველოს დიდი მდინარეების წლიური ჩამონადენის გამოთვლის შედეგები ზამთრის წინაპერიოდის სიბოლსა და სიცივის ინდექსების გამოყენების საფუძველზე

მდინარე – პუნქტი	წყალშემკრები აუზის ფართობი/საშუალო სიმაღლე	პარამეტრების დასახელება, მწ/სმ	წელი					საშუალო
			1980/81	1981/82	1982/83	1983/84	1984/85	
			ზამთრის წინა პერიოდის სიცივისა და სიბოლს ინდექსები, $N_i$					
1	2	3	4	5	6	7	8	9
$Q_{(i+1)} = 111 + 0.366N_i$								
ენგური – ხაიში	2780	$Q_{(i+1)}$ ფ	150,0	148,0	158,0	137,0	188,0	143,0
		$Q_{(i+1)}$ გ	114,0	11,4	121,0	118,0	111,0	116,0
	2320	$\Delta Q_{(i+1)}$	31,0	34,0	37,0	19,0	17,0	27,0
		$\Delta Q \%$	276,0	23,0	23,4	13,9	19,3	18,9
$Q_{(i+1)} = 315 + 0.104N_i$								
რიონი – უწერა	707	$Q_{(i+1)}$ ფ	31,8	24,9	34,7	31,3	25,8	21,7
		$Q_{(i+1)}$ გ	33,8	40,9	34,2	33,5	31,6	34,8
	2490	$\Delta Q_{(i+1)}$	2,0	6,0	0,5	2,2	5,8	9,1
		$\Delta Q \%$	6,3	17,2	1,4	7,0	22,5	9,8
$Q_{(i+1)} = 13,7 + 0.144N_i$								
რიონი – ონი	1060	$Q_{(i+1)}$ ფ	11,2	53,1	46,4	40,9	41,7	45,3
		$Q_{(i+1)}$ გ	46,9	45,0	47,4	46,4	45,1	46,2
	2260	$\Delta Q_{(i+1)}$	2,7	8,1	1,0	5,5	3,4	0,9
		$\Delta Q \%$	6,1	15,3	2,2	17,4	8,2	2,0
$Q_{(i+1)} = 93 + 0.248N_i$								
რიონი – ხიდიკარი	2010	$Q_{(i+1)}$ ფ	84,8	85,3	74,3	70,0	52,9	74,5
		$Q_{(i+1)}$ გ	79,1	75,8	80,0	78,3	73,8	77,4
	2040	$\Delta Q_{(i+1)}$	5,4	9,8	0,7	8,3	10,9	2,9
		$\Delta Q \%$	6,7	11,1	0,9	11,9	20,6	3,9



ცხრილი 4-ს გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9
$Q_{(i+1)} = 101 + 0.98N_i$								
რიონი – ალპანა	2830	$Q_{(i+1)}$ ფ	114,0	104,0	119,0	72,3	80,5	102,0
		$Q_{(i+1)}$ გ	108,0	104,0	110,0	107,0	101,0	106,0
	1810	$\Delta Q_{(i+1)}$	5,0	0,0	9,0	15,0	20,5	4,0
		$\Delta Q$ %	5,3	0,0	7,6	16,8	25,5	3,8
$Q_{(i+1)} = 399 + 1.317N_i$								
რიონი – საქონაკიძე	13400	$Q_{(i+1)}$ ფ	460,0	454,0	446,0	365,0	375,0	421,0
		$Q_{(i+1)}$ გ	428,0	411,0	433,0	424,0	400,0	419,0
	950	$\Delta Q_{(i+1)}$	32,0	43,0	13,0	59,0	2,5	1,0
		$\Delta Q$ %	7,0	7,5	2,9	16,2	6,7	0,2

**ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. ცომაია ვ., მდივანი ს. სასაზღვრო მდინარე ალაზნის წყლის რესურსების პროგნოზი ტემპერატურის რყევადობის ანალიზის საფუძველზე. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები. ტ.111, გვ. 82-85, თბილისი, 2007.
2. ცომაია ვ., ფსაკაძე მ. ზამთრის წინა პერიოდში სიცივისა და სითბოს ინდექსების ოპერატიული ცხრილი (1939-2005 წწ.). ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ფონდი. თბილისი, 2007 წ., გვ.45.
3. Аполов Б.А., Калинин Г.П. Гидрологические прогнозы. Гидрометеиздат Л., 1960, 407 с.
4. Водные ресурсы Закавказья. Под редакцией Г.Г.Сванидзе, В.Ш. Цомаи Л., Гидрометеиздат, 1984, 264 с.
5. Дрогайцев Д.А. Долгосрочные гидрометеорологические прогнозы на основе учета колебаний температуры. Л., Гидрометеиздат, 1959, 92 с.
6. Кононова Н.К. Исследования многолетних колебаний циркуляции атмосферы Северного полушария и их применение в гляциологии. МГИ, вып.95, 2003, с.45-65.
7. Мировой водный баланс и водные ресурсы Земли. Л., Гидрометеиздат, 1974, 638 с.
8. Сидорова Л.В., Суханская Э.В. О гидрологическом районировании и долгосрочном прогнозе стока весенне-летнего половодья рек Армении. Труды ЗаКНИГМИ, вып.83(40), Л., Гидрометеиздат, 1984, с.124-130.
9. Цомаи В.Ш. К методике прогноза весеннего половодья на реках Грузии в зависимости от предшествующих гидрометеорологических факторов. Труды ТбилНИГМИ, вып.4, Л., Гидрометеиздат, 1959, с.108-171.
10. Цомаი В.Ш., Гобеджишვილი Р. Расчет и прогноз аккумуляции и абляции на ледниках Кавказа. Труды Института Географии Грузии, вып. 36, Тбилиси, 2008, с.58-61.

11. Цомаია В.Ш. Расчет (прогноз) гидрометеорологических характеристик данного года на основе индексов холода и тепла. Научные фонды Институт Гидрометеорологии, Тбилиси, 2006, 86 с.

უაკ 551.48.215.2

**კლიმატის ცვლილების ფონზე წყლის რესურსების ბაზანბარიშების ბაზანბარიშების შესაძლებლობა ტენზონების პარამეტრების გამოყენების საფუძველზე.**/ბეგალიშვილი ნ.ა., ცინცაძე თ., ცომაია ვ., ახმედრაბადხანოვი ხ., კოჭლამაშაშვილი ნ., კიტიაშვილი ლ., მამედოვი რ./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115-გვ. 112-121.- ქართ.; რუხ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების შეწყვეტის პირობებში წყლის რესურსების წყაროების (ატმოსფერული ნალექები, მდინარეული ჩამონადენი, მყინვარული აკუმულაცია-აბლაცია) მახასიათებლების გამოთვლის შესაძლებლობა ატმოსფეროს ტენზონების პარამეტრების საფუძველზე. შეფასებულია მდინარეთა წყლის რესურსების პარამეტრები თბილი, ცივი და წლიური პერიოდებისათვის. არასოცირებული და ასოცირებული რიგების შემთხვევაში შედეგები დადებითია, უზრუნველყოფა შეადგენს 80-98%.

UDC 555.48.215.2

**A POSSIBILITY OF IMPROVING THE CALCULATION OF WATER RESOURCES BASED ON THE APPLICATION OF THE MOISTURE CIRCULATION PARAMETERS AGAINST THE BACKGROUND OF A CLIMATE CHANGE.**/Begalishvili N.A., Tsintsadze T., Tsomaia V., Akhmedrabdkhanov Kh., Kochlamazashvili N., Kitiashvili L., Mammedov R./Transaction of the Georgian Institute of Hydrometeorology – 2008 - vol.115 – p. 112-121. – Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

The work deals with a possibility of calculation of the characteristics of sources of water resources (precipitation, river runoffs and glacier accumulation-ablation) based on the moisture circulation parameters, under conditions of suspended hydrometeorological observations. The calculations of river water resources' parameters are given for warm, cold seasons and annual periods. For the non-associated and associated series, the results are positive, provision is within 80 to 98 percent

УДК 551.48.215.2

**Возможность улучшения расчёта водных ресурсов на фоне изменения климата с использованием параметров влагооборота.**/Бегалишвили Н.А., Цинцадзе Т.Н., Цомаია В.Ш., Ахмедрабадханов Х.А., Кочламашашвили Н.Г., Китиашвили Л.Р., Мамедов Р.М./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с. 112-121. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус.

Рассмотрены возможности расчета параметров источников водных ресурсов (атмосферные осадки, речной сток и ледниковые аккумуляция – абляция) для теплого, холодного и годового периода на реках Грузии, на основе параметров влагооборота в атмосфере. Результаты проверки неассоциированного и ассоциированного рядов наблюдений положительные. Обеспеченность метода составляет 80-98%.

**Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И.**  
*М. Нодиа институт геофизики, Грузия*

УДК 551.465.5

## **МОДЕЛИРОВАНИЕ И ПРОГНОЗ ЦИРКУЛЯЦИОННЫХ ПРОЦЕССОВ ЧЁРНОГО МОРЯ**

### **1. Введение**

Изучение гидротермодинамических процессов в Чёрном море и создание оперативной системы диагноза и прогноза состояния моря, является одним из главных вопросов океанографии Чёрного моря. Для осуществления этих целей большое научное и практическое значение имеет разработка таких математических моделей, которые способны реально воспроизводить процессы, протекающие в Чёрном море.

В настоящее время у нас и зарубежом разработаны прогностические модели динамики Чёрного моря, которые достаточной адекватностью воспроизводят основные черты циркуляционных процессов [1-11].

Целью настоящей статьи является описание некоторых результатов моделирования гидротермодинамических процессов во всём бассейне и Грузинском секторе Чёрного моря на основе бароклинических прогностических моделей общей (пространственное разрешение 5 км) и региональной циркуляции (пространственное разрешение 1 км), развитых в Институте геофизики им. М. Нодиа.

### **2. Описание модели общей циркуляции**

Численная, бароклиническая прогностическая модель динамики Чёрного моря основана на полной системе уравнений гидротермодинамики океана в гидростатическом приближении, записанной в Декартовой системе координат для отклонений термодинамических величин от соответствующих стандартных вертикальных распределений [8, 10]. Модель учитывает: рельеф морского дна и конфигурацию бассейна, атмосферное воздействие, водообмен между Чёрным и Мраморным морями через пролив Босфор, речной сток Дуная, поглощение поверхностным слоем моря суммарной солнечной радиации, пространственно-временное изменение коэффициентов горизонтальной и вертикальной турбулентной вязкости и диффузии, чередование типов атмосферной циркуляции, развивающихся над акваторией Чёрного моря. Модель позволяет учитывать атмосферное термохалинное воздействие как условиями Дирихле, путём задания температуры и

солёности на поверхности моря, так и условиями Неймана, путём задания потоков тепла, испарения и атмосферных осадков. Ветровое воздействие атмосферы учитывается заданием на поверхности моря компонентов тангенциального напряжения трения ветра. Следует отметить, что описанная модель является развитием модели [12-14], которая представлялась первой моделью динамики Чёрного моря, основанной на полной системе уравнений гидротермодинамики океана.

### **3. Численная схема**

Для решения системы уравнений используется двуциклический метод расщепления по физическим процессам, вертикальным координатным плоскостям и линиям, который достаточно детально описан в [14, 15]. Метод позволяет решение нестационарной пространственной задачи свести к решению сравнительно простых двумерных и одномерных задач.

### **4. Моделирование общей циркуляции Чёрного моря**

Предложенная модель реализована в первую очередь для всего бассейна Черного моря с целью проведения детальных исследований по влиянию различных физических факторов на пространственно-временную структуру общей циркуляции Чёрного моря. Кроме того, рассчитанные циркуляционные параметры были использованы в разных задачах по распространению примесей в Чёрном море.

#### **4.1 Параметры задачи**

При реализации модели использовались три расчётные сетки с разными разрешениями – постоянными горизонтальными шагами 37, 10 и 5 км, соответственно. В последнем случае количество точек сетки по горизонтальным осям было 223 и 109, соответственно, а по вертикали бралось 32 расчётных уровня, расположенных на глубинах: 1, 3, 5, 7, 11, 15, 25, 35, 55, 85, 135, 205, 305, ..., 2205 м. Учитывалась зависимость альбедо поверхности Чёрного моря от зенитного угла Солнца [8]. Параметр поглощения солнечной радиации соответствовал обычной океанской воде, когда примерно 10% падающей радиации достигает глубину 10 м. Временной шаг брался равным 1 ч, а параметр Кориолиса зависел от широты следующим образом:  $l = l_0 + \beta y$ , где  $l_0 = 0,95 \cdot 10^{-4} \text{ с}^{-1}$ ,  $\beta = 10^{-13} \text{ см}^{-1} \text{ с}^{-1}$ .

#### **4.2 Результаты численных экспериментов**

С помощью численных экспериментов была изучена роль различных факторов на формирование гидрофизического режима. В частности, расчёты показали, что поглощение радиации морской водой

вызывает малые суточные колебания температуры самого верхнего слоя моря с толщиной примерно 10-15 м с амплитудой 0.2-0.3<sup>0</sup> С. Несмотря на малые изменения температуры, из-за большой объёмной теплоемкости воды, верхние слои Чёрного моря аккумулируют значительное количество тепла. Энергетическое влияние поглощения радиации больше всего проявляется в августе и в этот период верхний слой моря может поглощать такой запас тепловой энергии, которой было бы достаточно для прогрева на 10<sup>0</sup>С слоя воздуха толщиной примерно 600 м, лежащего над акваторией Чёрного моря.

Один из главных численных экспериментов, проведённых на основе предложенной модели (с разрешением 5 км), было моделирование внутригодовой изменчивости гидрологического режима Чёрного моря в условиях чередования разных типов ветра. Эти типы ветров были взяты из [16], в котором на основе обработки данных наблюдений за 1946-1962 гг. установлено 41 тип атмосферной циркуляции над Чёрным морем. Численный эксперимент имел целью изучить отклик циркуляции Чёрного моря на нестационарное атмосферное воздействие. Начало интегрирования соответствовало к 1 января и в качестве начальных условий принимались среднегодовые климатические поля, полученные на основе той же модели, с использованием среднегодовых климатических входных данных. Нестационарность атмосферной циркуляции сводилась к чередованию 24 типов ветра (которые характеризуются с наибольшей повторяемостью над Чёрным морем) в течение одного модельного года.

Анализ результатов численного эксперимента показал, что под влиянием нестационарности атмосферных процессов циркуляция поверхностного слоя моря претерпевала значительные качественные и количественные изменения и в течение года испытывала непрерывную трансформацию. Интенсивность морской циркуляции ослабевала летом, по мере ослабления атмосферной циркуляции и усиливалась осенью и зимой, когда ветры становились более интенсивными. Численный эксперимент показал также, что интенсивная атмосферная циркуляция (>15м/с) способствует ослаблению формирования вихрей в верхнем слое и наоборот – при слабых ветрах усиливается вихреобразование.

ნალექების ჯამის წლის შედეგების მონაცემების ანალიზით ჩანს, რომ ბოლო პერიოდში ნალექების რაოდენობის ცვლილებაში აღინიშნება როგორც მატება, ასევე კლება. საერთო ჯამში დასავლეთ საქართველოში ჭარბობს ნალექების ოდნავ მატების ტენდენცია, ვიდრე აღმოსავლეთში.

შერჩეული მეტეოროლოგიური სადგურების ბოლო პერიოდის (1993-2005 წწ.) მონაცემების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში ჩანს კლიმატის შერბილების ტენდენცია (ნახ.1). ჰაერის ტემპერატურის მომატების ფონზე ადგილი აქვს ნალექების რაოდენობის შენარჩუნების ტენდენციას.

კლიმატური პირობების რამდენადმე შერბილებისა, საქართველოს მთიან რეგიონებში მაინც არ შეიმჩნევა სტიქიური მოვლენების შემცირება. პირიქით, შერჩეული მეტეოსადგურების ბოლო პერიოდის მეტეოროლოგიური მონაცემების ანალიზით ჩანს, რომ კიდევაც გაიზარდა, რაც ნალექების ინტენსივობის ზრდასთანაა




დაკავშირებული. ამის გამო ბოლო პერიოდში ბარსა და მთაში განხორდა საშიში და სტიქიური მოვლენები.

ცხრილი 5 ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა, °C

წელი	გოდ. გად.	ბახ-მარო	წალ-კა	აბასთუ-მანი	მთა-საბ.	სულო	ამბრო-ლაური	სახხე რე	ყვარე-ლი
1991	-19.2	-16.9	-23.6	-20.0	-13.0	-10.2	-12.8	-16.4	-10.4
1992	-21.4	-17.0	-22.5	-18.0	-13.2	-10.1	-16.2	-17.0	-8.9
1993	-22.4		-25.2	-21.9	-17.2	-15.0	-18.8	-16.8	-10.4
1994	-20.2		-25.4	-18.2	-13.4	-10.0	-17.6	-16.5	-10.5
1995	-20.2		-22.0	-18.3	-12.6	-8.5	-15.0	-12.2	-6.0
1996	-20.0		-26.0	-19.6	-13.9	-9.5	-12.0	-8.4	-7.6
1997	-17.7		-21.0	-18.8	-14.6	-10.9	-15.0	-14.8	-9.5
1998	-20.0	-8.0	-21.0	-19.4	-12.4	-9.3	-14.5	-14.2	-6.8
1999	-14.3	-13.0	-20.7	-13.5	-9.5	-6.0	-7.0	-7.2	-4.5
2000	-21.3	-24.0	-25.7	-20.2	-13.0	-11.5	-13.1	-13.0	
2001	-18.3	-13.8	-25.7	-18.2	-12.4	-9.3	-6.2	-11.7	-4.3
2002	-18.4	-17.8	-23.9	-18.7	-13.2	-9.6	-15.5	-20.0	-13.5
2003	-17.9	-17.6	-21.6	-15.5	-9.0	-7.8	-6.5	-7.3	-5.6
2004	-17.4	-17.3	-23.1	-19.0	-13.0	-10.2	-18.0	-17.3	-7.0
2005	-21.2	-19.7	-26.7	-19.9	-12.2	-9.5	-9.5	-8.5	-6.3

ცხრილი 6 ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა, °C

წელი	გოდ. გად.	ბახ-მარო	წალ-კა	აბასთუ-მანი	მთა-საბ.	სულო	ამბრო-ლაური	სახ-ხერე	ყვარე-ლი
1991	25.8	27.5	29.0	34.0	30.2	34.7	40.5	37.8	37.8
1992	23.9	25.5	30.0	32.0	26.4	34.6	34.7	33.8	33.2
1993	26.8		29.1	34.5	27.6	36.4	39.0	36.5	33.0
1994	25.6		28.4	31.9	26.2	34.9	35.5	24.9	34.2
1995	24.3		27.8	33.3	26.8	33.6	34.0	34.4	34.9
1996	25.1		27.5	34.7	31.1	35.6	37.0	35.4	36.2
1997	26.0		29.6	33.7	29.9	35.3	37.3	36.6	34.5
1998	27.5	25.0	29.9	36.6	29.7	34.1	38.4	37.6	37.8
1999	24.0	25.9	29.2	33.5	29.7	33.6	35.8	38.1	39.2
2000	30.5	31.8	33.0	38.7	30.7	40.8	41.8	41.9	
2001	27.7	28.4	30.0	35.6	30.7	38.6	37.5	38.9	37.6
2002	23.5	27.4	27.7	30.7	26.8	34.0	35.5	37.0	35.2
2003	24.9	25.7	28.2	33.4	28.8	35.8	35.5	37.2	35.8
2004	23.2	25.8	27.5	31.8	28.4	33.8	37.0	37.5	35.2
2005	24.6	28.0	30.6	32.7	29.4	36.5	37.0	36.7	37.0



## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Методические указания по проведению критического контроля результатов метеорологических наблюдений на сети станций. Главная геофизическая обсерватория им. А.И.Воейкова Ленинград гидрометеоиздат 1981 г.
2. Руководство по метеорологическим приборам и методам наблюдений ВМО - № 8, 2005г.

შპა351.510

**საქართველოს მთიანი რეგიონების მეტეოროლოგიური დაკვირვებების შედეგების ანალიზი ბოლო 15 წლიანი პერიოდისათვის/გოგიშვილი ნ., ცქვიტინიძე ზ./ ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ.150-158.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

შერჩეული 9 მთიანი მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების ბოლო (1991-2005) წლები დამუშავდა სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული პროექტით. მასალა ხელნაწერი წიგნაკების (მწ-1) ფორმატიდან გადაყვანილ იქნა ელექტრონულ ფორმატში, ჩაუტარდა კრიტიკული კონტროლი, რის შედეგად მიღებულ იქნა მეტეოროლოგიური ცხრილები. შედეგების (კონკრეტულად ტემპერატურის) ანალიზიდან მიღებულია დასკვნები, რომ ბოლო წლების ფაქტიური მონაცემებით აღინიშნა ტემპერატურის მატება, დათბობა.

UDC 551.510

**ANALYZE OF GEORGIAN MOUNTAINOUS REGIONS METEOROLOGICAL OBSERVATIONS RESULTS FOR LAST 15 YEARS PERIOD./Gogishvili N., Tskvitinidze Z./Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 150-158. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.**

Observations For selected 9 meteorological mountainous stations for last 15 years (1991-2005) was possessed within national financial supported project. Data from paper was processed into electronic formats, was processed all stage data quality control after that was gotten meteorological tables. Depend on the last factual data's (exactly temperature) we get conclusion that characteristics temperatures increase

УДК 551.510

**АНАЛИЗ ИТОГОВ МЕТЕОРОЛОГИЧЕСКИХ НАБЛЮДЕНИЙ ГОРНЫХ РЕГИОНОВ ГРУЗИИ ЗА ПОСЛЕДНИЙ 15 ЛЕТНИЙ ПЕРИОД /Гогошвили Н.Л., Цквитинидзе З.И./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с. 150-158. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус.**

Метеорологические наблюдения выборочных 9 горных метеорологических станций за последних 1991-2005 годов обработаны финансированием проекта Государственного гранта. Данные из форматов рукописных книжек (км-1) переведены в электронный формат.Проведен критический контроль и получены метеорологические таблицы. Анализ итогов (конкретно температуры) показывает рост температуры, потепление.

*ჩოგოვაძე, ი.<sup>1</sup> ცქეტინიძე ზ.<sup>2</sup>*

*<sup>1</sup>ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, საქართველო  
<sup>2</sup>გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო*

უაკ 551.510.

**ატმოსფეროს ცირკულაციურ თავისებურებათა გამოგვინა  
საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის**

**1. შესავალი**

საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ატმოსფერული ცირკულაციური პროცესები, ძირითადად ვითარდებიან ევრაზიის სივრცეში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ცირკულაციური პროცესების ზეგავლენითა და მათთან მჭიდრო კავშირში[1-2]. ამ მხრივ შეიძლება გამოყოფილი იქნეს ცირკულაციური პროცესების ძირითადი ტიპები, რომლებიც უმეტესწილად განსაზღვრავენ ამინდის პირობების განვითარებას საქართველოში. ესენი არიან – დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცირკულაციური პროცესები, ანტიციკლონური მდგომარეობა ამიერკავკასიაში და ტალღური პროცესები ატმოსფერულ ფრონტებზე ამიერკავკასიის სამხრეთში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე, ამიერკავკასიაში ჰაერის მასების დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ერთდროულად შემოჭრის პროცესიც. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ცირკულაციური პროცესების დახასიათება და მათთან დაკავშირებული ამინდის პირობების განვითარება საქართველოში.

**2. დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესები**

დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განვითარება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დამახასიათებელია შემდეგი ფართომასშტაბიანი ცირკულაციური სიტუაციებისთვის:

**პირველი სიტუაცია.** ევროპის ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური რაიონებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადაადგილდებიან ციკლონები, რომელთა ზურგში არსებული მაღალი ატმოსფერული წნევის თხემები აღწევენ რა შავ ზღვამდე, განაპირობებენ ჰაერის მასების შემოჭრას საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთის მხრიდან. დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესის პირველი სიტუაციის განმეორადობა წელიწადში ყველაზე მეტია და 43%-ს შეადგენს.

**მეორე სიტუაცია.** ამ სიტუაციის განმეორადობაც ასევე მაღალია (41%). მისთვის დამახასიათებელია ხმელთაშუა ზღვის ციკლონების მოძრაობა ამიერკავკასიაზე გავლით - ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. ამ დროს დასავლეთ ევროპაზე მდებარე ანტიციკლონის თხემი იწვევს ინტენსიურ გავრცელებას ციკლონის ზურგში და იწვევს ატმოსფერული წნევის



მკვეთრ ზრდას შავ ზღვაზე, რაც ხდება მიზეზი საქართველოში ჰაერის მასების გავრცელებისა დასავლეთიდან.

**მესამე სიტუაცია.** ამ სიტუაციის დროს, რომელიც ხასიათდება ბევრად უფრო ნაკლები განმეორადობით (7%), საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის მასების შემოჭრა ხორციელდება დასავლეთის მხრიდან ციკლონების ზურგში, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალურ რაიონებში მოძრაობენ დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. ეს ციკლონები გამოირჩევიან საკმაოდ შორს, კასპიის ზღვამდე წამოწეული დაბალი წნევის ღარებით, რაც ხდება მიზეზი ჰაერის მასების გავრცელებისა შავი ზღვიდან კასპიის ზღვის მიმართულებით.

**მეოთხე სიტუაცია.** ამ ცირკულაციური სიტუაციის განმეორადობაც შედარებით დაბალია (9%) ეს სიტუაცია იმით ხასიათდება, რომ დაიკვირვება ციკლონების მოძრაობა კავკასიაზე გავლით. მათ ზურგში, როგორც წესი, ადგილი აქვს აღმოსავლეთ ევროპაზე მდგარი ანტიციკლონის თხემის გავრცელებას სამხრეთის მიმართულებით. ამის შედეგად შავ ზღვაზე ფორმირდება მაღალი ატმოსფერული წნევის არე, რაც ასევე ხდება მიზეზი ჰაერის მასების შემოჭრისა საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთის მხრიდან.

დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესის განვითარების დროს საქართველოში ატმოსფეროს ქვედა ფენებში დაიკვირვება სამხრეთ-დასავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები. ზედა ფენებში კი, როგორც წესი, ადგილი აქვს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარების თანდათანობით შემობრუნებას დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარებზე, რაც დაკავშირებულია დაბალი წნევის ღარის გადაადგილებასთან დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.

დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განვითარების შემთხვევაში, შავი ზღვის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე იწყებს გავრცელებას შედარებით ცივი ჰაერის მასები. ამ დროს მოდის ნალექები და აღინიშნება დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარები. მნიშვნელოვნად მკვეთრ აცივებასა და ბევრად მეტი რაოდენობის ნალექების გამოყოფას ადგილი აქვს დასავლეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც წესი, დაიკვირვება დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ძალიან ძლიერი ქარები.

დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განმეორადობა სეზონების მიხედვით შემდეგია: გაზაფხულზე 31%, ზაფხულში 23%, შემოდგომაზე 27%, ზამთარში 19%. როგორც ვხედავთ, აღნიშნული პროცესები უფრო ხშირად გარდამავალ სეზონებში დაიკვირვებიან.

### **3. აღმოსავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესები**

აღმოსავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განვითარება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დამახასიათებელია შემდეგი ფართომასშტაბიანი ცირკულაციური სიტუაციებისთვის.

**პირველი სიტუაცია.** ევროპის ჩრდილო და ცენტრალური რაიონებიდან ადგილი აქვს ანტიციკლონების გადაადგილებას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მაღალი ატმოსფერული წნევის თხემი ინტენსიურად ვრცელდება კასპიის ზღვაზე, რის გამოც აქ სწრაფად იზრდება ატმოსფერული წნევა, ვიდრე ამას ადგილი აქვს ამიერკავკასიის შიდა რაიონებში და შავი ზღვის აკვატორიაზე. შედეგად, ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც იწყება ჰაერის მასების გავრცელება აღმოსავლეთიდან, კასპიის ზღვის მხრიდან. ამ ცირკულაციური სიტუაციის განმეორადობა ყველაზე მაღალია და 45%-ს შეადგენს.

**მეორე სიტუაცია.** ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, ციკლონების გააქტიურების შემთხვევაში, ჩრდილოეთიდან მათ ზურგში იწყებს გავრცელებას ანტიციკლონის თხემი, რომელიც თანდათან ეშვება კასპიის ზღვაზე და ხელს უწყობს აქ ახალი ატმოსფერული წნევის არის ჩამოყალიბებას. ეს, შემდგომ ასევე მიზეზი ხდება ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც, ჰაერის მასების გავრცელებისა აღმოსავლეთიდან, კასპიის ზღვის მხრიდან. ამ ცირკულაციური სიტუაციის განმეორადობაც საკმაოდ მაღალია და 32%-ს შეადგენს.

**მესამე სიტუაცია.** ამ სიტუაციისათვის დამახასიათებელია ციმბირის ანტიკლინის თხემის გავრცელება დასავლეთის მიმართულებით კასპიის ზღვამდე, რაც ბუნებრივია ამ რეგიონში იწვევს ატმოსფერული წნევის მკვეთრ მომატებას. როგორც წესი, ამ დროს მცირე აზიასა და შავ ზღვაზე დაიკვირვება დაბალი ატმოსფერული წნევის არე, რაც ხელშემწყობი პირობა ხდება კასპიის ზღვის მხრიდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ჰაერის მასების გავრცელებისათვის შავი ზღვის მიმართულებით. მესამე სიტუაციის განმეორადობა ყველაზე მცირეა და 23%-ს შეადგენს.

ამრიგად, აღმოსავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განვითარება ამიერკავკასიაში დაკავშირებულია ჩრდილო და ცენტრალური ევროპიდან, აგრეთვე კასპიის ზღვის აღმოსავლეთიდან ანტიკლინის თხემის გავრცელებასთან კასპიის ზღვაზე, რაც აქ იწვევს ატმოსფერული წნევის ინტენსიურ ზრდას. ამის გამო, ამიერკავკასიაში ჰაერის მასები იწყებენ მოძრაობას აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და საქართველოში ხორციელდება ე.წ. აღმოსავლეთის შემოჭრა. აღმოსავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განვითარების დროს საქართველოში ატმოსფეროს ქვედა ფენებში დაიკვირვება სამხრეთ-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები. ზედა ფენებში, გარკვეულ სიმაღლეზე, შენარჩუნებულია აღმოსავლეთის მიმართულების ქარები.

აღმოსავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განვითარების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის მასების გავრცელება ხორციელდება კასპიის ზღვის მხრიდან. აქედან გამომდინარე, შედარებით მკვეთრი აცივება და უფრო მეტი რაოდენობის ნალექების გამოყოფას ადგილი აქვს აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ

საქართველოში, როგორც წესი, დაიკვირვება აღმოსავლეთის მიმართ-  
ულების ძლიერი, ზოგჯერ კი ძალიან ძლიერი ქარები.

აღმოსავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების განმეორადობა  
სეზონების მიხედვით შემდეგია: გაზაფხულზე 46%, ზაფხულში 0%, შემ-  
ოდგომაზე 27%, ზამთარში 27%. როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთის ტი-  
პის ცირკულაციური პროცესების ყველაზე მეტი განმეორადობა გაზაფ-  
ხულის სეზონზე მოდის, ხოლო ზაფხულში ის საერთოდ არ აღინიშნება.

#### **4. ანტიციკლონური მდგომარეობა ამიერკავკასიაში**

ჰაერის მასების დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან შემოჭრის პრო-  
ცესის დასკვნით სტადიაში, ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში, რო-  
გორც წესი ყალიბდება მაღალი ატმოსფერული წნევის არე (ადგი-  
ლობრივი ანტიციკლონი). ამ ცირკულაციური წარმონაქმნის განვითარ-  
ებას ძირითადად ხელს უწყობს ამიერკავკასიის ოროგრაფიული პირო-  
ბები. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კერძოდ ის, რომ ამიერკავ-  
კასიის ცენტრალური, რამდენიმე ვაკე ნაწილი, გარშემორტყმულია დიდი  
და მცირე კავკასიონის მთათა სისტემებით.

ამიერკავკასიაში ანტიციკლონური მდგომარეობის დროს საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე უმეტესწილად დაიკვირვება ამ ბარიული წარმონა-  
ქმნისათვის ძირითადად დამახასიათებელი, მცირედრუბლიანი და მშრალ-  
ი ამინდები. შედარებით სუსტი ქარების ფონზე დაიკვირვება – ზამ-  
თარში ჰაერის დაბალი, ზაფხულში კი მაღალი ტემპერატურები, პირველ  
ყოვლისა ქვეყნის შიდა რაიონებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხულის  
პერიოდში, ნიადაგის გადახურების გამო, მაღალი ატმოსფერული წნევის  
ფონი დღის განმავლობაში იშლება და ყალიბდება დაბალი ატმოსფერ-  
ული წნევის არე, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი პირობა ხდება ად-  
გილობრივი გროვა-საწვიმარი ღრუბლების განვითარებისათვის.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ანტიციკლონური მდგომარეობის ჩამ-  
ოყალიბებას ყველაზე ხშირად ადგილი აქვს შემოდგომისა და ზამთრის  
სეზონში (შესაბამისად - 35% და 30%), შედარებით დაბალი კი, გაზაფ-  
ხულისა და ზაფხულის სეზონში (17 - 18%).

#### **5. ტალღური პროცესები ატმოსფერულ ფრონტზე**

ტალღური პროცესების განვითარებაში იგულისხმება ამიერკავკასიის  
სამხრეთით მდებარე, სტაციონალურ ატმოსფერულ ფრონტებზე, შედარე-  
ბით მცირე ზომის ციკლონების წარმოქმნა და შემდგომი მათი გა-  
დაადგილება ჩრდილო-აღმოსავლეთის ან აღმოსავლეთის მიმართულე-  
ბით. აღნიშნული პროცესების განვითარება დაკავშირებულია აღმოსავ-  
ლეთ ევროპის ტერიტორიებიდან ცივი ჰაერის მასების სამხრეთით, საკ-  
მაოდ ღრმად გადაადგილებასთან. ასეთ შემთხვევებში, აქ სხვადასხვა  
ჰაერის მასებს შორის ყალიბდება მნიშვნელოვანი ტემპერატურული სხვა-  
ობები, რაც ხდება ძირითადი ხელშემწყობი პირობა ციკლონების გან-  
ვითარებისათვის. როგორც წესი, ტალღური პროცესები ამიერკავკასიაში  
ვითარდებიან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცირკულაციური პრო-

ცესების, ან ორმხრივი შემოჭრების დასრულების შემდეგ - ციკლო-  
ნების განვითარებისა და მათი გადაადგილების ადგილებში აღინიშნება  
ქარებისა და ნალექწარმოქმნელი პროცესების მკვეთრი გაძლიერება,  
წლის თბილ პერიოდში ადგილი აქვს ჭექა-ქუხილის განვითარებას,  
სეტყვის მოსვლას. ზოგადად, ტალღური პროცესების მიმდინარეობის  
დროს, ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე, არ აღინიშნება. უნდა ითქვას ისიც, რომ ტალღური  
პროცესების განვითარებამ, ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება გამოი-  
წვიოს დასავლეთის ან აღმოსავლეთის ტიპის პროცესების ხელახალი  
გააქტიურება. ტალღური პროცესების განვითარების განმეორადობა  
სეზონების მიხედვით შემდეგია: ზამთარში 12%, გაზაფხულზე 22%,  
ზაფხულში 44%, შემოდგომაზე 22%.

ცხრილი 1. დღელამური ნალექების ალბათური სიდიდეები (მმ)

საქართველოს რეგიონები	დასავლეთის პროცესის სიტუაციები			
	I	II	III	IV
დასავლეთი	15-30	10-45	5-12, შემოდგ. 15-30	10-20
აღმოსავლეთი	1-7	5-15	0-3	4-10
	აღმოსავლეთის პროცესის სიტუაციები			
დასავლეთი	უნალექო	უნალექო	უნალექო	
აღმოსავლეთი	0-4	0-3	0-3, ზოგან 0-1	
	ტალღური პროცესების სიტუაციები			
დასავლეთი	1-3	0-6		
აღმოსავლეთი	2-5	0-5		
	მთებში 10-20	მთებში 10-20		
	ორმხრივი პროცესი			
დასავლეთი	10-20			
აღმოსავლეთი	10-20			

**6. დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების ერთდროულად შემოჭრა საქართველოში**

ამიერკავკასიაში, გაბატონებულ ატმოსფერულ ცირკულაციურ პროცესებთან ერთად, აგრეთვე დაიკვირვება ე.წ. ორმხრივი შემოჭრის პროცესები (დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ჰაერის მასების ერთდროულად შემოჭრა). ამიერკავკასიაში ორმხრივი შემოჭრა ვითარდება მაშინ, როცა ჩრდილოეთიდან გადმოადგილებული ანტიციკლონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთისკენ მოძრაობა ბლოკირდება მთავარი კავკასიონის ქედის მიერ. ამ დროს, ანტიციკლონის მხოლოდ წინა და უკანა ნაწილებს შეუძლიათ განაგრძონ გადაადგილება სამხრეთისკენ, მაშინ როცა ცენტრალური ნაწილი არ მოძრაობს. ასეთი სიტუაციის დროს შავ და კასპიის ზღვებზე თანდათანობით ყალიბდება მაღალი ატმოსფერული წნევის

არეები, ხოლო ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ატმოსფერული წნევა ცვლილებას თითქმის არ განიცდის. შედეგად ჰაერის მასები იწევენ მოძრაობას ამიერკავკასიის ცენტრისკენ, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან, რის შედეგადაც საქართველოში ხორციელდება ჰაერის მასების ორმხრივი შემოჭრა. ამ დროს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვან დაკლებას და შედარებით სუსტი ქარების ფონზე, ყველაგან აღინიშნება ნალექების გამოყოფა. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ორმხრივი შემოჭრის დროს, ერთდროულად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დაიკვირვება ცივი და ნალექიანი ამინდები.

ცხრილი 2. მაქსიმალური ტემპერატურის ცვლილების ალბათური სიდიდეები

საქართველოს რეგიონები	დასავლეთის პროცესის სიტუაციები			
	I	II	III	IV
დასავლეთი	გაზაფხ., შემოდგ. დაკლება 7-15°C ზაფხ., ზამთარი დაკლება 3-6°C	დაკლება 5-8°C	დაკლება 7-15°C	დაკლება 4-10°C
აღმოსავლეთი	ფიონების დროს მომატება 2-4°C	დაკლება 3-10°C	ფიონების დროს მომატ. 0-2°C	ფიონების დროს მომატ. 0-2°C
აღმოსავლეთის პროცესის სიტუაციები				
დასავლეთი	მომატება 1-3°C	მომატება 2-4°C	მომატება 3-5°C	
აღმოსავლეთი	დაკლება 2-7°C	დაკლება 2-4°C	დაკლება 1-4°C	
ტალღური პროცესების სიტუაციები				
დასავლეთი	დაკლება 0-2°C	დაკლება 1-3°C		
აღმოსავლეთი	დაკლება 1-4°C	დაკლება 1-3°C		
ორმხრივი პროცესი				
დასავლეთი	დაკლება 5-10°C			
აღმოსავლეთი	დაკლება 2-7°C			

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის რეგიონისათვის, ორმხრივი შემოჭრების განმეორადობა სხვა პროცესებთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლებია.

**7. ცირკულაციური პროცესებით განპირობებული ძირითადი კლიმატური პარამეტრების ცვალებადობა**

დეკემბური ნალექები. ცხრილი 1-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე მეტი ნალექები გამოიყოფა დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების დროს, განსაკუთრებით კი მეორე სიტუაციის დროს (10-45მმ). შედარებით ნაკლები რაოდენობის ნალექები გამოიყოფა ორმხრივი შემოჭრის პროცესების განვითარების დროს (10-20 მმ). ყველაზე ნაკლები რაოდენობის

ნაღებები დაიკვირვება ტალღური პროცესების განვითარების შემთხვევაში (1-3მმ), ხოლო აღმოსავლეთის ტიპის პროცესების განვითარების დროს, დასავლეთ საქართველოში ნაღებები საერთოდ არ აღინიშნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე მეტი რაოდენობის ნაღებები აღინიშნება ტალღური პროცესების განვითარების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა - მთიან რაიონებში (10-20მმ). შედარებით ნაკლები რაოდენობის ნაღებები აქ დაიკვირვება ორმხრივი შემოჭრის პროცესების დროს (5-10მმ). დასავლეთის ტიპის პროცესების განვითარების შემთხვევაში გამოყოფილი ნაღებების რაოდენობა, სიტუაციების შესაბამისად, მკვეთრად ცვალებადია და საშუალოდ 1-დან 15მმ-მდე მერყეობს. რაც შეეხება აღმოსავლეთის ტიპის პროცესების განვითარების დროს აქ გამოყოფილ ნაღებებს, უნდა აღინიშნოს, რომ მათი რაოდენობა ძალზე მცირეა და საშუალოდ 0-დან 4მმ-დე მერყეობს.

**დღის მაქსიმალური ტემპერატურა.** ჰაერის დღის მაქსიმალური ტემპერატურის საგრძნობი დაკლება ( $3-10^{\circ}\text{C}$ -ით), დასავლეთ საქართველოში დაიკვირვება დასავლეთისა და ორმხრივი პროცესების განვითარების შემთხვევაში, ხოლო გარდამავალ სეზონში და დასავლეთის პროცესის მესამე სიტუაციის დროს - ჰაერის დღის მაქსიმალურმა ტემპერატურამ შეიძლება  $15^{\circ}\text{C}$ -ითაც კი დაიკლოს. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურის შედარებით უმნიშვნელო დაკლებას ადგილი აქვს ტალღური პროცესების განვითარების შემთხვევაში ( $1-3^{\circ}\text{C}$ -ით). აღინიშნავთ აგრეთვე, რომ დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთის ტიპის პროცესების განვითარების დროს, ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურის დაკლებას ადგილი არ აქვს. პირიქით, ძალიან ხშირად აღინიშნება მისი  $1-3^{\circ}\text{C}$ -ით მომატება, რაც უკავშირდება ამ დროს დასავლეთ საქართველოში ფიონური პროცესების განვითარებას.

აღმოსავლეთ საქართველოში, ჰაერის დღის მაქსიმალური ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება ( $2-7^{\circ}\text{C}$ -ით), აღინიშნება აღმოსავლეთისა და ორმხრივი პროცესების განვითარების დროს. შედარებით ნაკლებ დაკლებას ( $1-4^{\circ}\text{C}$ -ით) ადგილი აქვს ტალღური პროცესების დროს.

დასავლეთის ტიპის პროცესების განვითარების შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესწილად დაიკვირვება ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურის მომატება ( $2-4^{\circ}\text{C}$ -ით), რაც აგრეთვე შეიძლება ახსნილი იქნეს ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებული ფიონური პროცესებით.

**ღამის მინიმალური ტემპერატურა.** ჰაერის ღამის მინიმალური ტემპერატურის ყველაზე მკვეთრი დაკლება დასავლეთ საქართველოში აღინიშნება დასავლეთის ტიპის ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების განვითარების დროს. პირველ ყოვლისა, ჰაერის ღამის მინიმალური ტემპერატურის ( $5-10^{\circ}\text{C}$ -ით) დაკლება დამახასიათებელია გარდამავალი სეზონებისათვის. ზოგადად, წლის ყველა სეზონში ორმხრივი შემოჭრის

პროცესების განვითარების შემთხვევაში ჰაერის დამის მინიმალური ტემპერატურის დაკლება მნიშვნელოვანი სიდიდით (3-8°C-ით) ხასიათდება. დამის მინიმალური ტემპერატურის საკმაოდ უმნიშვნელო (0-2°C-ით) დაკლებას ადგილი აქვს ტალღური პროცესების ჩამოყალიბების შემთხვევაში, ხოლო აღმოსავლეთის ტიპის პროცესების განვითარების დროს, პირიქით - დასავლეთ საქართველოში, მთლიანობაში, დამით აღინიშნება ჰაერის მინიმალური ტემპერატურის მომატება 1-დან 5°C-მდე, რაც დაკავშირებულია აღმოსავლეთის პროცესების დროს აქ ფიონების განვითარებასთან.

ცხრილი 3. მინიმალური ტემპერატურის ცვლილების ალბათური სიდიდეები

საქართველოს რეგიონები	დასავლეთის პროცესის სიტუაციები			
	I	II	III	IV
დასავლეთი	გაზაფხ., შემოდგომა დაკლება 5-10°C ზაფხ., ზამთარი დაკლება 2-4°C	დაკლება 3-8°C ზამთარი 1-4°C	დაკლება 2-5°C	დაკლება 2-4°C
აღმოსავლეთი	დაკლება 0-3°C გაზაფხულზე 3-5°C ფიონების დროს მომატება 2-4°C	დაკლება 3-8°C	დაკლება 1-4°C ფიონების დროს მომატ. 1-3°C	დაკლება 1-4°C ფიონების დროს მომატ. 0-2°C
აღმოსავლეთის პროცესის სიტუაციები				
დასავლეთი	ომატება 3-5°C	მომატება 2-4°C	მომატება 1-3°C	
აღმოსავლეთი	აკლება 1-3°C	დაკლება 1-3°C	დაკლება 1-3°C	
ტალღური პროცესების სიტუაციები				
დასავლეთი	აკლება 0-2°C	დაკლება 1-3°C ზოგჯერ მომატება 0-4°C		
აღმოსავლეთი	აკლება 0-2°C ზოგჯერ მომატება 0-3°C	დაკლება 1-3°C ზოგჯერ მომატება 0-4°C		
ორმხრივი პროცესი				
დასავლეთი	დაკლება 3-8°C			
აღმოსავლეთი	დაკლება 2-4°C			

აღმოსავლეთ საქართველოში - ცხრილი 3-ის მონაცემთა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ჰაერის დამის მინიმალური ტემპერატურის ყველაზე მნიშვნელოვან დაკლებას ადგილი აქვს დასავლეთის ცირკულაციური პროცესების განვითარების შემთხვევაში, განსაკუთრებით, მეორე სიტუაციის დროს (3-8°C-ით). საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე ჰაერის დამის მინიმალური ტემპერატურის დაკლება ორმხრივი შემოჭრის

პროცესის განვითარების შემთხვევაში, რაც საშუალოდ 2-4°C-ს შეადგენს. ტადღური ცირკულაციური პროცესების დროს, როგორც წესი, ჰაერის ღამის მინიმალური ტემპერატურის დაკლება 1-3°C-ის

ფარგლებში მერყეობს, ცალკეულ შემთხვევაში კი ადგილი აქვს აღნიშნული ტემპერატურის მომატებას 0-4°C-ით. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ღამის მინიმალური ტემპერატურის მატება (2-4°C-ით) აღინიშნება დასავლეთის ტიპის ცირკულაციური პროცესების დროს, როდესაც აქ ადგილი აქვს ფიონების განვითარებას.

## ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. ჩოგოვაძე ი., მიქაშავიძე ბ., ტატიშვილი მ. ცირკულაციური პროცესები და ნალექების ანომალიები საქართველოში. ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შრომები. 2001 – ტ. 104. გვ. 24-32
2. Папинашвили К. И. Атмосферные процессы в Закавказье и их связь с макроциркуляционными процессами над Евразией Л. Гидрометеиздат, 1963. 183 с.

შპპ 551.510.

**ახმოსუმროს ცირკულაციურ თავისებურებათა გამომვლენა საქართველოს მთიან რეგიონებში**/ჩოგოვაძე ი., ცქვიტინიძე ზ./ჰმ-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 159-167.- ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ატმოსფერული ცირკულაციური პროცესები, რომლებიც ძირითადად ვითარდებიან ევრაზიის სივრცეში მიმდინარე ფართომასშტაბიან ცირკულაციურ პროცესებთან მჭიდრო კავშირში. დეტალურადაა განხილული ამ ცირკულაციური პროცესებიდან გამოყოფილი 4 ძირითადი ტიპი

UDC 551.510.

**REVEALING OF CIRCULATING FEATURES OF GEORGIA'S MOUNTAIN REGIONS./Chogovadz I., Tskvitinidze Z./Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 159-167. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.**

Atmospheric circulation processes, characterizing Georgia's mountain regions have been analyzed, which basically are developed under influence of large-scale circulation processes proceeded in the euro-Asian space. In details examined 4 basic type allocated from these circulating processes

УДК 551.510.

**ВЫЯВЛЕНИЕ ЦИРКУЛЯЦИОННЫХ ОСОБЕННОСТЕЙ ГОРНЫХ РЕГИОНОВ ГРУЗИИ./ Чоговадзе И. В., Цквитинидзе З.И./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с. 159-167. – Груз.; Рез. Груз., Анг.,Рус.**

Анализируются атмосферные циркуляционные процессы, характерные для горных регионов Грузии, которые в основном развиваются под влиянием крупномасштабных циркуляционных процессов протекающие в евро-азиатском пространстве. Детально рассматриваются 4 основных типа, выделенных из этих циркуляционных процессов.



*ცხაკაია ჯ., ცქვიტინიძე ზ.*  
*გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო*

უაკ 551.510

**მთიანი რეგიონების აბროკლიმატური თავისებურებები**

**შესავალი**

აგროკლიმატური რესურსები, სხვა ბუნებრივ რესურსებთან ერთად (ტყე, წყალი, წიაღისეული და სხვ.) ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეს წარმოადგენს. ამავე დროს განსხვავებით სხვა ბუნებრივი რესურსებისაგან, კლიმატური რესურსები პრაქტიკულად მუდმივია. მათ კვალიფიციურ(ობიექტურ) შეფასებას და რაციონალურ გამოყენებას ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში (აგროსამრეწველო კომპლექსი, ტურიზმი, კომუნალური სექტორი და სხვა) უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

აგროკლიმატური რესურსების რაოდენობრივ შეფასებას განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება ჩვენი ქვეყნისათვის, თავისი რთული ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებითა და მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. ეს კი მოითხოვს ქვეყნის ტერიტორიაზე ზონალური (რეგიონალური) და ვერტიკალური მიმართულებით მცენარეთა ჯიშების ეკოლოგიურად მიზანშეწონილ გაადგილებას, დიფერენცირებულ აბროტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებათა შემუშავებას და ამ პროცესში ცალკეული რეგიონების კლიმატურ თავისებურებათა მაქსიმალურ გათვალისწინებას.

მოცემულ ნაშრომში განხილულია მთიანი აჭარა-გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთის ტერიტორიის, აგრეთვე დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთების საქართველოს მონაკვეთის ძირითადი კლიმატური თავისებურებანი და აქ გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზრდა-განვითარების პირობები (როგორც ხელშემწეობი, ასევე ხელშემშლელიც). წარმოდგენილი ფაქტიური მრავალწლიანი მონაცემები დაეხმარება სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მუშაკებს (ფერმერებს) და სპეციალისტებს თავისი სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისას, გამოიყენონ აქ წარმოდგენილი ფაქტობრივი(ობიექტური) მასალები. განხილული საკითხები და შედეგები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული აღნიშნულ რეგიონებში ამა თუ იმ დარგის განვითარების მიზნით გაწეული ინვენსტირების საიმედოების შეფასების მხრივაც.

**2.ძირითადი კლიმატური მახასიათებლები**

აჭარა-გურია, სამცხე-ჯავახეთი და თრიალეთი. მზის ნათების ხანგრძლიობა მთიან აჭარასა და გურიაში 2000-2100 საათამდეა წლიურად. მზის ნათების უფრო მეტი ხანგრძლიობით გამოირჩევა

ჯავახეთის პლატო და ასპინძა-ახალციხე, სადაც ეს მჩვენებელი 2300-2500 საათამდეა.

ამ მთიან რეგიონში, ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა, ე.ი. სხვაობა უცივესი და უთბილესი თვეების საშუალო ტემპერატურებს შორის - საკმაოდ დიდ დიაპაზონში მერყეობს. საშუალო დღე-ღამური ტემპერატურის 0°C გადასვლა ახასიათებს ზამთრის დასაწყისსა და დასასრულს. მოცემულ ტერიტორიაზე ყველაზე ადრე ზამთარი იწყება მთიანი აჭარა-გურიის ტერიტორიაზე 23 ნოემბრიდან 3 აპრილამდე (ბახმარო) და ხანგრძლივობა 133 დღეს შეადგენს. აღმოსავლეთის მიმართულებით - სამცხესა და თრიალეთში ყველაზე გვიან ზამთარი იწყება 15.XII-ს, მთავრდება 24II-ს, ხანგრძლივობა 71 დღეს შეადგენს (ბორჯომი). ჯავახეთის პლატოზე ეს მჩვენებელი ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად იცვლება და განიცდის ზრდას. ასე მაგ. ახალციხეში (982 მ) ზამთრის ხანგრძლივობა 81 დღეს, ადიგენში 88, წალკაში (1465 მ) 112 დღეს, ახალქალაქში 116, ხოლო როდიონოვკაში (2100მ) 151 დღემდე აღწევს.

მნიშვნელოვანი კლიმატური მახასიათებელია ტემპერატურის 5°C გადასვლა გაზაფხულსა და შემოდგომაზე. იგი ახასიათებს ბალახოვან მცენარეულსა და საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ვეგეტაციის დასაწყისსა და დასასრულს. მოცემულ ტერიტორიაზე ეს პერიოდი მთიან აჭარაში(ხულო) დგება 20 მარტამდე, ხოლო შემოდგომით 5°C დაბლა ჩამოდის 1-5 XII ს. პერიოდი შეადგენს 260-265 დღეს. აჭარა-გურიის მაღალმთიან ზონაში (ბახმარო) ეს პერიოდი მხოლოდ 177 დღეა (28 IV-23 X). აღმოსავლეთით სამცხე-თრიალეთსა და ჯავახეთში ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად, შესაბამისად იცვლება აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა. ასე მაგ. ბორჯომში იგი 230 დღემდე, ადიგენში 221 დღე, ხოლო ცხრაწყაროში მხოლოდ 122 დღეა.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა წაყინვების შეწყვეტისა (გაზაფხული) და დადგომის(შემოდგომით) ვადების განაწილება. ვეგეტაციის დაწყების პერიოდში (აქტიური ვეგეტაციის დრო) წაყინვას შეუძლია საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენოს მცენარეს. (განსაკუთრებით სითბოს მოყვარულებს), განსახილველ ტერიტორიაზე გაზაფხულზე ყველაზე ადრე უკანასკნელ წაყინვას ადგილი აქვს მთიანი აჭარა-გურიის შედარებით დაბალ ნაწილში. ხულოში ბოლო ყინვებს ადგილი აქვს საშუალოდ 7-14 აპრილს, ხოლო შემოდგომით 6 XI (ხულო), უყინვო პერიოდი შესაბამისად 205 დღეა. მაღალმთიანეთში(ბახმარო) უკანასკნელ წაყინვებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი 26 მაისს და უფრო გვიანაც, ხოლო პირველი ყინვები საშუალოდ მყარდება 28 სექტემბრიდან. უყინვო პერიოდი საშუალოდ აქ 124 დღეა.

სამცხე-თრიალეთსა და ჯავახეთში უკანასკნელი ყინვები საშუალოდ წყდება 22-25 აპრილიდან(ბორჯომი), მესხეთის ქვაბურში 20-25 აპრილს (ახალქალაქი, ადიგენი-ასპინძა), წალკა-ახალქალაქის ზონაში

2 მაისიდან 15 მაისამდე, ხოლო უფრო მაღლა - ტაბაწყურსა და ცხრაწყაროში, საშუალოდ არ წყდება ბოლო ყინვები 24 მაისიდან 15 VI-მდე. აქ შესაბამისად უყინვო პერიოდი ყველაზე მცირეა და ეს პერიოდი 89-125 დღეს არ აღემატება.

საკვლევი ტერიტორიის ბუნებრივი დანესტიანება (ატმოსფერული ნალექი) საკმაოდ არათანაბარია და განიცდის შემცირებას დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. მთიანი აჭარა-გურიის ტერიტორიაზე ნალექების წლიური რაოდენობა 600-900 მეტრზე საშუალოდ შეადგენს 1000-1300 მმ. მაღალმთიან ბახმაროში იგი 1870 მმ-მდე იზრდება. ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში სამცხე-თრიალეთსა და ჯავახეთის პლატოზე საკმაოდ შემცირებულია და იცვლება ძირითადად 550-670 მმ ფარგლებში. ე.ი. სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირედ იცვლება, რაც ამ ტერიტორიაზე მერიდიონალურად განლაგებული ქედების (ჯავახეთის, სამხარის) გავლენის შედეგია. წლიური ნალექების საკმაოდ დიდი რაოდენობა მოდის ბაკურიან-ცხრაწყაროს ზონაში (900 -1300 მმ), რაც აქ დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების შემოჭრისა და მოქმედების შედეგია.

დიდი კავკასიონის დასავლეთ ნაწილის სამხრეთი კალთები. მზის ნათების ხანგრძლივობა იცვლება 2000<sup>0</sup> საათიდან (აფხაზეთისა და სვანეთის მთიანი ტერიტორია) 2300-2400 საათამდე იმერეთის ზეგანი. ყველაზე ცივი თვის(იანვარი) ტემპერატურა მოცემულ ტერიტორიაზე ძირითადად (-0.8)-(-0.9)<sup>0</sup>C-დან (-11)-(-12)<sup>0</sup>C-ით იცვლება დაბალმთიან ზონასა და მაღალმთიან ზონას შორის. უთბილესი თვის (ივლისი) საშუალო ტემპერატურა 21<sup>0</sup>C-დან (დაბალი ზონა) 7-16<sup>0</sup> C-მდე მცირდება(შოვი, მამისონი). უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა 215 დღიდან (დაბალმთიანი) 70-150 დღემდე მცირდება(მამისონი, შოვი). საშუალო აბსოლუტური მინიმუმი ტერიტორიის დიდ ნაწილზე (-10), (-29)<sup>0</sup>C-მდე მერყეობს. ნალექების რაოდენობა მცენარეთა აქტიური ვეგეტაციის პერიოდში 600-700-დან 940-1220 მმ ფარგლებშია. ყველაზე მეტი სიმშრალით რაჭა – ლეჩხუმი და განსაკუთრებით საჩხერე – კორბოულის ზონები ხასიათდება. გვაღვიანობის მაჩვენებელი რეგიონის ტერიტორიაზე შეადგენს: იმერეთის ზონაში – საშუალოდ ინტენსიურს(60-100%) და ინტენსიურს(35-85%). 10<sup>0</sup>C-ით მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით ტერიტორიის მოცემული ნაწილი ხასიათდება 1200-1500<sup>0</sup>C-დან 3500-3800<sup>0</sup>C-მდე.

დიდი კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთი კალთები. ამ რეგიონის დაბალი ზონა ხასიათდება 10<sup>0</sup>C-ზე მეტი ტემპერატურათა ჯამით: 3000-3500<sup>0</sup>C. თბილ პერიოდში (აპრილი – ოქტომბერი) თვის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 8-22<sup>0</sup> ფარგლებში, ხოლო ცივ პერიოდში (ნოემბერი - მარტი) ტემპერატურა მცირდება (-2.0)-(-5.5)<sup>0</sup>C-ის ფარგლებში. კიდევ უფრო მაღალ ზონაში (1500-1700 მ.ზ.დ.) (-4.2)-(-6.8)<sup>0</sup>C-ის ფარგლებში.

საშუალო აბსოლიტური მინიმუმებიდან (-14)–(-17)<sup>0</sup>C-დან (-20) – (-22)<sup>0</sup>C-მდე (დაბალმთიანი ზონა), (-23)–(-26)<sup>0</sup>C-მდე (მაღალმთიანი ზონა).

დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობების შიდა ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი, წარმოდგენს ზღვის დონიდან მთლიანობაში უფრო მაღალ ტერიტორიას და კლიმატური პირობებიც აქ შედარებით მკაცრია. რელიეფი აქ წარმოდგენილია ძირითადად ლომისა - ალექვის, გუდამაყრის, ქართლისა და კახეთის ქედებით. ტერიტორიის ქვედა ზონაში ზომიერად ცივი და ზომიერად ნოტიო კლიმატია. ზაფხული ხანგრძლივია და თბილი. საშუალო მთიან ზონაში ზომიერად ნოტიოა, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. თერმული რესურსები ტერიტორიის დაბალ ნაწილში შეადგენს 2500-3000<sup>0</sup>C, ხოლო უფრო ზემოთ - საშუალო და მაღალმთიან ზონაში, მცირდება 100<sup>0</sup>C-დან 500<sup>0</sup>C -მდე. 15<sup>0</sup>C მეტი ტემპერატურათა ჯამები ამ ზონაში აღარ გროვდება. თბილ პერიოდში (IV-X) ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბალ და საშუალო ზონაში იცვლება 7.0-18.6<sup>0</sup>C-ის ფარგლებში, უფრო ზემოთ კი (-1.6)<sup>0</sup>C-დან 12.3<sup>0</sup>C-მდე. ცივ პერიოდში ჰაერის ტემპერატურა შესაბამისად იცვლება (-4.7)-დან 4.0<sup>0</sup>C-მდე და უფრო ზემოთ (-1.2)-დან (-11.4)<sup>0</sup>C-მდე. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა იცვლება 90-120 დღიდან 187-205 დღემდე. ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიური აბსოლუტური მინიმუმი იცვლება (-18)–(23)<sup>0</sup>C-დან (-32)<sup>0</sup>C-მდე.

მცენარეთა აქტიური ვეგეტაციის პერიოდში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მერყეობს 493-585 მმ-დან 980-1035 მმ-მდე.

### **3. სავეგეტაციო პერიოდის სითბოთი უზრუნველყოფა**

კლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის პოტენციალური შესაძლებლობების შეფასებისათვის აუცილებელია სავეგეტაციო პერიოდის სითბური რესურსების შეფასება. ასეთი შეფასების მეცნიერულ საფუძველზე ჩატარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სითბურ-კლიმატურ რესურსებთან ერთად ვიცით მცენარეთა, ცალკეული ჯგუფების ეკოლოგიური მოთხოვნილება აღნიშნული სითბური პირობებისადმი(რა პერიოდი და რა რაოდენობის სითბო სჭირდებათ ნორმალური ვეგეტაციისა და მაქსიმალური პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად). ეს პრობლემა ზოგადად გადაჭრილია, თუმცა ცალკეული კულტურებისა და რეგიონების შესაბამისად, ბიოლოგიური და კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, კვლავ ზუსტდება და იხვეწება ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული რეგიონალური საკითხები.

საკვლევი ტერიტორიები, იმის გამო, რომ როგორც ჰორიზონტალურად, ასევე განსაკუთრებით, ვერტიკალური მიმართულებით დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შესაბამისად სითბური რესურსებისა და

სავეგეტიაციო პერიოდის ხანგრძლიობის დიდი სიჭრელით ხასიათდება(ცხრ.1).

ცხრილი 1. საქართველოს მთიანი რეგიონების ტემპერატურული რეჟიმი (სავეგეტიაციო პერიოდის სითბური უზრუნველყოფით)

პუნქტი	H		გადასვლა 10°C-ზე			ჭაყინვა		უყინვო პერიოდი
	ს.დ.	>10°	გაზაფხ.	შემოდგ.	ჩერიოდი	გაზაფხ.	შემოდგ.	
აჭარა-გურია, სამცხე-ჯავახეთი და თრიალეთი								
ქელა	256	3880	3.IV	14.XI	224	21.III.	4.XII	257
ხულო	923	3113	19.IV	1.XI	195	14.IV	6.XI	205
ბორჯომი	189	2890	25.IV	17.X	174	22.IV	27.X	187
ჩემი	1117	2410	4.V	10.X.	158	1.V	13.X	164
ასპინძა	1110	3000	20.IV	12.X	181	20.IV	18.X	180
ახალციხე	980	3030	20.IV	18.X	180	23.IV	20.X	179
დმანისი	1256	2470	4.V	13.X	161	20.IV	22.X	184
ადიგენი	1185	2650	29.IV	14.X	167	24.IV	18.X	176
აბასთუმანი	1265	2200	9.V	5.X	148	17.V	2.X	137
წალკა	1460	1917	16.V	30.IX	136	2.V	10.X	160
ბაკურიანი	1670	1360	29.V	22.IX	115	24.V	27.IX	125
ახალქალაქი	1700	1958	14.V	20.IX	138	18.V	22.IX	126
კარწახი	1863	1667	25.V	26.IX	123	24.V	18.IX	116
აბული	1984	1576	30.V	27.IX	119	18.V	28.IX	132
როდიონოვკა	2100	1064	17.VI	12.IX	86	25.V	21.IX	118
ბახმარო	2000	1180	11.VI	15.IX	95	26.V	28.IX	124
ტაბაჭყური	1995	1085	17.VI	13.IX	87	24.V	26.IX	124
ფოგა	2080	1160	12.VI	13.IX	92	28.V	14.IX	108
დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთების საქართველოს მონაკვეთი								
ლენტეხი	760	3026	20.IV	20.X	182	15.IV	22.X	189
მესტია	1440	2040	8.V	28.IX	142	3.V	2.X	151
ზაჯვარა	950	2830	22.IV	20.X	180	14.IV	4.XI	203
ამბროლაური	550	3580	11.IV	30.X	201	7.IV	12.XI	218
ლაილაში	850	2980	22.IV	24.X	184	9.IV	4.XI	208
ონი	800	3150	18.IV	23.X	187	9.IV	2.XI	206
კორბოული	800	3120	21.IV	27.X	188	16.IV	3.XI	200
მთა-საბუეთი	1240	1990	15.V	4.X	141	25.IV	25.X	182
საშური	700	3130	21.IV	23.X	184	15.IV	27.X	194
ცხინვალი	860	3050	22.IV	21.X	181	11.IV	7.XI	209
ჯავა	1110	2500	2.V	12.X	162	24.IV	21.X	179
დუშეთი	920	3050	22.IV	22.X	182	13.IV	3.XI	203
თიანეთი	1100	2560	30.IV	11.X	163	21.IV	18.X	179
გომბორი	1185	2530	3.V	13.X	162			
ბარისახო	1325	2100	10.IV	2.XI	205	25.IV	13.X	170

ასე მაგალითად, რეგიონის დასავლეთი (დაბალი) ნაწილი აჭარის დაბალმთიანი და მთიანი ზონა (ხულო) ხასიათდება 10°C ზემოთ 3115°

აქტიურ ტემპერატურათა ჯამით (ცხრ.1), ხოლო მაღალმთიან ბახ-მაროსა და ფოკაში ეს ჯამები 1150-1200<sup>0</sup>C-მდე მცირდება. უფრო მაღლა ცხრაწეაროში კი მხოლოდ 260<sup>0</sup>C-ს შეადგენს.

ცხრ.1-დან ჩანს, რომ სითბოთი უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლები მთიან რეგიონებში ვერტიკალურად კანონზომიერად იცვლება. შესაბამისად იცვლება მცენარეთა სითბოთი უზრუნველყოფა. სიმინდის კულტურა საჭიროებს 2100-3000<sup>0</sup> (ჯიშების მიხედვით) და უზრუნველყოფილია 1300 მეტრამდე ზღვის დონიდან. კარტოფილი (ჯიშების მიხედვით) თხოულობს 1200-1800<sup>0</sup> სითბოს. მისი ზრდა – განვითარება უზრუნველყოფილია 1700-1900 მეტრამდე. ქერი საჭიროებს 1100-1500<sup>0</sup> სითბოს, რომელიც უზრუნველყოფილია ზღვის დონიდან 1600-2000 მეტრზე. ვაზის კულტურა საჭიროებს 2100-3600<sup>0</sup> ტემპერატურათა ჯამს. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ვაზი ყველაზე მაღლა ვრცელდება მესხეთში - 1200-1350 მეტრამდე. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და გარე კახეთში ვაზის სამრეწველო ჯიშები 800-900 მეტრამდე იძლევიან კონდიციურ პროდუქციას. ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ მცენარის, კერძოდ ვაზის ზრდა – განვითარებასა და პროდუქტიულობას მხოლოდ საშუალო დღე – ღამური და აქედან მიღებული აქტიური (ეფექტური) ტემპერატურათა ჯამები საკმარისი არაა.


ქვეყნის მთიან რეგიონებში არაერთგვაროვანია ტემპერატურული რეჟიმი. ჩვენს მიერ დადგენილია, რომ საკმაოდ განსხვავებული პირობებია მესხეთის (ჯავახეთის) ტერიტორიასა და დანარჩენი მთიანი რეგიონებს შორის თერმული რეჟიმის მხრივ. საშუალო დღე – ღამური ტემპერატურის სტრუქტურაში აქ დღის მაღალი და ღამით შედარებით დაბალი სითბური რეჟიმი განპირობებულია ტერიტორიის ჩაკეტილობით და რადიაციული და ცირკულაციური პროცესების თავისებურებით. თუ შევადარებთ ძირითადი სითბური მაჩვენებლის აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მნიშვნელობებს მესხეთის ტერიტორიაზე (ასპინძა, ახალციხე, ადიგენი) და შიდა ქართლის (ცენტრალურ კავკასიონი) ტერიტორიაზე (ცხინვალი, ახალგორი) დავინახავთ, რომ 10<sup>0</sup> ზემოთ სითბოს ჯამები ორივე შემთხვევაში ერთნაირია (3050-3100<sup>0</sup>). ამავე დროს დღის პერიოდში, მიუხედავად უფრო მაღალი მდებარეობისა (200-250 მეტრით მაღალია), ცხინვალთან შედარებით, სავეგეტაციო პერიოდის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე ვაზის რეპროდუქციის პერიოდში, საშუალო მაქსიმალური ტემპერატურის უფრო მაღალ მნიშვნელობებს აქვს ადგილი. სათანადო საანგარიშო ფორმულით ვითვლით ტემპერატურის საშუალო დღიურ და აქედან ტემპერატურათა დღიურ ჯამებს. მესხეთისათვის ეს ჯამები შეადგენს VII-760, IX-630, X-435 სულ 1850<sup>0</sup>. ცხინვალისათვის შესაბამისად VIII-720, IX-590, X-400 სულ 1700<sup>0</sup>. როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში მესხეთის ტერიტორიაზე საგრძნობლად მაღალია დღის ტემპერატურული რეჟიმი, რომელსაც გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ფოტოსინთეზის, შაქრების

დაგროვებისათვის. ამ შემთხვევაში ღამის შედარებით დაბალი ტემპერატურები ხელს უწყობს შაქრების დაგროვებას, ვინაიდან დაბალ ტემპერატურაზე სუნთქვის შენელება ამცირებს შაქრების ხარჯვას.

ტემპერატურული რეჟიმის მოტანილი პარამეტრი ბიოკლიმატურად უფრო დასაბუთებულია და ვაზის ჯიშების ვერტიკალური გადაადგილების ეკოლოგიურად დასაბუთებულ აგროკლიმატურ მანქვენებელს წარმოადგენს.

### გამოზამთრების პირობები

წლიური აბსოლიტური მინიმუმების საშუალო მრავალწლიური სიდიდე წარმოადგენს საყოველთაოდ მიღებულ აგროკლიმატურ მანქვენებელს მცენარეთა (და არა მხოლოდ მცენარეთა) გამოზამთრების პირობების შეფასებისათვის. ფიზიკო – გეოგრაფიული პირობები, განსაკუთრებით რთული ოროგრაფიული და მორფომეტრიული ფაქტორები გადმწყვეტ მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით მთიანი რეგიონების ყინვა – საშიშროების შეფასებისას, რადგან მოტანილი იხეზის გამო ეს მანქვენებელი დიდ ფარგლებში განიცდის მერყეობას და ტერიტორიულად და ვერტიკალური ზონალობიდან გამომდინარე მეტად აქტუალურია ამ ელემენტის პრაქტიკისათვის მისადები სიზუსტით წარმოდგენა თითოეული რეგიონისა და მიკრორაიონისათვის. ქვემოთ მოყვანილია საშუალო, აბსოლუტური მინიმუმების ტერიტორიალური განაწილების გრაფიკები (ა – საერთო განაწილება; ბ – რელიეფის ფორმების გათვალისწინებით). (ნახ.1, ნახ.2) მიღებული რეგრესიული განტოლებებით შესაძლებელია ნებისმიერი პუნქტის საშუალო აბსოლუტური მინიმუმების საკმაოდ დიდი სიზუსტით განსაზღვრა.




ნახ.1

### 5. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

- მთიანი აჭარა-გურიის ტერიტორიაზე სითბური რესურსები უზრუნველყოფს სიმინდის ოპტიმალურ ზრდა-განვითარებას და მოსავლიანო-

ბას 900-1100 მეტრამდე, კარტოფილისათვის ოპტიმალური პირობები ყალიბდება 800-1500 მეტრს შეადგენს;



ნახ.2

ნახაზების პირობითი აღნიშვნები: I.თხემის (მთის) ზედა ნაწილი. II.ფერდობის ზედა ნაწილი.III.ფერდობის (ქედის) შუა ნაწილი. IV.ფერდობის (ხეობის) ძირი. V. ღრმა ჩაკეტილი ქვაბურების ძირი

- სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში თერმიული რეჟიმის უფრო მაღალი დონეა რადიაციის მატების გამო, ამიტომ აქ საგრძნობლად მაღლა იწვევს მცენარეთა ვერტიკალური საზღვრები, კერძოდ სიმინდი 1200-1300 მეტრამდეა სითბოთი უზრუნველყოფილი, კარტოფილი 1400-1700 მეტრამდე, ვაზის კულტურა მესხეთში 1300 მეტრამდეა უზრუნველყოფილი სითბოთი (ჯიშების მიხედვით);

- დიდი კავკასიონის დასავლეთი ნაწილი შავი ზღვის გავლენას განიცდის, ამიტომ ჰიდროთერმიული პირობები შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. შედეგად აქ ვაზის კულტურა 650-700 მეტრამდე იძლევა კონდიციურ პროდუქციას, კარტოფილი 1300-1400 მეტრამდე, ხოლო სიმინდი 1000-1100 მეტრამდე მოდის;

- რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთის მთიანეთში კლიმატი შედარებით მშრალია და ზომიერად კონტინენტალური. აქ სიმინდის კულტურა 1200 მეტრამდეა სითბოთი უზრუნველყოფილი. ვაზი 800-900 მეტრამდე, კარტოფილი 1400-1500 მეტრამდე ზღვის დონიდან;

- შიდა ქართლსა და კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ვაზის სამრეწველო ჯიშებისთვის სითბოს რესურსები საკმარისია 950-1000 მეტრამდე, კარტოფილის 1300-1500 მეტრამდე, სიმინდის კულტურა 1100 მეტრამდე;

- ბოსტნეულის კულტურა (პომიდორი, კიტრი, ბადრიჯანი) ვეგეტაციის დაწყებისთვის თხოულობს 15°C-ზე მეტ ეფექტურ ტემპერატურას, რასაც უზრუნველყოფს ტერიტორია ზღვის დონიდან 900-1200 მეტრამდე, აღსანიშნავია, რომ ზღვის დონიდან 600-700 მეტრის ზემოთ სიმაღლის მატებით მოსავლის კრეფის ჯერადობა საგრძნობლად მცირდება.



- გლობალური კლიმატის ცვლილების რეალობიდან და საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება ტემპერატურის ზრდის გავლენა მცენარეთა ზრდა-განვითარების ტემპზე და მოსავლის ხარისხზეც. უკვე უახლოეს ათწლეულებში მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიური ფაზების დადგომის ვადები, მოსალოდნელია 4-5 დღით ადრე დაიწყოს და მოსავლის ფორმირებაც შესაბამისად უფრო დაჩქარდეს. ეს გარემოება აუცილებელს ხდის ცალკეულ მცენარეთა ჯგუფებისათვის დიფერენცირებული შეფასებისა და პროგნოზირების გაკეთებას, განსაკუთრებით, მოსავლის ხარისხოვანი მაჩვენებლების ცვლილების თვალსაზრისით.

### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Агроклиматические ресурсы Грузии. Гидрометиздат 1978 Ленинград.
2. Ф.Ф. Давитая, О. А. Дроздов. Проблемы горной климатологии. Тбилиси 1969 г.

შპს 551.510

**მთიანი რეგიონების აგროკლიმატური თავისებურებები/**ცხაკაია ჯ., ცქვიტინიძე ზ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 168-176.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მთიანი რეგიონების აგროკლიმატური რესურსების სირცობრივი განაწილების გათვალისწინებით დადგენილია ძირითადი სასოფლოსამეურნეო კულტურების ვერტიკალურ-ობტიმალური გაადგილების საზღვრები. ვახის კულტურის რაციონალურად გაადგილების მიზნით ხაზგასმითაა ნაჩვენები დღის ტემპერატურის გადამწყვეტი როლის შესახებ. მოცემულია მინიმალური ტემპერატურის ტერიტორიად განაწილების კანონზომიერება რელიეფის ფორმებისა და ადგილის სიმაღლის მიხედვით.

UDC 551.510

**AGROCLIMATIC PECULIARITIES OF MOUNTAINOUS REGIONS.** /Tskhakaia J., Tskvitinidze Z./ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 168-176.- Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

Based on main agroclimatic characters spatial distribution optimal and extreme upper thresholds of main agriculture cultures are calculated. In the article necessity of day time temperatures usage is underlined. Peculiarities of mean abs. minimum temperature spatial distribution by place elevation and orography are presented. eorg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

УДК 551.510

**АГРОКЛИМАТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ГОРНЫХ РЕГИОНОВ./** Цхაკаиа Дж. Г., Цквитинидзе З. И./ Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с. 168-176. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус.

На основе территориального распределения основных агроклиматических показателей рассчитаны оптимальные и предельные верхние границы возделывания ведущих с/х культур. Подчеркнута важность учета дневных температур, как фактора биоклиматически обоснованного и определяющего продвижение винограда (и других культур) в горные районы

*Мелконян Д.О.*

*Государственная служба Армении по гидрометеорологии и мониторингу*

УДК551.521.3+51.001.57

## **О КЛИМАТИЧЕСКОМ РЕЖИМЕ СОЛНЕЧНОЙ РАДИАЦИИ НА ТЕРРИТОРИИ АРМЕНИИ**

### *ВВЕДЕНИЕ*

Климат является одним из основных важных факторов, определяющих состояние окружающей среды. Поэтому наблюдаемые в настоящее время его явные изменения привлекают к себе столь острый интерес как среди широкой общественности, так в научной среде.

Понятие климата некоторого района определяется как “синтез погодных условий данного района, характеризуемый долгосрочными статистическими данными (средние значения, дисперсии, вероятности экстремальных значений и т. д.) метеорологических элементов (явлений) в этом районе” [4].

Одним из основных факторов, определяющих погодные условия района, является радиационный режим его подстилающей поверхности. Поэтому для оценки современного климата и изучения трендов климатических изменений в Армении в рамках финансируемой из госбюджета НИР “Исследование радиационных ресурсов территории Армении” (2005-2007гг.) автором были предприняты создание базы данных и справочника радиационных ресурсов территории Армении, а также компьютерной модели, обобщающей полученные результаты для их широкого применения на практике.

### **МЕТОДИКА**

Сбор, систематизация и обработка 25-летних рядов актинометрических наблюдений, выполненных на сети метеостанций страны в течение 1980-2004гг., позволили произвести исследование долгосрочных данных по распределению потоков прямой, рассеянной, отраженной солнечной радиации и радиационного баланса системы земля-атмосфера, продолжительности солнечного сияния и режима облачности над территорией страны. Рассчитаны режимы сезонных вариаций коротковолнового баланса и суммарной радиации, а также приведенного к двум атмосферным массам интегрального коэффициента  $P_2$  прозрачности атмосферы и альбедо подстилающей поверхности.

По результатам выполненных в течение 1990-2004гг. регулярных наблюдений общего содержания озона над территорией Армении, сезонного

хода прозрачности атмосферы и на основании приближенного равенства коэффициента  $P_2$  монохроматическому коэффициенту прозрачности  $P_{0,55}$  для длины волны 0,55 микрон получена оценка сезонного хода значений коэффициента мутности Ангстрема для аэрозольного слоя атмосферы.

Произведено также математическое моделирование результатов исследования и экстраполяция их на территорию всей страны.

Для этого на основании данных о распределении интенсивности солнечной радиации во внеатмосферном спектре и стандартных значениях коэффициентов молекулярного рассеяния радиации в атмосфере в интервале длин волн (0,27–100) микрон [3], по стандартным значениям коэффициентов поглощения ее в озоновом слое [2] и полученным значениям коэффициента поглощения радиации в аэрозольном слое атмосферы, а также с использованием электронной карты рельефа поверхности Армении построена компьютерная модель переноса радиации в атмосфере, распределения и (однократного) отражения ее на поверхности – с учетом географического расположения, ориентации, углов наклона и альbedo этих поверхностей.

## РЕЗУЛЬТАТЫ

На основании обобщения полученных результатов разработан макет справочника радиационных ресурсов территории Армении, соответствующий по своей структуре климатическому справочнику [5], но дополненный по каждой из метеостанций разделом статистических оценок качества полученных результатов.

Построенная модель создает возможность оценки радиационных факторов и ресурсов в любом ее регионе и расширения тем самым областей практического применения полученных результатов – например, в областях энергетики, сельского хозяйства, здравоохранения, гражданского и военного строительства, научно-прикладных исследований и т.д.

Модель позволяет определить сезонные изменения интенсивности, почасовых, дневных, месячных и годовых сумм прямой, рассеянной, отраженной, суммарной радиации и коротковолнового баланса в любой части спектра – в частности, в области ультрафиолетовой радиации УФР (в том числе УФ-А, -В и -С), видимой, инфракрасной, фотосинтетической, коротковолновой, длинноволновой), – а также пространственное распределение УФИ (индексов УФР) и времен получения 1 МЭД (минимальной эритемной дозы) УФР для 4-х основных типов кожи, для чего используется эритемный CIE-спектр McKinlay, Diffey [1].

Ниже представлены некоторые результаты моделирования режима УФ-облучения в регионе горы Арагац и Араратской долины (рисунки 1 – 4), а также зависимость сумм суммарной фотосинтетической радиации от высоты в двух областях страны: северо-восточной с относительно влажным климатом (Таблицы 1, 2) и южной с относительно засушливым климатом (Таблица 3, 4).




Рис.1. Карта региона; интервал высот:  
829 – 4090м над уровнем моря.




Рис.2. Дневные суммы суммарной УФР;  
**ცხრილი 1. სხვადასხვა ქვეყნის თანამგზავრებისა და მათზე არსებული სენსორების მახასიათებლები: მიმოქცევის ციკლი, ტალღის სიხშირე, გარჩევადობა, დაფარვის ზოლის სიგანე.**

თანამ.	ქვ.	ციკ.	სენსორი	ტალღის სიხშირე	გარჩევადობა	ზოლის სიგ.(კმ)		
NOAA	აშშ	12 სთ	AMSU-A <sup>1</sup> AMSU-A AVHRR/3  HIRS-3 20 IR	23.8 (გპც), 31.4, 50.3, 52.8, 53.33, 54.4, 54.94, 55.5 57.29 (6 არხი) 89.0 89.0, 166.0, 183.31 (3 არხი) 1) 0.58-0.68, 2) 0.72-1.00, 3A) 1.58-1.64 (დღე), 3B) 3.55-3.93 (night), 4) 10.3-11.3, 5) 11.5-12.5 (1) 14.95, (2) 14.71, (3) 14.49, 4) 14.22 (5) 13.97, (6) 13.64, (7) 13.35, 8) 11.11 (9) 9.71, (10) 12.47, (11) 7.33, 12) 6.52 (13) 4.57, (14) 4.52, (15) 4.47, 16) 4.45 (17) 4.13, (18) 4.00, (19) 3.76, 20) 0.69	40 კმ  15 კმ 0.5 კმ (VIS) 1.0 კმ (IR)  17.4 კმ	2240  2240 2940  2240		
TERR A	აშშ	16 დღ.	MODIS  ASTER	VNIR, SWIR, TIR 36 სხვ. დიაპ.  VNIR, SWIR, TIR 14 სხვ. დიაპ.	250 მ, 500 მ, 1000 მ, 15 მ, 30 მ, 90 მ	60  2330		
LANDSAT	აშშ	16	TM/ETM  MSS MTB PAN	0.45-0.52, 0.52-0.60, 0.63-0.69 0.76-0.90, 1.55-1.75, 2.08-2.35 0.5-0.6, 0.6-0.7, 0.7-0.8, 0.8-1.1, 10.4-12.6 10.4-12.5 0.5-0.9	30 მ  79 მ 60 მ 15 მ	185  185		
SPOT	საფრ.	26 დღ.	HRVIR(1) HRVIR(2) VMI	0.50-0.59, 0.61-0.68, 0.79-0.89, 1.58-1.75 0.61-0.68 0.43-0.47, 0.50-0.59, 0.61-0.68, 0.79-0.89, 1.58-1.75	20 მ 10 მ 1000 მ	60 60 2000		
RADARSAT	კან.	24 დღ.	SAR	5.3 გპც (C- დიაპ.)	Standard 28 x 25 მ Fine 10 x 9 მ	100 45		
ERS	ევრ.	35 დღ.	აქტიური მიკროტალღური ინსტრუმენტები					
			SAR Image	5.3 გპც (C- დიაპაზონი)	<30 მ	80-100		
			SAR Wave Scatterometer Radar Alti.	5.3 გპც (C-დიაპაზონი) 5.3 გპც (C-დიაპაზონი) 14.5 5.3 გპც (KU-დიაპაზონი)	<30 მ 50 კმ 10 სმ სიზუსტე	5 500		
ATSR-M ტრაექტორიის გასწვრივ სკანირების რადიომეტრი მიკროტალღური ზონდით								
Infrared	1.6, 3.7, 11, 12	1 კმ x 1 კმ	500					
Radiometer	23.5 (გპც)	22 კმ	500					
Microwave sounder	(1) 0.24-0.295 (512 დიაპ.), (2) 0.29-0.405 (1024 დიაპ.)	40 x 2 კმ	960					
Gome	(3) 0.40-0.605 (1024 დიაპ.), (4) 0.59-0.79 (512 დიაპ.)	40 x 320 კმ	500					
AATSR		0.65, 0.85, 1.27, 1.6, 3.7, 11.0, 12.0						

<p>AATSR - გაუმჯ. ტრაექტორიის გასწვრივ მასკანირებული რად.მეტრი.</p> <p>AMSU-A - გაუმჯ. მოკლეტალღური A-ერთეული</p> <p>AMSU-B - გაუმჯ. მოკლეტალღური B-ერთეული</p> <p>ASTER - გაუმჯ. სიერცული თერმული ემისიის და რეფლექტური რად.მეტრ.</p> <p>AVHRR/3 - გაუმჯ. მაღალი გარჩევადობის რად.მეტრ.</p> <p>ETM - გაძლიერებული თემატიკური რუკების შემდგენელი</p>	<p>GOME - გლობალური მონიტორინგის ექსპერიმენტი</p> <p>HIRS-3 - მაღალი გარჩევადობის ინფრაწითელი რადიაციის ზონდი</p> <p>HRVIR - მაღალი გარჩევადობის ხილული ინფრაწითელი IR - ინფრაწითელი</p> <p>MESSR- მულტისპექტრალური ელექტრონული თეთ-მასკანირებული რადიომეტრი</p> <p>MODIS - საშუალო გარჩევადობის სპექტრორადიომეტრი ++ დიაპაზონი 4 არის 15.33 ხარისხის</p>	<p>MTB - მულტისპექტრალური თერმული დიაპაზონი</p> <p>OPS - ოპტიკური სენსორები</p> <p>PAN - პანკრომატული</p> <p>SAR - სინთეტური აპერატურის რადარი</p> <p>VIS - ხილული</p> <p>VMI - კვანძის მონიტორინგის ხელსაწყო</p> <p>VTIR - ხილული და ინფრაწითელი რადიომეტრი</p> <p>MSR - მიკროტალღოვანი მასკანირებული რადიომეტრი</p>
--	---	---

მოკლეტალღოვან ინფრაწითელ (SWIR), თერმულ ინფრაწითელ (TIR) და მიკროტალღოვან (SAR) დიაპაზონებში მიღებული ინფორმაცია კატასტროფების შედეგების შერბილების და ადრეული გაფრთხილების შესაძლებლობას იძლევა.

თითოეულ სენსორს დედამიწის ზედაპირისა და სანაპირო წყლების შესახებ განსხვავებული ხასიათის უნიკალური ინფორმაციის მოპოვება შეუძლია. ასე მაგალითად, მზის გამოსხივების არეკვლის გაზომვა ამა თუ იმ ობიექტის ან ზედაპირის მიერ არეკვლილი სინათლის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. თერმული სენსორები ტემპერატურას ზომავენ, მიკროტალღური სენსორები – დიექტრიკულ თვისებებს, შესაბამისად ზედაპირის, ნიადაგის ან თოვლის ტენიანობას ზომავენ. დისტანციური ზონდირების მეთოდების მუდმივი განვითარება ახალი ტექნოლოგიების შექმნას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ, კატასტროფების შედეგების შერბილების და ადრეული გაფრთხილების ფართო გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

დედამიწაზე დაკვირვების თანამგზავრული სისტემების და გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) გამოყენება, კატასტროფების შედეგების ადრეული შეტყობინებისათვის შესაბამის სამსახურებს ეფექტურ დახმარებას უწყევნ.

ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების შედეგების შერბილების მიზნით თანამგზავრული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევიან შეიქმნას და გამოყენებულ იქნას მონაცემთა ბაზები, ჩატარდეს: ვითარების მონიტორინგი, ამა თუ იმ რთული ბუნებრივი მოვლენის მაქსიმალურად ზუსტი მოდელირება, მოდელის საფუძველზე მოვლენების განვითარების პროგნოზირება. ზემოთაღნიშნული საშუალებას იძლევა გამოტანილ იყოს შესაბამისი დასკვნები და მიეწოდოს პოლიტიკის გამტარებელ ორგანიზაციებს.

მაღალი სიზუსტის, მულტიტემპორალური ხასიათის, სტიქიური უბედურების რაიონის სრული დაფარვის, სივრცული და დროითი უწყვეტობის გამო თანამგზავრული ინფორმაცია ეფექტური იარაღია ისეთი ტიპის გადაწყვეტილებების მიღების დროს, როგორიცაა:

- ამა თუ იმ კატასტროფით: წყალდიდობით, ხანძრებით, შავი ზღვის ნავთობით დაბინძურებით გამოწვეული დაზიანების მასშტაბებისა და ინტენსივობის სწრაფად შეფასება;
- კატასტროფით დაზარალებულ რეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვის გამოთვლა;
- ყველაზე მეტად დაზარალებული რეგიონების სწრაფად დადგენა, ადრეული შეტყობინების მიზნით;
- მონაცემთა ბაზების შედგენა და მათი განახლება.


დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების ფართო სპექტრიდან მიმოვიხილოთ ის თანამგზავრები და მათზე განლაგებული სენსორები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია საქართველოს ტერი-

ტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების ადრეული შეტყობინებისათვის. ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს სისტემებია: NOAA / AVHRR, TERRA და AQUA / MODIS, LANDSAT, SPOT, რადარული თანამგზავრული სისტემები ERS და RADARSAT.

მიუხედავად იმისა, რომ NOAA-ს ჯგუფის თანამგზავრების სენსორის, AVHRR-ის (გაუმჯობესებული ძალიან მაღალი გარჩევითობის რადიომეტრი) მონაცემებს დაბალი სივრცითი გარჩევითობის გამო (1,1 კმ) ბუნებრივი კატასტროფების შედეგების მონიტორინგისათვის გამოსადეგად არ მიიჩნევენ, დაფარვის ფართო ზოლის (2253 კმ) წყალბით ყოველდღიურად დედამიწის ვრცელი ტერიტორიის მონიტორინგის შესაძლებლობას იძლევა. მასკანირებელი რადიომეტრი ხუთ სპექტრალურ უბანში მუშაობს, ხილულიდან თერმულ ინფრაწითელამდე. მისი საშუალებით შესაძლებელია წყალდიდობის, თოვლის საფარის და ხანძრების მონიტორინგის ჩატარება.

თანამგზავრების TERRA და AQUA-ს სენსორი MODIS საქართველოში ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით გამოყენების არეალია წყალდიდობების, ზღვის ზედაპირის ტემპერატურის, თოვლის საფარის და ტყის ხანძრების მონიტორინგი.

LANDSAT / MSS და /TM სურათები მაღალი სივრცული და დროითი გარჩევადობით გამოირჩევა. საქართველოში ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით მათი გამოყენება ეფექტურია წყალდიდობების, ხანძრების და ჩაღვრების მონიტორინგისათვის. ნახ. 1-ზე წარმოდგენილია LANDSAT /TM-დან მიღებული სურათი, რომელზეც ასახულია მდ. ჭოროხის ჩამონადენი შავ ზღვაში.



ნახ.1. მდ. ჭოროხის ჩამონადენი შავ ზღვაში, LANDSAT/TM, ბათუმი, 15 ივლ., 2002წ.

საქართველოში ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით ფრანგული თანამგზავრ SPOT-ის გამოყენება ეფექტურია კვამლის გავრცელების, ტყის ხანძრების, ხანძრის მიერ განადგურებული რაიონების მონიტორინგის დროს.

საშუალო და მაღალი გარჩევითობის სენსორების წარმატებული კომბინაციის საშუალებით, შესაძლებელია დედამიწის ზედაპირის ვრცელ უბნებზე დაკვირვება. საქართველოში ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით მათი გამოყენება ეფექტურია მაგალითად, ხანძრის კერებზე დასაკვირვებლად.

სინთეტურ-აპერტურული რადარები ე.წ. SAR სისტემები (RADARSAT და ERS თანამგზავრებზე) აქტიური დისტანციური ზონდირების ჯგუფს განეკუთვნებიან. ისინი მონაცემებს ელექტრომაგნიტური სპექტრის მიკროტალღოვან უბანში კრებენ და სურათების გადაღება შეუძლიათ კლიმატური პირობების, დღე-ღამის დროის და ღრუბლიანი ამინდის მიუხედავად, მაშინ როცა ოპტიკური მეთოდები უსარგებლოა. საქართველოში ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით მათი გამოყენება ეფექტურია წყალდიდობის, ტყის ხანძრების, ტყის საფარის მონიტორინგის დროს.

სხვადასხვა თანამგზავრების მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება, ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების ფართო სპექტრიდან, ყველაზე ეფექტურია წყალდიდობების და თოვლის საფარის, შავ ზღვაზე ტრანსპორტირების უსაფრთხოების, ავარიული ჩადვრების (მათ შორის ნავთობჩადვრების) და ხანძრების ადრეული შეტყობინებისათვის.

ბუნებრივ კატასტროფებს შორის წყალდიდობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენაა. თანამგზავრული გამოსახულება ეფექტურია იყოს წყალდიდობების მენეჯმენტისთვის შემდეგ საკითხებში:


- დეტალური კარტოგრაფირება, რომელიც საჭიროა კატასტროფების რუკების შეფასებისთვის და სხვადასხვა ტიპის ჰიდროლოგიური მოვლენების საწყისი მონაცემებისათვის;
- თანამგზავრული მონაცემების გამოყენებით ნიადაგის მდგომარეობის რადენობრივი შეფასება;
- მდინარის აუზის ან სანაპირო რაიონისთვის ფართომასშტაბიანი წყალდიდობების სიტუაციის მოდელირება, რათა დადგინდეს დიდი რისკის ქვეშ მდგომი რეგიონები და მოხდეს ადრეული გაფრთხილება.

წყალდიდობის რაიონის დადგენა შეიძლება დისტანციური სენსორებით მიღებული გამოსახულების გამოყენებით. ერთი გზა არის წყალდიდობის კარტოგრაფირება [1], რომელიც იყენებს წყალდიდობის და წყალდიდობის შემდგომი წყლის დონის პიკების გამოსახულებას. მეორეა, წყალდიდობის პროგნოზირება

ჰიდროლოგიური მოდელირების, დისტანციური ზონდირების მონაცემების და GIS-ს მეთოდების ერთად გამოყენება მომავალი კა-

ტასტროფების პრევენცია/შერბილების და დანაკარგების შეფასებისა საშუალებას იძლევა.

წყალდიდობის შესაფასებლად აუცილებელია დამატებით გამოყენებულ იქნას ინფორმაცია თოვლის საფარის შესახებაც. ამჟამად, მდ. რიონის აუზისთვის, თანამგზავრული ინფორმაციის საფუძველზე თოვლის საფარის შეფასების და წყალდიდობების პროგნოზირების მიზნით, ფინური ტექნოლოგიების საფუძველზე, მიმდინარეობს საქართველო-ფინეთის ერთობლივი კვლევები [2]. ნახ. 2-ზე მოყვანილია მდ. რიონის აუზის თოვლის საფარი შედგენილი TERRA/MODIS თანამგზავრული მონაცემებით.



ნახ. 2 რიონის აუზის თოვლის საფარი, TERRA/MODIS

ზღვებზე და ოკეანეებზე გადაზიდვების უსაფრთხოება უკიდურესად მნიშვნელოვანია ამ საქმიანობის დაწყებიდანვე. დღეისათვის საზღვაო გადაზიდვების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ რიცხვითი ოპერატიული საზღვაო მოდულების პროგნოზები (ზღვის დონის ცვლილების, მარილიანობის, ანთროპოგენული დაბინძურების შედეგების და სხვა). რეალურ დროში პროგნოზის გამოთვლა ხელს უწყობს ზღვის დინებების დაზუსტებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზღვებსა და ოკეანეებზე გადაზიდვების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და ბუნებრივი კატასტროფების და ანთროპოგენული ზემოქმედების აღკვეთის და/ან შერბილების ხელშეწყობისთვის.

უსაფრთხო გადაზიდვების და ბუნებრივი კატასტროფების და გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების მოვლენების აღკვეთის და/ან შერბილების სისტემის შესაქმნელად ზღვის ზედაპირის ტემპერატურის საწყისი მონაცემები ერთ-ერთი აუცილებელი კომპო-

ნენტია. ამ მონაცემების მისაღებად ყველაზე პერსპექტიულია თანამგზავრული მონაცემების გამოყენება [3], რისი ერთ-ერთი მიზეზია შავ ზღვაზე არსებული სადამკვირვებლო ქსელის სიმენხერე. საქართველოს შემთხვევაში შავ ზღვაზე არსებული სადამკვირვებლო ქსელი მოიცავს ოკეანოგრაფიულ სადგურებს ბათუმში, ქობულეთში და ფოთში, რაც რეგულარული ბადის კვანძებში შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის საჭირო მნიშვნელობების გამოთვლის საშუალებას არ იძლევა. ნაშრომში ჩატარებულმა სხვადასხვა თანამგზავრის ინფორმაციის ანალიზმა უჩვენა, რომ ამ მიზნით მიზანშეწონილია AVHRR, MODIS სენსორების მონაცემების საშუალებით გამოთვლილი შავი ზღვის ზედაპირის და სანაპირო ზოლის ტემპერატურული მონაცემების გამოყენება.


უნდა აღინიშნოს, რომ ამ სენსორების საშუალებით მიღებული შავი ზღვის ზედაპირის და სანაპირო ზოლის ტემპერატურული მონაცემები საჭიროებენ გარკვეულ შესწორებებს და შესაბამისი ცდომილებების დადგენას, რაც შემდგომი კვლევის საგანს შეადგენს.

უკანასკნელ წლებში შავ ზღვაში გაჭუჭყიანების რაოდენობრივი ზრდის გარდა მიმდინარეობს მისი ხარისხობრივი შემადგენლობის ცვალებადობა. წარსულში ჩაშვებათა ძირითად წყაროებს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეადგენდა. ამჟამად წამყვანი გახდა სამრეწველო ნარჩენები, რომლებიც ნავთობპროდუქტებსა და ადამიანის მიერ სინთეზირებულ მთელ რიგ ორგანულ ნივთიერებებს შეიცავენ. მათი ძირითადი წყაროებია გემები, დაუმუშავებელი ნავთობის გაურთხევა და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები. საქართველოს სანაპიროსთან ნავთობის ჩაღვრები დომინანტური გახდა, რადგანაც გაიზარდა ნავთობის გადაზიდვები ბათუმის პორტის, სუფსისა და ყულევის ტერმინალების საშუალებით. ამდენად შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგის წარმოება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ავარიული ჩაღვრების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის თანამგზავრული მონიტორინგის წარმოება ძალზედ ეფექტურია. ნახ. 3-ზე წარმოდგენილია საქართველოს სანაპირო ზოლის დაბინძურების თანამგზავრული სურათი, რომელზეც გარკვეული სკალით მოყვანილია შავი ზღვის დაბინძურების მდგომარეობა.

თანამგზავრული მონიტორინგის წარმოება ძალიან ეფექტურია ტყის ხანძრების ადრეული გაფრთხილებისათვის. ნახ. 4-ზე მოყვანილია თანამგზავრ TERRA/MODIS საშუალო სივრცითი გარჩევადობის სურათი, რომელზეც წარმოდგენილია მიმდინარე წლის აგვისტოში ბორჯომი-ხარაგაულის ნაკრძალში დაკვირვებული ხანძარი. თანამგზავრული მონაცემები დამუშავებულია გაეროსთან არსებული ორგა-

ნიხაცია „თანამგზავრული გადაწყვეტა ყველასთვის“ (UNOSAT „Satellite solutions for all“) მიერ და გამოქვეყნებულია [5]. თუმცა, ხანძრის განვითარების დინამიკის საჩვენებლად თანმიმდევრობით, რამდენიმე დღის განმავლობაში გადაღებული სურათებია საჭირო. 17 აგვისტოსთვის, წინასწარი მონაცემებით, ხანძრის მიერ განადგურებული ფართობი 450 ჰექტარს შეადგენს. ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.



ნახ. 3 საქართველოს სანაპირო ზოლის დაბინძურების სურათი, TERRA /MODIS, 9 ივლ., 2008 წ.



ნახ. 4. ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის ხანძარი, TERRA/MODIS, 16 აგვისტო, 2008 წ.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ: 1. საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების ადრეული შეტყობინებისათვის დედამიწის



ხელოვნური თანამგზავრების ფართო სპექტრიდან მიზანშეწონილია NOAA/AVHR, TERRA, AQUA/MODIS, LANDSAT და SPOT თანამგზავრული და ERS & RADARSAT რადარული თანამგზავრული სისტემების გამოყენება; 2. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პიდრომეტეოროლოგიური კატასტროფებიდან თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება ყველაზე ეფექტურია წყალ-დიდობების, შავ ზღვაზე ტრანსპორტირების უსაფრთხოების, ავარიული ჩაღვრების (მათ შორის ნავთობჩაღვრების) და ტყის ხანძრების ადრეული შეტყობინებისათვის.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Nirupama, P. Simonovich, 2002, Role of Remote Sensing in Disaster Management. ICIR Research, USA, Paper Series - No 21.
2. Sari J. metsamaki, Saku T. Antilla, Huttunen J. Markus, Jenni M. Versalainen, 2005, A Feasible Method for Fractional Snow Cover Mapping in Boreal Zone Based on a Refletance Model. Remote Sensing of Environment. Finland, v. 95. pp.77-95.
3. ლ.შენგელია, გ.კორძახია, მ.ტატიშვილი, გ.თვაური, ი.მკურნალიძე. 2008წ., შავი ზღვის საქართველოს აკვატორიის ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენების პერსპექტივები. თბილისი, ჰმი-ს შრომები, ტ. 114.

შპაპ 551.50.501.7

**საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების აღრეული შეტყობინებისათვის თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება.** კორძახია გ., შენგელია ლ., თვაური გ., ტატიშვილი ი., მკურნალიძე ი./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 250-260.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია საქართველოსათვის კატასტროფული პიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პრევენციისა და/ან შერბილებისათვის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენება. მოყვანილია თანამედროვე თანამგზავრების სხვადასხვა მახასიათებლები. განხილულია საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სტიქიური მოვლენები, რომელთა ადრეული გაფრთხილებებისათვის გამოიყენება თანამგზავრული ინფორმაცია.

UDC 551.50.501.7

**USE OF SATELLITE INFORMATION FOR EARLY WARNING OF HYDRO-METEOROLOGICAL DISASTERS IN THE TERRITORY OF GEORGIA.** /Kordzakhia G., Shengelia L., Tvauri G., Tatishvili M., Mkurnalidze I./ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 250-260. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

In the research the use of the information of the satellites for prevention or/and mitigation of disasters of hydrometeorological origin for the territory of Georgia is

reviewed. The various characteristics of modern satellites are presented. The disasters that are typical for Georgia for which the application of satellite information is effective are considered.

УДК 551.50.501.7

**ИСПОЛЬЗОВАНИЕ СПУТНИКОВОЙ ИНФОРМАЦИИ ДЛЯ РАННЕГО ПРЕДУПРЕЖДЕНИЯ ГИДРОМЕТЕОРОЛОГИЧЕСКИХ КАТАСТРОФ НА ТЕРРИТОРИИ ГРУЗИИ.** /Кордзахия Г.И., Шенгелия Л.Д., Тваури Г., Татишвили М., Мкурналидзе И./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с.250-260. – Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус

В работе рассмотрено использование информации искусственных спутников Земли для превенции и/или смягчения катастрофических гидрометеорологических явлений на территории Грузии. Приведены различные характеристики современных спутников. Рассмотрены характерные для Грузии стихийные гидрометеорологические явления для раннего пре-упреждения на основе применения спутниковой информации.

*Г.С.Гуния<sup>1</sup>, З.И.Цквитинидзе<sup>2</sup>,*

*Б.М.Холматжанов<sup>3</sup>, З.Н.Фатхуллаева<sup>3</sup>*

*<sup>1</sup>Институт Гидрометеорологии, Грузия*

*<sup>2</sup>НПО «Организация экологической безопасности», Грузия*

*<sup>3</sup>Национальный университет им. Мирзо Улугбека, Узбекистан*

УДК 551.510.04.

## **К МЕТЕОРОЛОГИЧЕСКИМ АСПЕКТАМ КРУПНОМАСШТАБНЫХ ПЕРЕНОСОВ ЗАГРЯЗНЯЮЩИХ ВЕЩЕСТВ В УСЛОВИЯХ ГОРНЫХ РЕГИОНОВ**

Первые сведения о особенностях распределения метеорологических параметров на территории Грузии относятся к первой половине XVIII века, когда видным историком, географом и лексикографом Вахушти Багратионом были исследованы и описаны региональные климатические особенности Грузии [1]. Эти особенности обусловлены многими климатообразующими факторами, в том числе: - географическим положением, орографией, атмосферными процессами и др. [3,4,5].

Исследование влияния отдельных указанных параметров на загрязнение атмосферы в региональном масштабе представляет значительный научный и практический интерес. Однако для нас наиболее интересным является вопрос изучения особенностей тех «традиционных» метеорологических параметров, которые, в условиях постоянства количества эмиссий вредных веществ в атмосферу, оказывают влияние на уровень загрязнения атмосферы и известны как «опасные метеорологические условия» [2]. С указанной точки зрения значительный интерес представляет исследование такого малоизученного процесса, каким представляется влияние феновых явлений на уровень загрязнения атмосферы. При этом, изучение данного вопроса в условиях регионов, отдалённых друг от друга на большие расстояния представляет значительный научный и практический интерес.

### **1. Особенности влияния фенов на экологическое состояние воздушного бассейна в районе Колхидской низменности**

К числу особенностей феновых явлений относятся теплые ветры, дующие с гор на долину при уменьшении относительной влажности и рассеивании облаков нижнего яруса.

Фены развиваются на подветренной стороне хребтов вследствие нисходящего движения воздушного потока. Это явление может иметь место при переваливании горных хребтов воздушным потоком в системе циклонов, с развитием процесса всасывания воздуха над склонами гор, при его перемещении вблизи поверхностей хребтов [3].

Следует заметить, что Колхидская низменность, расположенная в юго-западной части Кавказа, и Ахангаранская долина Западного Тянь-Шаня – представляют собой классические примеры регионов, имеющих все условия для развития феновых явлений, которые, главным образом, определяются особенностями рельефа гор, окружающих данные регионы.

Таким образом, орография данных регионов, окаймленных горными хребтами, представляет собой существенный климатообразующий фактор. В частности, массивы Большого и Малого Кавказа (высотой в 3000-4000 и 2000 м, соответственно), с запада на восток до центральной части, создают горную систему, направленную на взаимостыковку. В результате этого Колхидская низменность имеет форму треугольника, с острием угла примкнутым к предгорью Лихского хребта (высотой в пределах 900-2500 м) и основанием в виде прибрежной полосы Черного моря. Таким образом, Колхидская низменность с запада и севера, со стороны Черного моря, а также с востока, со стороны Лихского хребта, открыта для проникновения воздушных масс. Повторяемости этих ветров на рассматриваемой территории составляют в среднем 42 и 53%, соответственно.

На Колхидской низменности при развитии восточных ветров указанные орографические особенности обуславливают установление особого циркуляционного режима, которому сопутствуют феновые явления (перемещение воздушных масс вниз с высоты).

Динамика этих процессов проявляется в том, что в условиях установления восточных ветров над указанным регионом, достигающих скоростей в 25-30 м/с, происходит интенсивный вынос воздушных масс из нижних слоев атмосферы по направлению Черного моря. Восстановление утерянной части потока воздуха в нижнем 2-х км-вом слое атмосферы, очевидно, возможно лишь при наличии компенсирующего нисходящего движения из более высоких слоев [9].

Кроме того, здесь развита местная циркуляция воздушного потока, обусловленная разностью температур воздуха прибрежной полосы и моря, известная под названием бризов.

Указанные явления создают все условия для того, чтобы перемещения потоков атмосферного воздуха в данном регионе создавали замкнутую систему, способствующую появлению вторичного источника загрязнения воздушного бассейна региона в результате циркуляции местных выбросов вредных веществ в атмосферу.

Делать подобное заключение позволяет соображение, физический смысл которого состоит в том, что в условиях фенов поток теплого воздуха при стремительном спуске с Лихского хребта к Черному морю, с приближением к нему ослабевает и, так-как его температура выше температуры воздуха прибрежной полосы, преимущественно должен быть направлен в верхние слои воздуха с ориентацией к Лихскому хребту. При достаточной продолжитель-

ности, данный объем воздуха может быть вовлечен в повторный процесс указанного явления (рис.1).




Рис.1. Принципиальная схема циркуляционного процесса при феновых явлениях на Колхидской низменности.

В различных пунктах Западной Грузии число дней с фенами в течение года колеблется в широком диапазоне [6]. При этом, эффекты феновых явлений с удалением от Лихского хребта уменьшаются и вблизи Пицунды они имеют заметно ослабленный характер. К примеру, в Гаграх они в среднем составляют 23, а к западу в районе Пицунды – 8 дней. Их максимальное число приходится на зиму, а минимальное – наблюдается в летний период. Скорости феновых ветров в среднем составляют 10м/с. Однако в отдельных случаях они могут превосходить скорости в 15-20м/с. При этом увеличение температуры воздуха колеблется в пределах 2-9<sup>0</sup>С, а в некоторых случаях оно может превзойти 15<sup>0</sup>С.

## 2. Оценка загрязнения атмосферы в районе Ахангаранской долины в период фена с помощью гидродинамической модели

В приводимом ниже исследовании рассмотрена возможность применения трехмерной гидродинамической модели и на ее основе выполнен расчет полей рассеивания загрязняющих веществ для одной из долин Западного Тянь-Шаня - Ахангаранской. Как объект исследования, указанная долина выбрана не случайно. Во-первых, по своим морфометрическим и метеорологическим параметрам это типичная долина не только Западного Тянь-Шаня, но и других горных систем мира. Во-вторых, она достаточно изучена в циркуля-

ционном отношении для всех сезонов года. В-третьих, в ней сконцентрировано большое количество крупных предприятий цветной металлургии, химической, строительной и топливноэнергетической промышленности. По объему выбросов загрязняющих веществ долина занимает лидирующее положение среди регионов Узбекистана (табл.1 [7]).

Таблица 1. Количество загрязняющих веществ, выброшенных в атмосферу в Республике Узбекистан ( $10^6$  кг/год)

Города	Годы				
	1995	1996	1997	1998	1999
Ташкент	16,0	15,3	13,3	11,8	12,7
Андижан	1,0	9,6	8,7	7,7	6,2
Навои	48,3	43,7	42,2	42,6	28,2
Самарканд	7,8	7,1	8,1	8,3	8,2
Алмалык	106,6	105,4	105,9	103,6	100,0
Ангрен	91,6	111,2	111,8	101,0	112,6
Бекабад	9,1	7,7	6,8	7,4	7,3
Чирчик	7,5	6,7	6,3	6,5	5,6
Каканд	3,9	4,3	5,4	5,3	2,9
Фергана	70,7	72,5	67,8	55,0	49,4
Маргелан	0,5	0,4	0,3	0,3	0,1
Нукус	2,6	2,9	3,0	3,7	3,4
Ургенч	6,0	3,4	10,2	13,1	1,3
Бухара	7,1	14,6	9,2	8,0	3,1
Джизак	3,2	2,3	6,5	3,7	3,3
Карши	129,0	85,0	75,9	65,4	2,7
Наманган	5,7	6,7	6,5	6,7	4,3
Термез	2,1	2,0	1,9	1,4	0,5
Гулистан	1,6	1,6	1,4	1,4	1,0

В долинах Западного Тянь-Шаня в холодное полугодие устанавливаются феновые ветры. Изучению структуры этих ветров в Ахангаранской долине посвящена работа [8]. В ней, в частности, отмечается, что в этот период в долине наблюдаются хорошо выраженные стоковые ветры и ветры высасывания

Вертикальная структура феновых ветров северо-восточного направления изучалась по материалам аэрологической экспедиции в Турке и Аблыке в холодное полугодие 1960-1961 гг. Общая длительность экспедиции составила 5 месяцев. Результаты экспедиции показали, что длительность одного случая фенового ветра составляет 2-2,5 дня. Его суммарная продолжительность в зимнее полугодие - около 30 дней. Величина скорости фена зависит от ширины долины. Так, поток в верхней, узкой части долины выражен лучше, чем в центральной, широкой части. Вертикальная мощность установившегося фенового потока имеет порядок 1000м.

При особенно резких процессах, когда скорость северо-восточного ветра достигает своих характерных максимальных значений, верхняя граница северо-восточного ветра может лежать на уровне 2000 м. В работе [8] выделяется 3 типа распределения скорости ветра с высотой (рис.2):




Рис.2. Вертикальные профили скоростей ветра: а) 9 час., б) 13 час., в) 17 час.

1. Уменьшение скорости с высотой, что характерно для начала и конца фенового периода;
2. Увеличение скорости до некоторой высоты с последующим ослаблением вплоть до верхней границы северо-восточного ветра, наблюдается в любое время периода развития фена;

Наличие двух максимумов скорости, что характерно для разгара фенового процесса.

При максимальном развитии фена величина скорости ветра в потоке достигает больших значений. Отмечено, что над Турком неоднократно фиксировалась скорость около и выше 30 м/с на уровне 500-600 м.

Оценка уровня загрязнения атмосферы долины в период феновых ветров представляет большой интерес, поскольку суммарная продолжительность этих ветров составляет достаточно большой срок. В одном случае продолжительность фенового ветра составила 5 суток. Для этого случая проведен расчет полей распространения загрязняющих веществ (ЗВ).

Нами применена гидродинамическая модель, которая была использована ранее для расчетов полей распространения ЗВ при условиях горно-долинной циркуляции [7].

По данным расчетов получены поля распределения концентраций в долях предельно допустимых концентраций (ПДК) для 13 видов ЗВ, выбрасываемых в атмосферу долины. Это окислы азота, сернистый ангидрид, угарный газ, зола, пыль неорганическая, пыль цемента, пыль Клинкера, фтороводород, серная кислота, соединения мышьяка, свинца, меди и цинка.

В качестве примера рассмотрим поле распределения концентрации  $\text{NO}_x$ .

Как показали исследования, в течение всего процесса фенового ветра значение концентрации остается в пределах нормы. Однако, в зависимости от вертикального распределения горизонтальной и вертикальной составляющих скорости ветра, охват поля загрязнения существенно меняется во времени.

В начале процесса фенового ветра горизонтальное поле распределения имеет широкую область, но в силу большого значения скорости ветра - 10 м/с на оси струи (рис.3), максимальное значение концентрации не превышает 0,2 ПДК.

Анализ вертикального поля распределения показывает, что вещество распространяется в основном в горизонтальном направлении (рис.3в). Это объясняется тем, что внизу струи наблюдаются восходящие потоки, а сверху нисходящие.

В дневные сроки наблюдается постепенное ослабление скорости ветра и это находит свое отражение в поле распределения вещества. Область распространения несколько уменьшается, однако, значение максимальной концентрации повышается и составляет 0,5 ПДК (рис.4).

К вечеру скорость ветра еще более ослабевает. Область распространения вещества заметно увеличивается в верхних слоях воздуха, а в нижних резко сокращается. Максимальное значение концентрации  $\text{NO}_x$  наблюдается на высоте 330-350 м и составляет 1 ПДК (рис.5).

Вышеуказанное объясняется тем, что при слабой горизонтальной составляющей скорости ветра наблюдаются вертикальные токи, которые имеют положительный знак до высоты 120-150 м, затем постепенно меняют направление и имеют отрицательный знак выше 330 м.






Рис.3. Поле горизонтального распределения  $\text{NO}_x$  на уровне 100 м (а), 330 м (б) и вертикального распределения на разрезе через Нурабад (в) при фоновом ветре в 9 час. (1-Алмалык, 2-Ахангаран, 3-Нурабад, 4-Ангрэн).




Рис.4. Поле горизонтального распределения  $\text{NO}_x$  на уровне 100 м (а), 330 м (б) и вертикального распределения на разрезе через Нурабад (в) при фоновом ветре в 13 час. (1-Алмалык, 2-Ахангаран, 3-Нурабад, 4-Ангрэн).




Рис.5. Поле горизонтального распределения  $\text{NO}_x$  на уровне 100 м (а), 330 м (б) и вертикального распределения на разрезе через Нурабад (в) при феновом ветре в 17 час. (1-Алмалык, 2-Ахангаран, 3-Нурабад, 4-Ангрен).

В ночные сроки скорость ветра начинает увеличиваться и к утру достигает своего максимального значения. Поэтому поле распределения вещества опять имеет широкую область с малым значением максимальной концентрации, равной 0,2 ПДК. В этом случае почти полностью повторяется ситуация, которая наблюдалась в начале процесса.

В дневной срок, наблюдается уменьшение области распространения вещества с одновременным увеличением максимального значения концентрации вблизи источника выброса Нурабадской ГРЭС. Однако, на более низких уровнях поле распределения вещества изменяется незначительно.

Если проанализировать случай поля распределения в вечерний срок, который наблюдался на вторые сутки процесса, можно увидеть, что самое максимальное накопление вещества происходило именно в этот срок (рис.б).

Скорость ветра с высотой увеличивалась почти линейно, а вертикальные токи имели положительный знак. В силу слабости скорости ветра область распространения вещества невелика, однако максимальное значение концентрации возрастает. Как показывает вертикальный разрез поля распределения, в этом случае перенос вещества происходит в вертикальном направлении.

В течение последующих двух суток поле распределения  $\text{NO}_x$  имело примерно одинаковый вид по характеру охвата области загрязнения и значению максимальной концентрации.

Это объясняется тем, что в течение этого периода фоновый процесс достиг своего максимального развития, и скорость ветра практически изменялась в небольших пределах.




Рис.6. Поле горизонтального распределения  $\text{NO}_x$  на уровне 100 м (а), 330 м (б) и вертикального распределения на разрезе через Нурабад (в) при феновом ветре в 17 час (вторые сутки). (1-Алмалык, 2-Ахангаран, 3-Нурабад, 4-Ангрен).

К концу процесса скорость ветра уменьшается, составляя при этом значения 2-3 м/с. Так как скорость ветра невелика, в соответствии с этим область распространения вещества уменьшается. Однако, при этом значение максимальной концентрации повышается, достигая вблизи источников выброса своего максимального значения (рис.7).




Рис.7. Поле горизонтального распределения  $\text{NO}_x$  на уровне 100 м (а), 330 м (б) и вертикального распределения на разрезе через Нурабад (в) при феновом ветре в 9 час. 4-ой сутки (1-Алмалык, 2-Ахангаран, 3-Нурабад, 4-Ангрен).

Сравнение результатов расчета данного исследования с результатами расчетов для теплой половины года при установлении горно-долинной циркуляции позволяет нам сделать следующий вывод. При феновых ветрах поля

распределения концентраций загрязняющих веществ имеют примерно одинаковый вид. Это означает, что, как и в случае горно-долинной циркуляции, установление феновых ветров не способствует вымыванию загрязняющих веществ из долины.

#### Заклучение

Таким образом, следует заключить, что фены оказывают существенное влияние как на процесс дальнего переноса вредных примесей атмосферы, так и на уровень их концентрации в воздушном бассейне. Учет этого явления при исследованиях загрязнения атмосферы в условиях горных стран, позволит значительно повысить точность региональных экологических оценок и прогнозов состояния природной среды.

В результате вышеупомянутых особенностей, по нашему мнению, данное метеорологическое явление следует возвести в ранг региональных «опасных метеорологических условий», способствующих усилению загрязнения атмосферного воздуха.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Вахушти. Описание царства Грузии – Изд. Тбилисского государственного университета им. И.Джавахишвили, 1940. (На груз.)
2. Гуния Г.С. Метеорологические аспекты экологического мониторинга атмосферы. – Тб., 2005, 265 с. (На груз.).
3. Гуния С.У. Переваливание воздушных потоков через горные хребты. - Метеорология и гидрология, 1958, 10, с. 3-8.
4. Климат и климатические ресурсы Грузии.- Труды ЗакНИГМИ, Л., 1971, вып. 44(50).
5. Кордзахия М.О. Климат Грузии. – Тб.,1961.
6. Кордзахия Р.С. Некоторые особенности фенов в районе Леселидзе-Пицунда.- Труды ЗакНИИ, 1982, вып.75, с.75-80.
7. Холматжанов Б.М., Петров Ю.В., Фатхуллаева З.Н. Трехмерная численная модель для оценки загрязнения атмосферы Ахангаранской долины промышленными выбросами сернистого ангидрида и соединениями мышьяка. - Вестник НУУ, 2000, №3, с. 45-52.
8. Чанышева С.Г. О северо-восточных ветрах в Ангренской долине. - Тр.САНИГМИ, 1963, вып.15 (30), с. 33-42.
9. Чоговадзе И.В. К вопросу возникновения фенов в Колхидской низменности. - Труды ЗакНИИ, 1982, вып.75, с.42-52.

უკავ 551.510.04

ატმოსფეროს დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაკრომასშტაბური ბადა-  
ტანის მატეოროლოგიურუ ასპექტების შესახებ მთიანი რეგიონების პი-  
რობებში/გუნია გ., ცქვიტინიძე ზ., ხოლმაჯანოვი ბ., ფათხულაევა ზ./ კმი-  
ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 261-271.-რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში, კოლხეთის დაბლობისა და ახანგარანის ხეობის (დასავლეთ  
ტიან-შანი) მაგალითებზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონეზე  
ფიონური მოვლენების ზემოქმედების კვლევების შედეგებია მოტანილი.

მოცემულია ახანგარანის ხეობის რაიონში  $\text{NO}_x$ -ის კონცენტრაციების ველის განაწილების გაანგარიშებები.

ნახვევებია, რომ ფიონური პროცესები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ატმოსფეროს დაბინძურების დონეზე მთიანი ქვეყნების პირობებში. მათი გათვალისწინება ატმოსფეროს რეგიონალური დაბინძურების კვლევებისას მნიშვნელოვნად აამაღლებს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ეკოლოგიური შეფასებების სიზუსტეს.

გაკეთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მეტეოროლოგიური მოვლენა უნდა იყოს აყვანილი რეგიონალური “საშიში მეტეოროლოგიური პირობების” რანგში, რომლებიც ხელს უწყობენ ატმოსფეროს დაბინძურების გაძლიერებას.

UDC 551.510.04

**TO METEOROLOGICAL ASPECTS OF LONG-RANGE TRANSMISSION OF AIR POLLUTANTS IN CONDITION MOUNTAIN REGIONS**UDC. /Gunia G., Tskvitinidze Z., Kholmatjano B., Fatkhullaeva Z./Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2008. - т.115. – p. 261-271. - Russ.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

In the work the results of investigations regarding to influence of foehn events on a level of pollution of atmospheric air have been carried out by the examples of Kolkhida lowlands (the south-west part of Caucasus) and Akhangara valley (the western Tien-Shan). The calculations of distribution fields of  $\text{NO}_x$  concentration in the region of Akhangara valley are presented.

There is shown that foehn events make important impact on a level of atmospheric air pollution in conditions of mountainous countries. Their taking into account during regional investigations of atmosphere pollution allows raising appreciably the accuracy of ecological estimations of natural environment state. It is drawing a conclusion that the given meteorological event should be raised in rank of regional “dangerous meteorological conditions“ favorable to strengthening of local pollution of atmosphere.

УД К551.510.04

**К МЕТЕОРОЛОГИЧЕСКИМ АСПЕКТАМ КРУПНОМАСШТАБНЫХ ПЕРЕНОСОВ ЗАГРЯЗНЯЮЩИХ ВЕЩЕСТВ В УСЛОВИЯХ ГОРНЫХ РЕГИОНОВ.** /Гуния Г.С., Цквитицидзе З.И., Холматжанов Б.М., Фатхуллаева З.Н./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2008. – т.115. – с.261-271 – Рус.; Рез. Груз., Анг.,Рус

На примерах Колхидской низменности (юго-западная часть Кавказа) и Ахангаранской долины (Западный Тянь-Шань), приведены результаты исследований влияния фоновых явлений на уровень загрязнения атмосферного воздуха, обусловленное дальним переносом промышленных выбросов. Приводятся расчеты полей распределения концентраций  $\text{NO}_x$  в районе Ахангаранской долины.

Показано, что фоновые процессы оказывают значительное влияние на уровень загрязнения атмосферы в условиях горных стран. Их учет при региональных исследованиях загрязнения атмосферы, позволит существенно повысить точность экологических оценок и прогнозов состояния природной среды.

Делается заключение о том, что данное метеорологическое явление следует возвести в ранг региональных «опасных метеорологических условий», способствующих усилению загрязнения атмосферы.

*ნ.კუტალაძე, ლ.მეგრელიძე, გ.მიკუჩაძე*  
*გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო*  
*ი.ჩოგოვაძე, თ. დავითაშვილი*

*ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, საქართველო*

უკ 551.515.14

**მშტრემალური ნალექების მოკლევადიანი რიცხვითი პროგნოზი საქართველოსათვის**

ექსტრემალურად დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექების მოსვლა მთავარი წინა პირობაა ისეთი სტიქიური მოვლენების განვითარებისა, როგორცაა ღვარცოფები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყერები და სხვ., რომლებიც იწვევენ არამარტო დიდ მატერიალურ ზარალს, არამედ ხდებიან მიზეზი ადამიანთა მსხვერპლისა. ასეთი მოვლენების განვითარება დამახასიათებელი ადრეც იყო და ახლაც არის საქართველოს ტერიტორიაზე. ამას ადასტურებს, თუნდაც, მიმდინარე 2008 წლის ძლიერი ნალექების შემთხვევები, რომელთა ფონზეც დაიკვირვებოდა სტიქიური მოვლენების განვითარება, რასაც მოჰყვა საკმაოდ მძიმე ნეგატიური შედეგები.

ატმოსფერული ნალექების რაოდენობრივი პროგნოზი ატმოსფეროს მათემეტიკური მოდელების გამოყენებით დღემდე საკმაოდ რთულ ამოცანად განიხილება და თანამედროვე მიდგომის პირობებშიც (სხვადასხვა გარჩევის უნარიანობის ერთიდაიგივე რიცხვითი მოდელის და მრავალ-მოდელიანი ანსამბლური პროგნოზირების მეთოდები) [4] განუზღვრელობების რიცხვი დიდია, რაც თავის მხრივ უფრო მეტ ცდომილებებს იძლევა ჰიდროლოგიურ მოდელებში, როგორც შემსვლელი პარამეტრი.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია შემოსაზღვრული არის მქონე, მეზომასშტაბური რიცხვითი მოდელის **WRF EMS (ARW)** (გარემოს მოდელირების სისტემა) პროგნოზის შედეგები სხვადასხვა გარჩევის უნარიანობით (ქვეარის ჩადგმის მეთოდი), 2008 წლის 9 ოქტომბერს ცირკულაციური პროცესის განვითარების მაგალითზე, როდესაც დღისით აჭარის ტერიტორიაზე დაფიქსირდა საკმაოდ ძლიერი ნალექების მოსვლა (>70 მმ/12სთ).

ამინდის გლობალური მოდელები, რომლებიც ამინდის ფართომასშტაბიან (1000კმ და მეტი) პროცესებს აღწერენ, იძლევიან პროგნოზს ერთი კვირის წინასწარობით და მეტი. ანუ, იძლევიან ინფორმაციას ამინდის ფონური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ვერ იჭერენ შედარებით მცირემასშტაბიან პროცესებს, მით უფრო, როდესაც ადგილობრივი ამინდი ყალიბდება ისეთი პროცესით როგორცაა, მაგალითად, კონვექცია. ასეთი ატმოსფერული პროცესები ვერ აღი-

წერება გლობალური მოდელებით, რომელთა სათვლელი ბადის ზომა საკმაოდ დიდია და შესაბამისად, კონკრეტული ვადისათვის ამინდის ადგილობრივი თავისებურებების გარჩევის უნარი დაბალია. დღეისათვის არსებული მძლავრი კომპიუტერული სისტემების გამოყენების შესაძლებლობის მიუხედავად, ამინდის ადგილობრივი გამოვლენის გარჩევის მისაღები სიზუსტის მიღწევა დედამიწის მთელი სფეროსათვის, მხოლოდ გლობალური მოდელების საშუალებით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარად, ადგილობრივი რეალური ამინდის წინასწარმეტყველებისათვის დღის წესრიგში დგება რეგიონული (შემოსახლვრული ტერიტორიის მქონე არის) მოდელების დამუშავების აუცილებლობა, რომელთაც აქვთ ხელოვნური საზღვრები, სადაც მოდელების ცვლადების მნიშვნელობები განისაზღვრება უფრო უხეშ ბადეზე გლობალური მოდელების გაშვების შედეგებიდან. ეს მოდელები აღწერენ გლობალური მოდელებისათვის შეუმჩნეველ, ამინდის რეალურ პირობებს, რომლებიც ხშირად ყალიბდებიან ატმოსფეროში მიმდინარე მცირემასშტაბიანი პროცესებით, თუმცა მათი წინასწარობის პერიოდ 24-48 სთ-მდე მცირდება სასაზღვრო პირობების შექმნისას წარმოქმნილი დამახინჯებების გამო.

**WRF EMS (ARW) მოდელი** იყენებს რუკის ე.წ. ლამბერტის კომფორმულ პროექტორს (lambert conformal), წნევა იცვლება ეტაკორდინატებში, გარჩევის უნარიანობა 15 კმ-ია, ითვალისწინებს ნიადაგის 4 ფენას, განტოლებათა სისტემის ამოხსნისას სარგებლობს არაკავას C ბადით, სადაც ბადის კვანძებში გამოითვლის ქარის სიჩქარის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მნიშვნელობებს, ხოლო ცენტრში ტემპერატურას.

მისი სტრუქტურა პირობითად შეიძლება გაყოფილი იქნას დინამიკურ ნაწილად და „ფიზიკურ პაკეტად“, მისი კონფიგურაცია კავასიის რეგიონისათვის ითვალისწინებს შესაბამისი „ფიზიკური პაკეტის“ მორგებას, როგორცაა ადგილობრივი გეოგრაფიულ-ლანდშაფტური თავისებურებები (მათ შორის: რელიეფის პარამეტრები, მიწათსარგებლობისა და ნიადაგის ტიპები, სიღრმეებზე ნიადაგის ტემპერატურა, მცენარეულობის სეზონური განაწილება, ადგილის არეკვლისუნარიანობა და სხვა). დინამიკური ნაწილი - კავასიის რთული რელიეფის, შავი და კასპიის ზღვების სიახლოვის გავლენით, ატმოსფეროში მიმდინარე იმ ზოგადცირკულაციური პროცესების ტრანსფორმაციას უზრუნველყოფს, რომლის შედეგადაც ყალიბდება ადგილობრივი ამინდი.

მოდელის მიერ სხვადასხვა ატმოსფერული მეზო- და მიკრომასშტაბური პროცესების გათვალისწინება ხორციელდება რიგი ფიზიკური სქემების საშუალებით:

ა) მიკროფიზიკური სქემები, რომლებიც აღწერენ წყლის ორთქლის, ღრუბლებისა და ნალექების წარმოქმნის პროცესებს - ამ პროცესე-

ბის აღსაწერად მოდელში გამოყენებულია 5-კლასის სიმულაციური სქემა, რომელიც ითვალისწინებს თოვლისა და ყინულის არსებობას და მოსახერხებელია რეალური მონაცემების მაღალი გარჩევისუნარიანობით (5კმ-ზე ნაკლები) ამოსხნისას;

ბ) გროვა ღრუბლების პარამეტრიზაციის სქემები, რომლებიც აღწერენ კონვექციური და/ან ფრონტალური ღრუბლების უჯრისშიდა მასშტაბის ეფექტებს. ეს სქემა ითვალისწინებს აღმავალი და დაღმავალი ვერტიკალური დენებითა და ღრუბლისგარეთა მაწონასწორებელი მოძრაობებით გამოწვეულ ვერტიკალურ ნაკადებს – კეინ ფრიზის ახალი სქემა NAM მოდელიდან; აღნიშნული სქემა აღწერს ღრმა და არაღრმა კონვენციურ პროცესებს დაღმავალი მასური ნაკადების მიდგომით [1;2];

გ) მიწისპირა ფენის სქემა, რომელიც ითვალისწინებს ხახუნის არსებობას და ითვლის ენერგეტიკულ (გაცვლის) კოეფიციენტს, მიწის ზედაპირის მოდელის (LSM) მიერ ზედაპირული სითბოსა და სინოტივის ნაკადების და პლანეტარული სასახლდერო ფენის სქემის მიერ ზედაპირის დაძაბულობის საანგარიშოდ – MM5-ის მსგავსების სქემა: ეფუძნება მონინ-ობუხოვის სქემას კარლსონ-ბოლანდის ვისკოზური ქვე-ფენისა და მსგავსების სტანდარტულ ფუნქციებს;

დ) მიწის ზედაპირის მრავალფენიანი სამოდელო სქემა (LSM), რომელიც განაპირობებს ინფორმაციულ უზრუნველყოფას (მათ შორის: მონაცემებს ნიადაგის სხადასხვა ფენებში არსებული თერმული პარამეტრებისა და სინოტივის ნაკადების შესახებ) – NOAA-ს სმელეთის ზედაპირის მოდელი: უნიფიცირებული NCEP/NCAR/AFWA-ს სქემა 4-ფენიანი ნიადაგის ტემპერატურისა და სინოტივის, ფრაგმენტული თოვლის საფარისა და ნიადაგის წაყინვის ფიზიკის გამოყენებით [3];

ე) პლანეტარული სასახლდერო ფენის სქემა, რომელიც გამოიყენება ტურბულენტური კინეტიკური ენერჯის პროგნოზირებისათვის და ითვალისწინებს ვერტიკალური ქვეუჯრის მასშტაბის ნაკადებს. ეს ნაკადები გამოწვეულია სინქარის გრიგალის გადატანით ატმოსფეროს მთელ სვეტში (და არა მხოლოდ სასახლდერო ფენაში) – იონსის უნივერსიტეტის სქემა: არალოკალური k-სქემა, არაცხადი გადატანითი ფენითა და არასტაბილურ შერეულ სქემაში k-პარაბოლური პროფილით;

ვ) რადიაციული სქემა, რომლის საშუალებით ითვლება ატმოსფეროს სითბური პარამეტრები. ამ პარამეტრებით შესაძლებელია განისაზღვროს ატმოსფეროს დათბობის ეფექტი - განპირობებული რადიაციული ნაკადების დივერგენციით და დედამიწის ზედაპირის სითბური ბალანსით, დაღმავალი გრძელი და მოკლეტალღიანი რადიაციისათვის - რადიაციის სწრაფი გადატანის (RRTM) სქემა: დაზუსტებული სქემა, ითვალისწინებს როგორც ნარეგებს, მცირე გაზურ მინარეგებს




და ნაწილაკების მიკროფიზიკას, ამავე დროს, ატმოსფეროში რადიაცია რეაგირებს მოდელის მიერ პროგნოზირებული დრუბლისა და წყლის ორთქლის განაწილებაზე, ასევე, ნახშირის ორჟანგის, ოზონის და სხვა გაზური მინარეგების კონცენტრაციაზე.


მოდელის დინამიკურ ბირთვში რიგი პროგრამული ფაილების რედაქტირებით მოხდა 5-კმ-იანი ამოხსნის მქონე „ქვეარის ჩადგმა“ ორი სხვადასხვა მეთოდით. მეორე მეთოდი (2-way nesting) ითვალისწინებს „ქვეარიდან“ ძირითად არეში ინფორმაციის დაბრუნებას, ანუ უკუკავშირს. ძირითადი არე უზრუნველყოფს სასაზღვრო პირობების მიწოდებას ქვეარისათვის ძირითადი არის ყოველ დროით ბიჯზე, ამასთანავე, ქვეარე დროში წინსწრებით ინტეგრირებას უკეთებს და ძირითად არეს უკანვე აწვდის შედეგებს. პირველი მეთოდის (1-way nesting) შემთხვევაში უკუკავშირის მექანიზმი გამორთულია და ამდენად, ძირითადი არე უზრუნველყოფს სასაზღვრო პირობების მიწოდებას ქვეარისათვის, მაგრამ არ ხდება ინფორმაციის გაცვლა ქვეარიდან უკან, ძირითად არეში.

უკუკავშირიანი მეთოდის (2-way nesting) გამოყენებით ქვეარის ჩადგმისას გამოვიყენეთ გაგლუვების 5-წერტილიანი 1-2-1 და smoothing-desmoothing (მსგავსი ეტალონური ზომით) ტექნოლოგიები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორ უნდა გაგლუვდეს ქვეარიდან უკან, ძირითად არეში, დაბრუნებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის კვლევის ძირითად შედეგს.

ნახ.1-ზე მოცემულია მოდელით გამოთვლილი მიწისპირა ბარიული ველის საწყისი რუკა 2008 წლის 9 ოქტომბრისათვის (00სთ, გრინვიჩი). როგორც რუკიდან ჩანს, როსტოვის მიდამოებიდან სამხრეთ-დასავლეთით, შავი ზღვისკენ ეშვება დაბალი წნევის ღარი. ამ დროისათვის აჭარის ტერიტორიაზე ნალექების მოსვლა არ დაიკვირვება, ვინაიდან დაბალი წნევის ღართან დაკავშირებული ატმოსფერული ფრონტალური ზონის ზემოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ არ აღინიშნება. მაგრამ პროცესი ისე სწრაფად განვითარდა, რომ 9 ოქტომბრის შუადღისათვის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და მთლიანად, დასავლეთ საქართველო აღმოჩნდა მაღალი ატმოსფერული წნევის თხემის ზემოქმედების არეში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ატმოსფერული ფრონტი უკვე შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ცირკულაციური სიტუაცია აღექვატურადაა ასახული მოდელის მიხედვით გამოთვლილ მიწისპირა ბარიული ველის პროგნოზულ რუკაზე (ნახ. 2) 2008 წლის 9 ოქტომბრის შუადღისათვის (12სთ, გრინვიჩი). როგორც რუკიდან ჩანს, ატმოსფერული წნევის ყველაზე ინტენსიური ზრდა (1016-დან 1022 ჰჰა-მდე) 9 ოქტომბრის შუადღისათვის მოსალოდნელი იყო აჭარის ტერიტორიაზე.



GRADS: OOLA/IGES 2008-10-13-11:17




GRADS: OOLA/IGES 2008-10-13-11:17

ნახაზი 1. მოდელის საპროგნოზო ძირითადი არისათვის 15 კმ-იანი გარჩევისუნარობით პროგნოზირებული მიწისპირა ბარიული ველი 2008წ. 9 ოქტომბერი (00სთ, გრინვიჩი).

ნახაზი 2. პროგნოზირებული მიწისპირა ბარიული ველი მოდელის საპროგნოზო ძირითადი არისათვის 15 კმ-იანი გარჩევისუნარობით 2008წ. 9 ოქტომბერი (12სთ, გრინვიჩი).

ნახ. 3-ზე წარმოდგენილია მოდელის მიხედვით გამოთვლილი ნალექების პროგნოზული რუკა 2008 წლის 9 ოქტომბრის შუადღისათვის (2-way nesting მეთოდით). საყურადღებოა, რომ პროგნოზულ რუკაზე ნალექების სამი ძირითადი კერა აღინიშნება, რომლებიც მდებარეობენ აჭარისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.



GRADS: OOLA/IGES

2008-10-13-11:44

ნახაზი 3. პროგნოზირებული ატმოსფერული ნალექების ჯამი, ძირითად საპროგნოზო არეში ჩადგმული ქვეარისათვის (2-way nesting) 5-კმ-იანი გარჩევისუნარიანობით 2008წ. 9 ოქტომბერი (12სთ, გრინვიჩი).

პირველი კერა (40 მმ) მდებარეობს ბათუმთან ახლოს ჩრდილო-დასავლეთით, მეორე კერა (90 მმ) უშუალოდ ბათუმთანაა, მესამე კერა (70 მმ) ასევე ბათუმთან ახლოს, მის სამხრეთ-დასავლეთითაა.

ამრიგად, ნალექების პროგნოზული რუკიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული შემოჭრის დროს ძლიერი ნალექების მოსვლა მოსალოდნელი იყო მხოლოდ აჭარასა და მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც შეეხება ნალექების მოსვლის რეალურ სურათს, ინფორმაცია ამის შესახებ მოცემულია ცხრილში. მასში წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი იმ ოპერატიული მეტეოსადგურების ჩამონათვალი, რომლებზეც 2008 წლის 9 ოქტომბერს დღისით მოვიდა ნალექი.

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარეობს, რომ მთლიანობაში, საქმე გვაქვს პროგნოზული და ფაქტიური ნალექების ველების ერთმანეთთან კარგ დამთხვევასთან. მაგალითად, ბათუმში მოვიდა 72 მმ, პროგნოზის მიხედვით კი მოსალოდნელი იყო 90 მმ-ის მოსვლა. ხულოში დაფიქსირდა 3 მმ, მოსალოდნელი კი იყო 10 მმ. საქართველოს სხვა ადგილებში მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექების მოსვლა არ აღნიშნულა და არც მოდელის მიხედვით შედგენილი პროგნოზით იყო მოსალოდნელი.

2008 წლის 9 ოქტომბერს დღისით მეტეოსადგურებზე დაფიქსირებული ნალექი

მეტეოსადგური	ნალექები (მმ)	მეტეოსადგური	ნალექები (მმ)
ბათუმი	72	ამბროლაური	1
ქობულეთი	20	შოვი	4
ხულო	3	ახალციხე	01
ბახმარო	15	ხაშური	3
ფოთი	7	გორი	-
ზუგდიდი	15	თიანეთი	-
ქუთაისი	2	ფასანაური	-
ზესტაფონი	1	სტეფანწმიდა	-
საჩხერე	2	თბილისი (ვაშლ)	-
მთა-საბუეთი	4	თბილისი (აეროპ.)	01

განხილულ მაგალითზე კარგად გამოჩნდა ნალექების საპროგნოზო მოდელის ძლიერი მხარე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოდელის ცალკეულ ვარიანტებს შორის (1-way და 2-way nesting) აღინიშნა საკმაო განსხვავებებიც, ძირითადად, კერების შიგნით ნალექების აბსოლუტურ მნიშვნელობებს შორის. ამიტომ, შემდგომში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ასევე განხილული იქნას პროგნოზირების ე.წ. ანსამბლური მიდგომა.

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სსეფ) ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი № GNSF/ST07/5-211.

#### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. J. Dudhia, 1989: Numerical study of convection observed during the winter monsoon experiment using a mesoscale two-dimensional model, J. Atmos. Sci., 46, 3077–3107.

